

შინაარსი №№ 7—8:

1. პირველ-ყოფილ ხალხის მეურნეობა, ბ. კ.—ისა.	330 ^რ . 401.
2. ჰერეთის აღწერა, ინგილო ჯანაშვილისა	410.
3. სვანეთი, მღვდ. ი. მარგიანისა	424.
4. კლარჯეთ-მესხეთის აღწერა, ზ. ჯ.—ძისა	434.
5. ანტონი I, კათალიკოს-პატრიარქი საქართველოში, თხზ. თ. ჟორდანიასი, თარგმანი კ. ანთაძისა . . .	449.
6. კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი და მისი დრო, ზ. ჯ.—ძისა	463.
7. ჯანდიერნი ანუ ჯანდიერისშვილნი, X---ისა	482.
8. შემოლოცვა, აფრ. მერკვილაძისა	487.
9. ბიბლიოგრაფია: სალიტერატურო ქართული (სი- ლოვან ხუნდაძის გამოკვლევა), ი. აბულაძისა	494.
10. ქართული სტამბის ისტორიიდან, ექვთიმე ივანეს ძე ხელაძის 30 წლის დღესასწაულის გამო, ზ. ჯ.—სა. . . .	497.
11. ისტორიული ლეგენდა თამარ მეფეზე, ბ. ებანოძისა. .	511.
12. საქართველოს საეკლესიო ისტორია, ალ. ფერაძისა. .	516.

წარსული წლის „მომზაურის“ ეგულა ნომრება, კარგის
ყდათ და წარწერთ დინს კაცზაენით სამი მანეთი.

თბილისი ლ. აგვისტო, № № 7 & 8, 1902 წელი

მ ო გ ზ ა უ რ ი

6978

ი ვ ა ნ ე რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი

„მოგზაურის“ რედაქცია


გადავიდა ახალს სადგომში: ოლღის ქუჩა, № 19,
სასლი ისაკაძისა, ქართული სამკითხველოს გვერდით.



თ ბ ი ლ ი ს ი

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 28.

1902



Дозволено цензурою. Тифлиси, 29-го Мая, 1902 года.

პირველ-ყოფილ ხალხის მეყრნეობა.

(ბიუხურა *).

ნიეთიერების გარდაქმნის ტექნიკა ველურებში მეტად ცალ-მხრივია. იარაღებს თავდაპირველად ბუნებრივი საგნები შეადგენს: ქვები, ძვლები, სადაფები, თავ-წამახული ჯოხები. ყველაფერი ეს აძლიერებს და ანაყოფიერებს ადამიანის შრომას. რთულ სამუშაო იარაღებში ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ხელის წისქვილი და ბარი. სულ უბრალო ძალის დამზოგველი იარაღები—წოწინარი, მარწუხი, ვინტი—მათთვის უცნობია. მათი ნაფი ცეცხლითაა ამომწვარი და გამოჩონდრილ ხეს წარმოადგენს. ფიცრის ორი ნაჭერის ერთმანეთზე მიწებება, მიკერება, ან მიჭედა მათთვის უცნობია. იგინი ამაგრებენ ფიცრებს ერთმანეთზე წნელით. მელანეზიელების, პოლინეზიელების და ამერიკის პირველ-ყოფილ ხალხისთვის უცნობი იყო აგრეთვე ლითონის დამუშავება ევროპიელების მისვლამდის. ნეგრების შთამომავლობა ყველგან ეძებდა და ამუშავებდა რკინას და აქა-იქ სპილენძსაც. უფრო განვითარებული ტექნიკა ლითონის დამუშავებაში მალაიელებს აქვთ. რკინის ქედის დროს ნეგრებს შეამჩნევთ სრულ მათ ტექნიკურ მოუზადებლობას. მათი მკვლევები იქამდე ვერ მისულან, რომ თავის იარაღები რკინისა გააკეთონ. ურო და გრდემლი ქვისა აქვთ.

მიუხედავად ასეთ ტექნიკურ ჩამორჩენისა, არიან ველურები, რომლებიც თავის საცოდავ იარაღებით ისეთ საგნებს

*) იხ. „მეგზაუკი“ № 5.

ამზადებენ, რომლებსაც გაკვირვებაში მოჰყევნებართ თავის მხატვრობით და ხელოვნებით. ეს მით აიხსნება, რომ ველური ერთ და იმავე საგნის დამზადებას დიდს ხანს ანდომებს. ამ ხნის განმავლობაში ის ჯანდათან დაკვირვებას და გამოცდილებას იძენს. ველურებს შორის განვითარებულია წინაჲ მუქოთნეობა, ხიდგან სხვა-და-სხვა ნივთების ამოჭრა და გამოჭრა. რა გინდა, რომ ტროპიკის ხალხმა ვერ გააკეთოს თავის ერთი, მცენარის ფესოებიდამ და წებოიანი მცენარეებიდამ! ისეთს საინებს, თეფშებს, ბოთლებს წნავენ, რომ მათში წყალის გადენა არას გზით არ შეიძლება. მალაიის არხიველაგის და აღმოსავლეთ აზიის მცხოვრებლები მუსიკალურ იარაღებსაც კი ამზადებენ. ხიდგან სხვა-და-სხვა საგნების ამოჭრა პაპუასებს უმაღლეს საფეხურამდე აქვთ მიყვანილი. რა მოთმინება და თავდაჭერილობაა ამ შემთხვევაში საჭირო! რაფიის ფოსოებიდან ტილოს დამზადებას მადაგასკარელი მთელი თვეები უნდება.

ყველა იქიდან, რაიც ზევით ითქვა, შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რა გვარია ეკონომიური მოწყობილობა ნივთიერების დამუშავებისა ველურებში. პროფესიონალური მუშები ამ დარგში არ არსებობს. თვითეული სამეურნეო ერთეული თავის შრომით იკმაყოფილებს ყოველგვარ ეკონომიურ მოთხოვნილებას.

ველურებში გაიფეებულია ნატურალური, ანუ კარ-ჩაკეტილი შინაური მეურნეობა. აქ არ არსებობს გაცვლა-გამოცვლის სისტემა. თვითეული თემი თავის-თავათ ამზადებს საჭირო ნივთებს. ზოგიერთი მოგზაურები, რომლებიც გარეგნულად უყურებენ საქმის ვითარებას, ამბობენ, ვითომც ველურებში „ხელოსანთა“ წოდება არსებობდეს; ვითომც, მაგ., წყნარ ოკეანის კუნძულებზე მცხოვრებთა შორის გავრცელებული იყოს პროფესიონალური შრომა; ვითომც არსებობდეს მათში ღურგლები, ნავების მკეთებლები, ბადის მქსოვლები, ქვის და ხის მჭრელები. მაგრამ რაკი ახლა გავიცანით ამ

ხალხთა ყოფა-ცხოვრება, ზემოხსენებული მოგზაურების აზრი არ გამართლდა. ის კერძო შემთხვევა გამოდგა, რაიც მათ საზოგადო მოვლენად მიიღეს. მაღაიელების შესახებ ჯერ კიდევ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეგვიძლია. მათ ჰყავო სპეციალისტი მუშები მხოლოდ მარტო მადნების დამუშავებაში. მთელ აფრიკის ნეგრებში ერთად-ერთი პროფესიონალური ხელობაა გავრცელებული, სახელდობრ, მჭედლობა; მჭედლებს განსაკუთრებული სოციალური ადგილი უჭირავთ, რომელსაც აქ არ შევეხებით. სუდანის ნახევრად გაკულტურებულ ხალხზე ითქმის, რომ მათ ჰყავთ განსაკუთრებული ხელოსანი კლასი, მოგზაურთა ცნობები და შენიშვნები პროფესიონალურ მრეწველობის შესახებ დღევანდელ ველურებს შორის აიხსნება მხოლოდ იმით, რომ მათ კერძო შემთხვევებიდან საზოგადო აზრი გამოჰყავთ. შეიძლება რომელიმე თემი მისდევდა რაიმე შინაურ წარმოებას, რომელსაც ჩვენ ქვევით ვრცლად შევეხებით. რა თქმა უნდა, ჩვენ ზურგს ავუქცევთ ყველა იმ პროფესიებს, რომლებიც გაევრობიელების ზეგავლენით გავრცელდა ველურებში.

თვითეული ოჯახი ჩამომავლობისა ავტონომიურ მეურნეობას ეწეოდა; თავის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საღსარს თვითონვე ამზადებდა. თვითეული სქესის მოვალეობა ამ საერთო შრომაში სასტიკად განსაზღვრულია. მაკრამ შრომის ამგვარ განაწილებას მამაკაცსა და დედაკაცს შორის არავითარი საერთო არა აქვს ჩვენებურ ეკონომიურ წყობილების შრომის განაწილებასთან. ამ უკანასკნელმა მთელი სამრეწველო მოქმედება მამაკაცის ხვედრი გახადა; დედაკაცს მარტო ოჯახური მეურნეობა მიუჩინა. თანამედროვე ველურებში ასე არის. აქ როგორც მამაკაცი, ისე დედაკაცი მონაწილეობას ღებულობს როგორც წარმოებაში, ისე ოჯახურ საქმეებშიაც. ქალი აშენებს მცენარეულობას, ამზადებს მისგან საზრდოს; კაცი ნადირობს, თევზაობს, პირუტყვს უვლის, იარაღებს აკეთებს, ძვლებს სთლის, ნავეებს აშენებს. ის ხში-

რად სამხარეთლოშიაც შედის, ხორცს ხარშავს, საქმელს აკეთებს; დედაკაცი პურს ფქვავს, ამზადებს და სწვავს ქურკლეულობას, სახლის, ქოხის აშენებაშიაც ღებულობს მონაწილეობას. ერთ ადგილას მამაკაცი კიდევ რთავს, კიდევ ქსოვს და კიდევ წნავს, მეორე ადგილას ყველაფერს ამას დედაკაცი ასრულებს. როცა ცალკე ოჯახს არ შეუძლია რომელიმე საქმის შესრულება, ამ შემთხვევაში მეზობლებს იხმარიებენ; ან და ასეთ ძნელ საქმეს მთელი სოფელი აკეთებს. ამ გვარ საერთო შრომით აფრიკაში კაფვენ ტყეებს, ამზადებენ ჯეფირებს, სთხრიან ღრმა თხრილებს გარეული ცხოველების დასაქვრად; აგებენ დიდრონ სახლებს, აშენებენ საერთო თონეს. სათემო ორგანიზაციის არსებობა, მონობა, მრავალ-ცოლობა, — ყველაფერი ეს ხელს უწყობს სამუშაო ძალის გაძლიერებას შინაურს მეურნეობაში.

ზოგიერთ შემთხვევაში კარ-ჩაკეტილი მეურნეობა ველურებში ირღვევა და ადგილს უთმობს სააღებ-მიცემო ურთიერთობას. აფრიკის შუაგულ მიდამოებში, რომლებიც პორტუგალიის და გერმანიის მფლობელობაშია, რამდენიმე ვერსის მანძილზე ყოველ 4—6 დღეში იმართება ბაზრობა. აქ მახლობელ სოფლებიდან ჩამოაქვთ თავის ნაწარმოები და სცვლიან სხვა სოფლის ნაწარმოებზე. ბორნეოს მალაიელების შესახებ ამბობენ, რომ მათში ყოველ კვირაში იმართება პარასკეობა, სადაც სხვა და-სხვა კუნძულების მცხოვრებლები იკრიბებიან, მოაქვთ თავის კუთხის ნამოქმედარი და მიაქვთ სამაგიეროთ ისეთი საგნები, რომლებსაც თავის კუთხეში არ ამზადებენ. ამერიკის პირველ-ყოფილ მცხოვრებლებში ისეთი ნივთებია გავრცელებული, რომლებიც მარტო ერთ კუთხეში მზადდება. იგივე შეიძლება ითქვას ავსტრალიის ზოგიერთ საგნების შესახებ. ყველა ეს ფაქტები იმის მომასწავებელია, თუ რა კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა ვაჭრობას ევროპის ძველს ისტორიაში. აქ ერთი კუთხის მრეწველობის ნაწარმოები ვაჭრობის საშუალებით მთელ შორეულ და მახ-

ლობელ კუთხეებს ეფინებოდა. როგორც ზევით დავინახეთ, თუმცა არსებობს ველურებში ვაჭრობა, მაგრამ მას (წინააღმდეგ ზოგიერთ პირველ-ყოფილ კულტურის ისტორიკოსების აზრისა) არავითარი პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობა არ აქვს. სყიდვა იმისთვის, რომ ისევ გაყიდოს—ეს ჯერ ველურებში დამტკიცებული არაა. მართალია, აფრიკაში მოვაჭრე ადგილობრივი მცხოვრებლები ურევია, მაგრამ ეს ევროპიელების და არაბების ვაჭრების წყალობით ხდება; ან და ეს მოვლენა იმას მიეწერება, რომ სუდანი სანახევროდ გაკულტურებული ქვეყანაა. იქ სააღებ-მიცემო დამოკიდებულება მხოლოდ ჩამომავლობათა შორის თუ სუფევს. ერთ და იმავე ჩამომავლობის წევრთა შორის კი არავითარი სააღებ-მიცემო დამოკიდებულება არ არის. და ეს არც შეიძლება იყოს, რადგანაც მცხოვრებლების პროფესიონალური დანაწილება არ არსებობს, რასაც შეუძლია მჭიდრო დამოკიდებულება ჩამოავდოს სხვა-და-სხვა მეურნეობათა შორის.

აღებ-მიცემის წარმოშობა კულტურულ ადამიანისთვის ჩვეულებრივს მოვლენას შეადგენს. სულო და გულო, თუ კი ფული გაქვს, დღეს ვერ იშოვო! მაგრამ ველურისთვის ყველაფრის ამის გაგება დიდ სიძნელეს წარმოადგენს. სანამ ის კულტუროსან ხალხს გაიცნობდა, ძნელი იყო მისთვის წარმოდგენა შეედგინა იმაზე, თუ რა არის ღირებულება, რა არის ფასი. ავსტრალიის აღმომჩენი მოგზაურები ყველანი საერთოდ მოწმობენ, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ აღებ-მიცემაზე. იგინი არაფრად აგდებდნენ იმ კრელ-კრელ ნივთებს, რომლებიც მათ შეაძლიეს. ძალათ ნაჩუქარ ნივთებს ტყეში ჩუმათ ამტვრევდნენ, რაიც მათ შორის არავითარ ყურადღებას არ იწვევდა. ამ გვარსავე მოვლენას აგვიწერენ 1888 წ. ერენრეიხი და შტეინენი ბრაზილიის ინდოელების შესახებ. მიუხედავად ამისა აქ გაცხოველებული დამოკიდებულება სუფევს ჩამომავლობათა შორის. მაოს აღებ-მიცემის საგანს შეადგენენ ქოთ-

ნები, ქვის ცულები, ძაფები, სადაფები და მისთანა ნივთები. მერე როგორ მოხდა ყველაფერი ეს, თუ არ ვაქრობით და ღლებ-მიცემით?

ამის ახსნა ახლა სულ ადვილია; ის, რაიც წინეთ ვიპოტეზა, მოსაზრება იყო: დღეს ნაცადი და დამტკიცებულია. საგანი ერთი-მეორის ხელში გადადის, როგორც სჩუქაძი, ერთი აჩუქებს რაიმე ნივთს მეორეს, ეს უკანასკნელი სამაგიეროს უძღვნის პირველს. ან და ეს ხდება მოტაცების, ნადავლის, ხარკის, დაჯილდოების და მოგების საშუალებით. საქმელზე ჩამომავლობაში თითქმის კოლექტივიზმია. გამეფებული. თუ საკლავს დაჰკლავ და მეზობელს ან მგზავრს არ მრიპატიყებ, ეს იგივე ქურდობა და მოპარვაა. თვითელს შეუძლია თავისუფლად შევიდეს სხვის სახლში და მოითხოვოს საქმელი. გაწბილება არ შეიძლება. მოუსავლობის დროს მთელი თემობით სახლდებიან მახლობელ მეზობელთან, სადაც რამდენსამე ხანს თავს ინახვენ. თვითელი ვალდებულია ერთმანეთს ათხოვოს იარაღები და სხვა საოჯახო ნივთები. ჩამომავლობაში ყველა სამეურნეო ერთეული ერთ და იმავე ნაწარმოებს ამზადებს; ზედმეტი ნაწარმოები მაშინვე იხმარება. განსაკუთრებული დაჯილდოება და ყიდვა აქ არ არსებობს. მხოლოდ მარტო ექიმები, მომღერლები. მუზიკანტები, მოცეკვავეები შეადგენენ განსაკუთრებულ პროფესიას, ამისთვის მათს ქირას, სასყიდელს აძლევენ თავის ხელობაში. ყიდულობენ აგრეთვე ცულებსა.

ჩამომავლობათა შორის სტუმართ-მოყვარეობაა გავრცელებული. ამ ჩვეულებას ყველგან ერთი და იგივე ხასიათი აქვს. მგზავრს პატიჟობენ, საჩუქარს აძლევენ; მგზავრიც თავის მხრით სამაგიეროს იხდის. მე ესა და ეს ნივთი მომწონსო, — აშობს ერთა; მიირთვიაო, — უპასუხებს მეორე. თვითელი მხარე მანამდე გულ-ნატკენად სთვლის თავის თავს, სანამ მოპირდაპირე მხარეს არ დააკმაყოფილებს. ამ გვარად, ჩუქების საშუალებით ერთი კუთხის ნაწარმოები ეფინება

პირველად მახლობელ კუთხეებს, შემდეგ კი დაშორებულ ქვეყნებსაც; სწორედ ისე, როგორც დღეს ვაჭრობით ხდება.

ზოგიერთ ველურებში თავისებური ჩვეულებაა დაცული, რომელიც აღებ-მიცემას უფრო წააგავს ვიდრე საჩუქარს. მაგ., შუაგულ ავსტრალიის დიეგერებში ქალი, ან კაცი საჩუქრის სამაგიეროთ ან ნადირობს, ან და რაიმე საქმეს აეთებს მჩუქებელის სასარგებლოდ. ვისაც აჩუქეს, მას იუტჩინე ჰქვია; ის კისერზე ნიშანს (თოკს) ატარებს, ვიდრე სამაგიეროს არ გადინდის. შუაგულ ბრაზილიის ინდოელებში აღებ-მიცემას კიდევ ჩუქების დაღი აზის. ბაქაირების ენაზე პორტუგალური სიტყვა „comrar“ (ყიდვა) „დაჯდომას“ ნიშნავს იმისთვის, რომ სტუმარი ჯერ უნდა ჩამოჯდეს, დაისვენოს, სანამ ის საჩუქარს მიიღებდეს. სუდანში ევროპიელ მოგზაურთ მოსვენება არა აქვთ სხვა-და-სხვა საჩუქრებისაგან, რადგან „ჩუქებზე ერთგვარ დაფარულ მათხოვრობას წარმოადგენს“; ველურები სამაგიეროს უცდიან მათგან, ორჯელ, სამჯერ მეტს. „მე დარწმუნებული ვარო, — ამბობს შტაუდინგერი, — რომ ზოგიერთი ღარიბი დედაკაცები ჯერ თვითონ ყიდულობენ ქათმებს, რომ შემდეგ მოგზაურებს უძღვნან, რომ იმათგან საჩუქრის სახით მეტი მიიღონ“.

აღებ-მიცემა დიდხანს ატარებდა ჩუქების მნიშვნელობას. ყველგან ველურებში წინ-და-წინ ქირის გადახდის ჩვეულებაა მიღებული. ექიმი თითხაც არ გაანძრევს ავადმყოფის საშველად, სანამ მას „გასამჯელოს“ არ მისცემენ და არ დააკმაყოფილებენ. არც ერთი ყიდვა-გაყიდვა კანონიერად არ ჩაითვლება, სანამ როგორც მყიდველი, ისე გამყიდველი მოწმეების დასწრებით ორივე სრულ კმაყოფილებას არ გამოაცხადებენ. აღებ-მიცემის დროს სამაგიეროს არ აღება უმიზეზოთ, ისეთივე შეურაცხყოფაა, როგორც ჩვენში ნაჩუქრის უკან დაბრუნება. ველურისთვის მეტად ძნელი გასაგებია, რომ შრომა და სასყიდელი თავის ღირებულებით ერთმანეთს უნდა უდრიდეს. აქ ბავშვიც ისეთ სასყიდელს ელის, რა-

გორც დიდი, ვინც ერთი საათი იმუშავა, იგიც იმდენს გამოიღოს, რამდენსაც მთელ დღეს მომუშავე.

აღებ-მიცემის გასაადვილებლად შემოღებულია ბაზრობა და ფული. ბაზრობა, ანუ „იარმუკა“ ნეგრებსა, ონდრელებს და პოლინეზიელთ შორის ყოველთვის საზღვარზე იმართება, რომ ყველა ჩამომავლობისთვის დასახმარი ადგილი იყოს. ამ გვარი ადგილები არც ერთ ჩამომავლობის კერძო კუთვნილებას არ შეადგენს. აქ ქრება ყოველივე შუღლი და მტრობა სხვა-და-სხვა ჩამომავლობათა შორის. მყუდროების და მშვიდობიანობის დამრღვეველს „იარმუკაში“ სასტიკად აჯარიმებენ. ყველას გამოაქვს აქ თავიანთი ნაწარმოებნი: ვის თაფლი, ვის ღვინო, ერთს წამკენარი ხორცი, მეორეს თიხის ჭურჭლეულობა, ნაქსოვი და სხ. აქ თვითეული იძენს ისეთს ნივთებს, რომლებსაც თავის ჩამომავლობაში ვერ იშოვიდა, ან და თუ იშოვიდა, ამისთანა მშვენიერი და ლამაზი მაინც არ იქნებოდა. ეს ნებას აძლევს ერთ ჩამომავლობას ბლომად დაამზადოს ისეთი საგნები, რომლებიც ბაზარზე უფრო იყიდება; ეს ხელს უწყობს დახელოვნებას და წინ წაწევას ამა თუ იმ დარგის წარმოებაში.

ასეთია ბაზრის ვითარება თანამედროვე ველურებში. ფულის შესახებ ბევრი რამ თქმულა, ბევრი რამ დაწერილა, ბევრი გიპოტეზები შეთხზულა, თუ რა არის იგი და საიდან წარმოსდგება, მაგრამ ახსნას კი არაფერი ეშველა. ხოლო საქმე კი უბრალოდ და მარტივად ასახსნელია. თვითეული ჩამომავლობისთვის ფული ის საქონელია, რამესაც თვითონ არ აკეთებს, მაგრამ მუდამ ღებულას სხვა ჩამომავლობისგან საქონელად. ამ გვარი საქონელი საერთო საღებ-მიცემო საშუალებას წარმოადგენს, რაზედაც ველური თავის ნაწარმოებს სცვლის. ეს საქონელი საზომია მისი ქონების, მისი სიმდიდრის. ის ხელს მასში თავის ავლა-დიდებას, რომელსაც თავის ნებით ვერ მოუმატებს. ისეთი საგნები, რომლებიც ძვირად შეგხვდებათ ბუნებაში, როგორც, მაგ., მარილი, ძვირფასი

სადაფები, რკინის ნიჩბები, თიხის ქურქლები,—ყველა ესენი მიღებულია თითქმის ყველა ხალხებში როგორც ფული. ფულის წარმოშობამ ხელი შეუწყო კაცობრიობის განვითარებას, ის ხელს უწყობს აგრეთვე ამა თუ იმ წარმოების დარგის განვითარებას და ჩამომავლობათა შორის კეთილ-განწყობილების დამყარებას. თვითეული ჩამომავლობა, თვითეული სოფელი, გარდა ლუკმა-პურის შოვნისა, სხვა რამეს ამზადებს, რომელსაც ბაზარზე ჰყიდის, ის ვარიჯიშდება და ხელოვნდება წარმოების რომელიმე დარგში, ტექნიკურ გამოცდილებას და ცოდნას იძენს. ეს თითქმის ინტერნაციონალური, საკაცობრიო შრომის განაწილების ჩანასახს მოგაგონებს, რასაც შემდეგ მოჰყვება ნაციონალური, ანუ ეროვნული შრომის განაწილება. აქ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ბაზარს. არის ქვეყნები, სადაც საქონელი უსათუოდ ბაზარზე უნდა გაიყიდოს. როცა ევროპიელი მოგზაურები მისულან კერძო ოჯახში რაიმე ნივთის საყიდლად,—ბაზარზე მობრძანდითო,—უპასუხნიათ მათთვის. საბერძნეთის და რომის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ხომ მეტად დიდ მნიშვნელობა ჰქონდა ბაზარს.

ბ. კ.



ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა

ჰერეთისა *)

გიშის ეკლესია ახლა უკირავთ სომხებს. ისინი აქ არიან გადმოსახლებულნი. 1830 წლებში გრაფ პასკევიჩისაგან. 1863 წელს ენახე ამ ეკლესიაში ტილოზე დახატული მაცხოვრის ხატი, რომელიც კედელზე ეკიდა და ზედ ჰქონდა წარწერა რუსულად, რომ იგი ხატი გრაფ პასკევიჩმა შემოსწირაო. დასახლებისა და ეკლესიის დაპყრობის უმაღლეს სომხებს გამოუძვრიათ კედლიდგან შესავალ კარებზე მყოფი ქვა, ქართულად წარწერილი, და მიწაში ჩაუფლავთ. ასრე მითხრა 1889 წელს მოხუცებულმა უბრყვილო სომეხმა, გიშის ეკლესიის მნათედ მყოფმა. იმანვე სთქვა: „ამ ეკლესიის განახლებისა და კარიბჭის მაგიერ დერეფნის მიშენების ღროს ვიპოვეთ ძველებური ეკლესიური განძი და მრავალი სამღვდელთაგანო შესამოსლებიო და 1855 წლამდე ისინი აქვე ინახებოდაო, მაგრამ მერე ბრძანება მოვიდა ეჩმიაძინიდან—აქ გამოგზავნეთ ეგ ნივთებიო, რისა გამო აქაურმა ჩვენმა არქიმანდრიტმა დაუდო ურმებზე და ეჩმიაძინში გაისტუმრაო“.

სახელდობრ, რომელ წელიწადს გაუქმდა გიშის ეპარქია, არავინ იცის. ამის შესახებ ერთმა ნუხელმა თათარმა, არხეოლოგიის მოყვარემ, ასან-ბეგმა 1888 წელს შემდეგი მიაშტო: „უკანასკნელი ომი გიშის ქართველებს შაჰთამაზთან ჰქონიათო. როცა ეს მტერი მოსულა და დაუპყრია ნუხის მაზრის ზოგიერთი ადგილები, მაშინ გიშის თავადები და ბარის ქარ-

*) იხ. „მოგზაურა“ 1902 წ. № 5.

თველობა გიშში შემოხიზნულან და აქ გამაგრებულან მტრის წინააღმდეგ. მაშინ შაჰ-თამაზი¹ მისულა და მოუწყვედევია ქართველობა გიშის ხეობაში და, ძლიერის, ომის შემდეგ, დაუპყრია სოფელი გიში. ამის შემდეგ ქართველობას კიდევ უკან დაუწევია კავკასიის მთისკენ. ისინი შეხიზნულან გიშის ციხეში, რომელიც, სოფლის გიშის ზემოთ, ერთს მთის კალთაზე აშენებული ორთა წყალთა შუა, აქ მსხდარან ამ ქვეყნის გამგენი (ერისთავნი). დიდხანს ერთმანერთი უჭლექითა ქართველთა და სპარსელთ, ქართველების დედაკაცებსაც თავგანწირულად უომნიათ ციხიდგან და დიდი ვნება მიუციათ სპარსელთათვის, მაგრამ ბოლოს მტერთა უმრავლესობას უძლევია ქართველნი და უწყალოდ ამოუწყვეტია ყველანი. რადგანაც ამ ბრძოლაში დიდი მხნეობა და მამაცობა გამოუჩენიათ დედაკაცებს, ამისათვის ხსენებულ ციხეს ნუხის თათრები „ყიზ-ყალას“ (ქალთ-ციხე) ეძახიან. ამ ომის შემდეგ, თუ სადმე კიდევ დარჩენილან ნუხის მაზრის სოფლებში ქართველები, მრავალნი მათგანნიც აყრილან და გადასახლებულან გურჯისტანს (კაკ-ელისენს). მართლაცა და კახში მცხოვრებ გლეხებს — ნადირაშვილებს „გიშელებს“ ეძახდა ივან-ბაბა, რომელმაც დაცემული ქრისტიანობის აღდგინება დაიწყო საინგილოში 1850 წელს. — რად ეძახი ნადირაშვილებს „გიშელებს?“ — ვკითხე ერთხელ იმას და მან პასუხად მითხრა: „მამა-პაპათაგან გაგონილი მაქვსო, რომ ისინი გიშიდგან გადმოსახლებულან კაკში იმ დროს, როცა ნუხის მაზრა ყიზილბაშთ დაუპყრიათო“. იქნება ამ დროს (1551 წელს) გაუქმდა გიშელ ეპისკოპოზთა კათედრაცა?! (იხ. ქრონ. ჟორდ. 391).

გიში შესანიშნავია როგორც ეკლესიურს ისტორიაში, აგრეთვე საქართველოს სამეფო ისტორიაშიაც. აქაური ერისთავები დიდად მიაჩნდათ მეფეებს, რადგან ისინი იყვნენ საქართველოს მცველნი აღმოსავლეთის მხრით. ამისათვის მეფე დავით აღმაშენებელმა, როცა აღმხედრდა თურქების წინააღმდეგ 1125 წელს, პირველად დაიპყრო გიშის საერისთო და

დაიმორჩილა ერისთავნი ასათ და ასამ გრიგოლიძეები. ამის შემდეგ მან დაიპყრო მთლად ნუხისა და ალტაშ-არეშის მაზრები და უმთავრესი ქალაქი ჰერეთისა უახლად, რომელიც მდებარებს ნუხის მაზრაში, ციე-გომბორის მთის სუკის ძირში, მახლობლად უდების სოფლისა, რომელსაც ჰქვიან ნიჯი. მერმე თავის მემკვიდრე შვილის, დიმიტრის წინამძღოლობით მან გაიყვანა ქართველთ ჯარები ტურინ-ჩაის (მდინარის) ხეობაზე და შევიდა შირვანის სახანოში. დიმიტრემ ჩინებულად დაამთავრა დაპყრობა შირვანისა, მერე შემობრუნდა საქართველოში.

დავით აღმაშენებელმა გიშის საერისთო არ მოშალა და არც ერისთავნი გამოსცვალა; მაგრამ მოახდინა ადმინისტრატებური ცვლილება. ერისთავები ასათ და ასამ გრიგოლიძეები ერისთავებადვე დარჩნენ, მაგრამ დაუმორჩილა მეფემ ისინი სასულიერო პირს, სვიმონ ჭყონდიდელს. ამ მთავარებისკობოზს ექვემდებარებოდა მთლად ჰერეთი და შირვანი. ზოგიერთ მწერალთ უკვირთ, დავით აღმაშენებელმა სასულიერო პირი რად დანიშნა გამგებელად ახალ დაპყრობილ მუსულმანთა ქვეყნებშია. მაგრამ აქ არა არის რა გასაკვირი. ჰერეთში ამ დროს ქრისტიანობა იყო და მას ეჭირვებოდა მფარველობა და მხედ დაცვა; ამ საქმეს ვინ უფრო ერთგულად მოეკიდებოდა, თუ არა სასულიერო პირი, მეფის ერთგული პირველი მინისტრი და მსაჯული. გარდა ამისა სასულიერო პირს უფრო გულსმოდგინედ ეჭირვებოდა თვალ-ყური ამ ქვეყნებში მყოფ მუსულმანთა მოძრაობაზე. საჭირო იყო ჰერეთში ქრისტიანობის გაძლიერება, რადგან აღმოსავლეთის მხრით ნუხისა და ალტაშ-არეშის მაზრები იფარავდნენ საქართველოს. თუ ამ მხარეს გაძლიერდებოდა არაბთა მიერ მუსულმანობა, მაშინ კანთიცი ადვილად დაეკარგებოდა საქრისტიანო საქართველოს. მაგრამ, ვგონებ, რომ სვიმონ ჭყონდიდელი გამგებელად არ იყო დანიშნული შაქი-შირვანისა. მეფემ ის დასტოვა ამ მხარეს მხოლოდ საეკლესიო საქმეების გასამართავად. კახეთის

მეფის აღსართანის გამუსულმანების დროს საეკლესიო საქმეები მოშლილი იყო ჰერეთში და ექირვებოდა გამართვა, გასწორება და საქრისტიანო წესზე მოგვარება. ამ საქმეს, რასაკვირველია, ყველაზედ კარგად მთავარ-ეპისკოპოზი სვიმონ ჭყონდიდელა შეასრულებდა. ეს აზრი მით უფრო უმეტესად მეჯერება, რომ აღმაშენებელის შემდეგ სასულიერო პირნი აღარ ყოფილან გამგედ შაქი-შირვანისა, და ნუხის მაზრაში ვხედავთ ისევ ერისთავებად გრიგოლიძეებს, რომელთაც რეზიდენცია გისში აქვთ. ისინი ბატონობენ ნუხის მაზრაში, აღტაშის მხარეს. გრიგოლი მე-II და მე-III გამოჩენილი მხედართ-მთავარნი და გამგენი იყვნენ. პირველი სცხოვრებდა თამარ მეფის მამის დროს. გიორგი მეფეს (მე-III) პირველ ხანს ის ჰყვანდა მიჩნეული; მაგრამ შემდეგში მან უღალატა მეფეს და დემნა ბატონიშვილს მიენებო. გაცხარებულ ბრძოლაში თავის სიფიცხისა გამო ის დაიჭრა და მოკვდაო, ამბობენ ზოგიერთნი, ხოლო მეორენი ჰფიქრობენ, ცოცხალი დაიკარგაო (ქრონიკა უორდ. ნაწ. I, გვ. 261—262).

ამ გრიგოლის დროს ჰერეთის ერისთავად იყო იოანე კოლონკელიძე. ის იყო მთავარი არეშ-აღტაშისა. მას გიორგი მეფის, თამარის მამის-მიერ ჰქონდა ჩაბარებული მხედართ-მთავრობა მთლად ჰერეთის ჯარებისა: ნუხისა, სიღნაღისა, არეშ-აღტაშისა და კაკ-ელისენისა. ის იყო გამოჩენილი მხედარი და ერთგული საქართველოსი. მან არ უღალატა გიორგი მეფეს იმ დროსაც, როცა დემნას გულისთვის ეომებოდნენ მას ორბელიანნი, გიშის ერისთავი გრიგოლიძე II და მრავალნი წარჩინებულნი თავადნი. ამისათვის მეფეს ის კარგადაც მიჩნეული ჰყვანდა. მაგრამ თამარ მეფის დროს გიშის ერისთავმა გრიგოლმა ღრმად მოხუცებული კოლოკელიძე დაჩაგრა. გრიგოლმა წაართვა მის მემკვიდრეებს ჰერეთის ერისთავობა, ხოლო მისმა შვილმა ასათმა დაიპყრო მისი სამთავრო არეში. თამარმაც გრიგოლი დაამტკიცა ჰერეთის ერისთავად და ამ ქვეყნის ჯარების მხედართ-მთავრად, ხოლო

მის შვილს ასათს, რადგან კოლონკელიძე კოცხალი აღარ იყო, მისცა კოლონკელიძის სამთავრო და უფლება სასთუმალზე ჯდომისა (იხ. ქ.-ცხოვ გვ. 283).

გრიგოლი პირველში ერთგული იყო თამარ-მეფისა. მაგრამ პირველი ქმარი რომ დაითხოვა თამარმა, მაშინ მან უღალატა და მიემხრო მისს უღირს ქმარს; ხოლო ოდეს თამარის მტრები დამარცხდნენ, ისიც შეურიგდა თამარს და აღარ უღალატნია მეფისთვის. მეფე თამარიც დიდს პატივსა სცემდა მას ვაჟკაცობისათვის. 1184 წელს საქართველოს ეწვივნენ სპარსეთის პრინცები და გამოჩენილნი ფალავანნი. ისინი იკვებოდნენ წინაშე თამარ მეფისა, რომ ჩვენისთანა მობურთაღნი, მეჯირითენი და ფალავანნი სპარსეთში სხვები აღარ მოიპოვებიათ. მაშინ თამარმა უბრძანა თავის დიდებულთ და გრიგოლს, ჰერეთის ერისთავს, ეჯირითნათ და ეფალავნათ სპარსელებთან. გამოვიდნენ მოედანზე ქართველთ დიდებულნი და მათ შორის გრიგოლი გრიგოლიძეც, და სპარსეთის მეჯირითენი და ფალავნები ქართველთ დამარცხეს წინაშე თამარისა. არა ერთხელ და ორჯელ მან ისახელა თავი გარეშე მტერთან ბრძოლაშიაც. ის მიუძღოდა წინ ჰერეთის ჯარებს და სამაგალითოდ ებრძოდა მტერს (იხ. ქ.-ცხოვ. გვ. 303).

მონგოლების საქართველოში შემოსევის შემდეგაც სჩნდეს გრიგოლი ჰერეთში, მერე აღარა. ვგონებ, იმათ დასტოვებს ნუხის მაზრა და გადმოსახლდნენ სამცხე-საათაბაგოში. ერთ გუჯარში ისინი იხსენებიან ნათესავად ახალციხის თავადებისა: მეფის მეჭურჭლეთ-უხუცესი, ახალციხის ერისთავი, კახა თორელი გიშელთა და ფანასკერთელთ თავის მახლობელ ნათესავად სთვლის (იხ. ჟორდ. გვ. 135).


ამ ეამად გიში ქართველებს აღარ ეკუთვნის. მცხოვრებლები მისი არიან სპარსელები, თათრები და სომხები.

ქალაქს ნუხს ინგილოები ეძახიან ნუხა; ხოლო ნუხელი მუსულმანები უწოდებენ შაქი. ვახუშტი მთლად ნუხის მაზრას

უწოდებს შაჰინი, მცხოვრებლებს შაჰელნი. ასრე უწოდებს მათ ქართლის ცხოვრებაც და მათთან ერთად ასახელებს ხალხს — წანარებს, რომელნიც, როგორც სწერენ სომეხნი მე-XIII საუკუნეში, ლაზარაკობდნენ ქართლს. ენაზე და გამგებელად ჰყოლიათ ქორეპისკოპოსი. იგივე იხსენებიან ქ.-ცხოვრებაში მე-VIII, IX, X და XI საუკუნეში. როცა ქართველთა მეფეებს გაჩემე შტერთაგან განსაცდელი მოადგებოდათ, შაჰელებსა და წანარებს მიიწვევდნენ ხოლმე საშველად (იხ. ქ. ცხოვ. გვ. 182, 187, 215). წანარებს ძლიან უქებენ სომეხთა შწერალნი ვაჟაკობას. მათის თქმულებით, არა ერთხელ მათ კაკალი დაამტვრიეს თავზე არაბთა მხედართ-მთავარს ბულას; მაგრამ ქ.-ცხოვ. ახტიცებს, რომ ბულას მედგრად ებრძოდნენ გარდაბანელნი. ვინ იცის, იქნება გარდაბანელნი და წანარნი ერთი და იგივე ხალხი იყოს. პირველნი სცხოვრებდნენ თბილისიდამ დაწყებული: მარტყოფს, ლილოს, ყარაიაზზე, ოჭრის ხეობაში, უჯარმაში და სხვაგან ამ არემარეში. წანარებსავით იშთაც ძლიან უყვარდათ თავისუფლება და ისინი ირჩევდნენ ქვეყნის გამგებელად კახეთის ქორეპისკოპოზებს; ხოლო წანარნი სახლობდნენ სიღნაღის მაზრის სამხრეთ ნაწილში, საინგილოში, და კავკასიის მთის სამხრეთ-კალთებზე და ხეობებში, როგორცა სწერს ბროსე. ისინი გრივნი არჩილ მეფის პაპის აღარნასეს ამაღლაშიაც. ერთმა მათგანმა მოჰკლა გარდაბანის მთავრის ძმა. აღარნასემ ის არ დასაჯა, და მით გაღიმტერა გარდაბანელი. მას ვერა დააკლო რა და მისი ჯავრი არჩილზე იყარა. გარდაბანელმა მიიღო მაჰმადის სჯული და არჩილი მოაკლევინა არაბთა მხედართ-მთავარს ქიქუმ ასიმს (იხ. ქ.-ცხოვ. გვ. 182). მე-XI საუკ. შემდეგ წანარნი (ესე იგი წასულნი, მონაპირენი) აღარ იხსენებიან ქ.-ცხოვრებაში. ვგონებ, ისინი შეუერთდნენ საქართველოს ერს მას შემდეგ, როცა დავით აღმაშენებელმა დაიპყრო მთლად ჰერეთი და შეუერთა სამეფოს.

მე-XV, XVI, XVII და XVIII საუკუნოებში ქალაქი

8759



ნუხი იხსენიება ქ.-ცხოვრებაში შაქად. ამ საუკუნოებში ის ყოფილა სპარსეთის ხანების სატახტო ქალაქად. ისინი მდგარან იქ, საცა ეხლა რუსების ციხეა (ხანებისაგან აშენებული) და მათი სასახლე აქამდე შენახულია ციხეში. მთავრობა უვლის მას და ყოველი დიდებული, სტუმარი ამ სასახლეში ჩამოჰტება ხოლმე, მისი ოთახები მთლად დახატულია აზიურს გემოვნებაზე. ლომი, მგელი, ვეფხვი, ტურა, შელია, ფრინველები და მხედრები—ყველა ამ სასახლეში ჰხატია. ის არის აგებული აჯი-ჩალაბისაგან. წინ უდგას ორი ისტორიული ჯანდრის ხე. ამბობენ შაქელნი, რომ ხანები დამნაშავეთ განუკითხველად ამ ჯანდრის ხეებზე ჩამოარჩობდნენ ხოლმეო. უკანასკნელს ჰუსეინ-ხანს ერთი ქართველის ჩამოხრჩობაც სდომებია ამ ჯანდრის ხეზე, მაგრამ ის გაჰპარვია მას და მისულა ს. ვართაშენს, იქ დასახლებულა, შეურთავს უდის ქალი ცოლად, ჰყალია ორი ვაჟიშვილი: მიხეილ და სოლომონ ჩიკვაძენი. პირველი აწ ფოსტა-ტელეგრაფის ფუნდრუკის უფროსია, ხოლო მეორე მედავიტნეა ვართაშენის ეკლესიაში.

ვიდრე ნუხსა და ნუხის მაზრას წაართმევდნენ სპარსელნი საქართველოს, მას ბევრი ცეცხლი, არეულ-დარეულობა, ისტორიული ქარიშხალი, ვაი და მწუხარება გამოუვლია. მე-XIII საუკ. დასაწყისში მას შემოესივნენ მონგოლთ ნოინები, ააოხრეს ქალაქი ყაბალა და დაისადგურეს ნუხისა და არემ-აღტაშის მაზრებში, საცა ბლომად და უხვად მოიპოვებოდა საქონლის საკვებავი და ადამიანისთვის საზრდო. ამის გამო შეთხელდა ამ მაზრებში ქართველობა და განმრავლდნენ მონგოლები; მაგრამ 1330 წლამდე ქრისტიანობა მაინც ძლიერი ყოფილა ამ მხარეს. ხსენებულს თარიღში მეფემ გიორგი ბრწყინვალემ ბრძოლა აუტება მონგოლებს, მიღეწა ისინი ნუხისა და არემ-აღტაშის მაზრებში და დაამყარა თავისი უფლება. ამ ლაშქრობაში ძლიერ ისახელეს თავი გიშელ-ქურმუხელთ მთავარ-ეპისკოპოზების სამწყსოს ჯარებმა—ჰე-

რეთელებმა და ამისათვის მეფეშაც გიშელ-ქურმუხელებს მის-
 ცა ნუხის მაზრაში: ზვრები, მამულები, საბალახოები, სათევ-
 ზურნი და მრავალი საჩუქრები. მაგრას 1484 წელს შემოესია
 საქართველოს თემურლენგი. იმან შვიდჯერ გადათარცხა სა-
 ქართველო, ააოხრა სრულიად ნუნ-ალტაშის მაზრები, მიანგრ-
 მოანგრია ეკლესიები და მონასტრები, მკვიდრნი ქართველნი
 გასწყვიტა და გააძლიერა მუსულმანობა. ვინც ქართველობა
 სიკვდილს გადურჩა, ისინიც ზოგნი შეუერთდნენ თათრობას,
 ზოგნი კახეთისკენ გამოიქცნენ. ამის შემდეგ გაძლიერდა
 სპარსეთიც. შაჰ-თამაში შემოვიდა ნუხის მაზრაში, დაიპყრო
 შაქის ციხე 1551 წელს, მიაგლიჯა შაქი საქართველოს და
 დააყენა გამგებელად ვიდაცა ასან-ბეგი; მაგრამ მალე ამან
 უღალადა სპარსეთს და გამოაცხადა თავი თვისი დამოუკიდე-
 ბელ მფლობელად შაქი-შირვანისა. მაშინ კახეთის მეფე ლეო-
 ნი მიემხრო სპარსეთს და აღმხედრდა ასან-ბეგის წინააღმდეგ.
 მან დაამარცხა მისი ჯარები და მოჰკლა ასან-ბეგი სომხის
 სოფლის სებეთტუს მახლობლად, იმ ალაგას, რომელსაც
 აღყაზურს (თეთრი სამარე) ეძახიან. აქვეა დასაფლავებული.
 მეორე წელს (1548) მანვე მოჰკლა ომში მემკვიდრე შვილი
 ასან-ბეგისა დერვიშ-ბეგი და ამ სახით დიდი სამსახური გაუ-
 წია სპარსეთს, მაგრამ უკანასკნელმა არ დაიხსოვა მეფის სი-
 კეთე. შაჰ-თამაზმა გამოილაშქრა საქართველოზე, ააოხრა
 თბილისი და ქართლი, მერე გაბრუნდა, დაიპყრო ნუხის მა-
 ზრა და უფრო მკვიდრად შეუერთა შირვან-შახის სამფლობე-
 ლოს. ახლა საქართველომაც სრულიად ხელი აიღო ნუნ-
 ალტაშის მაზრებზე, დაწია უკან კახეთის სამეფოს მიჯნა
 საინგილომდე, რომელსაც ამის შემდეგ დაერქვა გურჯისტანი.
 ნუნ-ალტაშის მაზრები ამ დროიდან დაეკარგა საქართველოს.
 ის დაიმკვიდრეს მუსულმანებმა.

1494 წელს უკვე ძლიერი იყო მუსულმანობა ქალაქს
 ნუხში, და ნუხელი თათრები ბრიყობდნენ მოვაჭრე ქართვე-
 ლებს. საათაბაგოდგან ერთმა მესხმა აბრეშუმი მოიტანა ნუხს

გასასყიდათ. თათარი და ქართველი ფულზე ვერ მორიგდნენ, მოუხდათ ჩხუბი. თათარმა სცემა მესხს, წაართო აბრეშუმი და გააგდო. მესხმა დაჰქადა თათარს: „წავალ ჩემს ბატონს ათაბაგ ყვარყვარესთან ვიჩივლებო“ ეწყინა თავ-გასულ თათარს კადილი და უპასუხა: „შენმა ათაბაგმა ყურებით ჩემს დუქნის დარაბაზე არ მიმბასო“. მესხმა პართლაც იჩივლა თავის ბატონთან, როცა დაბრუნდა სამშობლოში. იწყინა ყვარყვარე მე-III ათაბაგმაც. შეჰყარა 500 ცხენოსანი, ანაზღეულად შევიდა ნუხში, მესხის ეტიკობით მივიდა დუქანთან, დაიჭირა თავისი შეურაცხყოფელი თათარი, მიულურსმა ყური დარაბაზე, მერე აიკლო ნუხი და გამობრუნდა (იხ. ქ. ცხოვ. გვ. 157 I ნაწ.). ცხადია, რომ მუსულმანობა ამ დროს გაძლიერებული ყოფილა ნუხში.

ეს ამბავი მოჰხდა 1494 წელს. ვინ იყო ამ დროს ხანი ნუხისა? აჯი-ჩალაბის წინაპარნი, თუ სხვა რომელიმე სპარსელთ ხანი?.. ისტორიამ ამას არ გვატყობინებს. მე საინტერესოდ მიმაჩნია ეს კითხვა იმისათვის, რომ ირაკლი მეფესთან მებრძოლ აჯი-ჩალაბი ხანზე ვილაკას მოუქორებიან, რომ ის სომეხთ ტერტერას შვილი იყო. მაგრამ, როგორც მიაშრო მე 1888 წელს ბეგუმ-ხანუმმა, აჯი-ჩალაბის შთამომავალმა, ეს თქმულება სომეხებისაგან მოგონილ სიცრუევს უნდა შეადგენდეს; ხოლო ის მოიგონეს სომეხებმა იმ განზრახვით, რომ ნუხის მაზრა სომეხთ მიწა-წყლად ჩარიცხონ, ისტორიით მიითვისონ, დაიჩემონ, დაისაკუთრონ. თუ მართლაც ნუხის ხანი აჯი-ჩალაბი, სომეხი (ტერტერას შვილი) იყო, მაშინ ნუხს მაზრაც სომეხებისა იქნებოდა და მაშინ გიშის ეკლესიაც სომეხთა საკუთრებად ჩაითვლებოდა. აი რა მიაშრო ამ ზღაპრის შესახებ აჯი-ჩალაბის შვილის-შვილმა ბეგუმ-ხანუმმა, როცა 1889 წელს მე მას ვუამბე ზღაპარი იმის პაპის აჯი-ჩალაბის ვინაობაზე და ჩამომავლობაზე. — „ღმერთმა ნუქნასო, — მიპასუხა მან გაკვირვებულმა, — რომ ჩვენ სომხის ტერტერას შთამომავლობა გვქონდესო. ეს არაკი ვის გამო-

გონილიაო. აჯი-ჩალაბის მამა ნამდვილი სპარსელი ყოფილა, სთქვა და იმან დედა თ. ორბელიანთი ქალი. მისი პაპის-პაპა, როგორც გამიგონია, ჩვენს სახლში მოსულა სპარსეთიდან. სპარსეთის შახების შექწეობით მას დიდი გავლენა მოუპოვებია ნუხის მაზრაში, იმ დროს ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ ქართველობა ყოფილა და გიშის ეკლესიაში თურმე მღვდლად იყო ვილაცა თავად ორბელიანთაგანი. იმას ჰყოლია ძალიან ლამაზი გასათხოვარი ქალი. ის მოსწონებია აჯი-ჩალაბის წინაპარს და უთხოვნია მღვდლისაგან ცოლად. მღვდელს მიცემის სურვილი არა ჰქონია, მაგრამ ძალა-უნებურად დათანხმებულა, მხოლოდ იმ პირობით, რომ მას გიშის მდინარიდგან არხით წყალი გადმოეტარებინა ნუხის თავზე და გამოეყვანა იმ ეკლესიამდე, რომელიც აი აქ (შიჩვენა ალაგი ხელის გაშვერით) ხევში ყოფილა აშენებული, და მის გარშემო ქართველთ მოსახლეობა ყოფილა. ამ ალაგას ეხლა-ხანს ძველებური სასაფლაოც აღმოჩნდა, როცა წვიმის წყალმა ჩამორეცხა იქაურობა და ჩახრამა. მას პირობა შეუსრულებია და მღვდელს ორბელიანსაც ქალი მიუთხოვებია. აი ამ ხუცეს ორბელიანის ქალი ყოფილა აჯი-ჩალაბის დედა. ასრე ამ სახით ორბელიანთი ქალი ყოფილა მამი-ჩემის ბებია, და ამისა გამო ჩვენა და ორბელიანნი ერთმანერთს ვენათესავეებითო: ჩემს პატარაობაში არა ერთხელ მე მინახავს ორბელიანნი, როგორც ნათესაენი, ჩვენს სახლშიო“ — დაასრულა ბეგუმ-ხანუმმა.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ არხი, რომელზედაც აჯი-ჩალაბის ნორჩმა ილაპარაკა, ახლაც არსებობს და შიგ მომდინარეობს გიშის მდინარიდგან ბლომად წყალი; უნდა ნამდვილ ქეშმარიტებად მივიღოთ ისტორია აჯი-ჩალაბის შთამომავლობისა, ხოლო მისი ტერტერას შეილობა უარვეყოთ, როგორც შეთხზული რომელიმე პატრიოტ სომხისაგან სენკოვსკის დროიდგან.

რასაკვირველია, ეწყინებათ სომხებს, რომ აჯი-ჩალაბის სომხური ჩამომავლობა უარი ჰყო ბეგუმ-ხანუმმა, მაგრამ აქ

წყენას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ისტორია სიმართლეს მისდევს, არავის პირში არ ეფერება.

ისტორია საქართველოსი და სომხებისა გვიმტკიცებენ, რომ ნუხის მაზრა საქართველოს ნაწილია და ყოველივე აქაურობაში დარჩენილი ქრისტიანული სახსოვარნი საქართველოს ეკლესიას ეკუთვნის. ცრუვიან სომეხთ მსწავლულნი, როცა ამბობენ, რომ ნუხის მაზრა არმენიის შუაგულს შეადგენსო. კახეთში რა უნდა სომეხებს, სომეხთი ფრიგიის მახლობლად მოძებნონ სომეხთ მამულიშვილებმა! ოსმალეთმა იმათ წაართვა სამშობლო, ახლა იჩემებენ საქართველოს ნაწილებს. მაგრამ ფუჟია მათი მეცადინეობა. ნუხ-ალტაშის მაზრა ეკუთვნის ჰერეთს, ხოლო ჰერეთი არის ნაწილი კახეთისა. სომეხთ ისტორიკოსები ეგიშე, კალანკატვაცი, ვარდან დიდი და სხვანი ამტკიცებენ, რომ ნუხის მაზრა ქ. ყაბალამდე და ხალხალამდე ივერიას ეკუთვნისო, და ამას იქით იწყება ალბანია კასპის ზღვამდე, მაშასადამე ტყუილად იჩემებენ სომეხნი ძველებურს ქართველთ ეკლესიებს ამ არე-მარეში. ნუხის არე-მარეში იმათ არაა ჰქონიათ არც ერთი ეკლესია. ნუხის მახლობლად სოფ. ზაგზითში არის ორი ძველებური ეკლესია. ისინიც აღუშენებია დავით აღმაშენებელს და არა სომეხთ, წინაპართ, ამას ამტკიცებენ მათნი წარწერანი, რომელიც გადმოსწერა განსვენებულმა ღვინიევმა, აღსნა დრო მათი აღშენებისა და დააბეჭდვინა ჟურნალ „Юридическое обозрѣніе“-ში 1886 წელსჲ. მაგრამ ნუხის სომეხები მეცადინეობენ ისინი დაისაკუთრონ, მისინი ყოველ წლივ დადარებიან ამ ეკლესიებში სალოცავად, შემოუმიგრებიან კიდევ მათი ეზოები და მეღასავით ვალერსებიან დასაპყრობად. ეჭვი არ არის, რომ ისინი მალე გააქრობენ მათზე მყოფ ქართულ წარწერებსაც კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ბ. ღვინიევმა მოასწრო მათი გადმოწერა. მე უკვე შევიტყე, რომ ნუხელი სომეხები არწმუნებენ, სა ზაგზითის მცხოვრებ თათრებს, რომ მათ სოფელში მყოფი ძველებური ეკლესიები

ვიომც სომეხთა წინაპართაგან არიან აშენებულნი.— უკაც-
რაოდ კი არ ვიყო და—სომხებს სოფ. ორობანის წმინდა
გიორგის ეკლესიაც უნდა ჩამოგართო. უსირცხვილოებს ამ
ეკლესიის კედლიდგან გამოუძვრიათ ქართულად წარწერილი
ქვა და მის მაგიერად სომხურად წარწერილი ჩაუკვრებიათ
კედელში. „ფიცო მრწამს და ბოლო მაკვირვებსო“, რომ იტ-
ყვიან, სწორედ ასრე მოსდრთ სომხებს. დალოცვილებს არ
უფიქრიათ, რომ სოფელი, რომელსაც ეკუთვნის ეკლესია,
ჰქვიან ქართული წოდება „ორობანი“ ანუ, უფრო სწორედ
რომ ვსთქვათ, „ორ-უბანი“. რა დიდი გამოცნობა უნდა,
რომ ქართული სიტყვა არ ერქმევიდა სომხურს სოფელს.
აქედგან ვანა რომ ცხადია და უეჭველი, რომ სოფელიც
ქართველებისა ყოფილად და წმ. გიორგის ეკლესიაც, რომე-
ლიც სომხებს დაუჩემებიათ, რადგან ძალიან უწყვართ სხვათა
ქონებაზე ხელის ღობობა.

სოფელი ორობანი მდებარებს ზემო-ქუჩუთის შიგნით,
მახლობლად იმ ალაგისა, რომელსაც თათრები ეძახიან „ურუს-
ლარ“. ასეთი სახელი დარქმევიდა ამ ალაგს იმ მიზეზით, რომ
მე-XIX საუკუნის პირველი ნახევარში მთავრობის ამ ვეზზე
რუსები დაუსახლებია, მაგრამ მათ ივერ ვაუძლიათ სიცხისა
გამო, აყრილან და წასულიან იქედგან. ახლა ყოველგან სომ-
ხები და გასომხებული უდები მონაჯარდობენ. აქვეა სოფელზე
მუხანსის, აქაც უდები სცხოვრობენ. წინათ მართლმადიდებელ
სარწმუნოებას აღიარებდნენ. ნუხის ხელების დროს უმწყემ-
სოდ დარჩენილან, ამისათვის უნათვლინებიათ ტერტერასათვის
შვილები, აღუსრულებინებიათ უხვა-და-სხვა ქრისტიანული
წესები და ამ გზით ნელა-ნელა გასომხებულან.

ორობანის პირის-პირ ღრმა ხეობაში მდებარებს ჩრი
სოფელი: ქვემო-ქუჩუთი და ზემო-ქუჩუთი. ზემოთ სცხოვრე-
ბენ თათრები 1794 სულამდე. აქაც ყოფილან ქართველთ
ეკლესია, მაგრამ აწ დაქცეულია. პაპა ჩემი ისაჲ ჯანაშვილი
მეტყოდა ხოლმე, რომ ჩემნი წინაპარნი ამ სოფლიდგან გად-

მოსახლებულან სოფ. კაკშიო. ესე სოფელი „ქუნგუთი“ მო-
იხსენიება გუჯრებსა და სიგელებშიაც და ირიცხება ქართ-
ველთა საეკლესიო მამულად (იხ. ქრონ. ეორდ.).

ამ სოფლიდგან 15 ვერსია სოფ. ქალეთამდე. ქალეთი
(ანუ ჯალეთი) ახლა სომეხთ სოფელია. უწინ ქართველები
სახლებულან. სომეხები აქ მოსულან ნადირ-შახის დროს. ამას
ამტკიცებს ბუტკოვი, რომელიც აღწერს სომეხების ამ მხარეს
გადმოსახლებას მე-XVIII საუკუნეში. ჭაჭეთი წარმოსდგება
ქართულის სიტყვიდგან „ქალა“. იგი წოდება შეჰფერის სო-
ფლის მდებარე ადგილისაც. ვართაშნის უღებიც ამტკიცებენ,
რომ არც სოფელი ჭაჭეთი, არც მისი ძველი ეკლესია უწინ
სომეხებისა არ ყოფილა, და იქ სახლებულან ქართველები და
იმათი ეკლესიებო.

ძველებური ქართველთ ეკლესია, ქალეთში მყოფი, სომ-
ხებს რომ დაუჭერიათ, თავიანთებურად მოუნათლავთ. ეხლა
იმასა ჰქვიან სუბ-საკქისი. ის მეტის-მეტად ძველი ეკლესიაა.
იგი მალე დაინგრევა, აწ დაკეტილია და წირვა-ლოცვა აღარ
სრულდება. 1899 წელს გავადებინე სომხებს კარები, შევე-
დი შიგ, მაგრამ შევშინდი, არ დაინგრესო და მალე უკანვე
გამოვედი. ეტყობა, რომ ეკლესია ძველი ყოფილა მაშინაც,
როცა სომხებს დაუჩემებიათ, რისა გამო ეკლესიის თაღში
ცოტაოდენა მონგრეული ალაგი ღორღითა და აგურის ნა-
მტვრევებით აქვთ შეკეთებული. შემოუარე ეკლესიას გარშე-
მო. მას სამხრეთ კედელში ორი წარწერილი ქვა აქვს: ერთი
ახალია, მეორე ძველი. ძველი წარწერილი ქვა ჯერ გამოუ-
ძვრიათ კედლიდგან, მერე მოუბრუნებიათ და იქვე კედელში
ჩაუსვამთ უკულმა. ეტყობა მას ქართული ხეცური ასოები,
მაგრამ ისეთი ძველია, რომ ვერ წავიკითხე. სომხებს შევე-
ხვეწე, წამიკითხეთ ახალს ქვაზე რა სწერიათქო, მაგრამ სურ-
ვილი არ აღმისრულეს; არ ვიცი, არ იხებეს მისი შინაარსის
ჩემთვის შეტყობინება, თუ მართლაც ვერ ჰკითხულობდნენ

მას, როგორც მიიხრეს. ვფიქრობ კი რომ ძველი ქვის წარწერა ახალზე გადმოუღლიათ.

მის მახლობლად ამ რაშდენჩმე, წელში აღუშენებიათ სომხებს თლილის ქვით სხვა ეკლესია და დაურქმევიათ სახელად ვანქა. იგი გუჰათიანია და მშვენიერი. ძველს გუჰათი არა აქვს. მდებარება ისეთი მშვენიერი აქვს ორივე ეკლესიას, რომ მასზე უკეთესი აღარ შეიძლება ამ არე-მარეში. გვერდით პატარა წყალიც ჩამოუღის კავკასიის მთებიდან და იგი კალმახით საუსეა.

სოფელს ქალეთს სხვა ეკლესია არა აქვს. ხალხი დაიარება კვირა-უქმეებში სალოცავად ახალს ეკლესიაში. იქა სცხოვრებს მხოლოდ ერთი ბერი სომხისა, რადგან ამ მახლობელ დროში ეკლესია მონასტრად უქცევია სომეხთ სასულირო მთავრობას. მასა აქვს სახნავ-სათესი მიწები და მშვენიერი ტყეცა ზემოთ მხარეს. ეტყობა უწინ მასა ჰქონია დიდი ზვარიცა, მაგრამ აოხრებულა და ზვარი სომეხთ სახნავ მიწად უქცევიათ. ზვრობა იმაზე ეტყობა მას, რომ მრავლად დარჩენილა აქამდე ხეხილების ხეები და ვაზები. მსხალი, ვაშლი, წაბლი, თხილი, შეინდი, კაკალი და სხვ. მთავარ-ეპისკოპოზი კირილე დონაური სწერს, რომ გიშელ-ქურმუხელთ მეფე გიორგი ბრწყინვალემ ზვრები დაუმტკიცა სოფელს ვართაშენშიო, ხოლო ქალეთი აქედგან, ორ ვერსის სიშორეზე მდებარებს. მე მეგონა, სომეხების თაღლითობა ქლეთის ეკლესიის მამულების შესახებ გამოაშკარავდებოდა, როცა მეფევიო კომისია მოსთხოვდა მონასტერს საბუთებს ტყისა და მიწების ფლობელობისას, მაგრამ თბილისის ოლქის მეორე განყოფილებამ გაარჩიმ სამიწო საქმეები და წერილობითი საბუთები არ მოსთხოვა ქალეთის მონასტერს.

ინგილო ჯანაშვილი.

(შემდეგი აქნება)

ს ვ ა ნ ე თ ი

(შემდეგ *)

ზემოთ მოგახსენეთ, რომ სვანმა მისს წარსულზედ ბევრი არაფერი არ იცის-მეთქი. მარსალია დარჩენილან აქამომდე რამდენიმე გარდმოცემანი, მაგრამ ესენი უფრო ახლო-მახლო დროს შეიხებებიან, ვიდრე ძველსა. ხალხს კარგათ ახსოვს თამარ მეფე. ერთს ლექსში იგი იხსენიებს თამარ დედოფალს:

„თამარ დედფალ, თამარე! თამარ დედოფალო, თამარავ!
თხუმას ჯაგან ზურჩიო! თავსა გედგა ზურჩიო!
რაშილდს ხასგურ, თამარე! რაშზედ იჯექ, თამარავ!
ჰუნგირ ჯიგან ლუშკაღი, უნაგირი მოქედითი (გედგა),
ჰალვირ ჯისდან ლუკვები; ალვირიცა კოპებიანი (გედო)!
ქოშარ ჯასდან ოქროში“ კოშებიცა ოქროსანი (გეცვა).
და სხვა.

ეს ლექსი ძლიერ გავრცელებულია და თერხულზედაც იმღერება, უმეტეს ნაწილად ქალები ძღერდნენ.

სვანების წარსულსა და მისს ომიანობას, შორს რომ არ წავიდეთ, თვით კოშკები გვიმტკიცებენ და გვეუბნებიან, რომ ძველად იგინი ძლიერ მეომარი ხალხი ყოფილდა. არ არის სახლი, რომ მას კოშკი არა ჰქონდეს მიდგმული. ეს კოშკები, სწორეთა სთქვას კაცმა, სამაგალითო არხიტექტურულის გემოთი არიან აგებულნი: მაღალი, სწორი, მაგარი და თეთრად შეღესილი კოშკი იქაურობას ამშვენებს. ჩვენის თქმრით, ეს კოშკები აგებულა მე-XIII საუკუნეში, როდესაც

*) იხ. „მოგზაური“, № 6.

მთელი საქართველო აწეწილ-დაწეწილი იყო და ყველა თავისაკენ იწევდა. სვანეთიც მაშინ განზედ გააგა და თავისი საკუთარი გამგეობა გაიჩინა, რასაკვირველია, არა მტკიცე და დროებითი. მასაც მისი მტერი ჰყავდა: სამეგრელო, აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სხვა. ყველას უნდოდა, რომ სვანეთი დაემორჩილებინა და მით მძლავრი ასაბია მოენახა, მაგრამ სვანეთის დაპყრობა ასე ადვილი არ იყო, „ერთობილნი სვანნი“, რიგორც თითონ იხსენიებენ წიგნებში (წანაწერები საღმრთო წერილის წიგნებზედ), პირიქით აბეგრებდნენ მათ და საქმეს უჭირებდნენ. უფრო მძლავრი იქმნებოდა სვანეთი, რომ მას შინაური ომი არა ჰქონოდა: სოფელი სოფელს ემტერებოდა, საზოგადოება საზოგადოებას. საღადმშქელიანთ სვანეთი თავისუფალს სვანეთს და მეზობელ მეზობელს. აი ამისთანა დრომ გამოიწვია კომუკების აგება:

ეს დრო იყო სწორეთ არეულობის დრო: ერთმანეთის შიშით კაცს გარეთ ვეღარ გამოდიოდა, ჭახშირდა, ვაცის კვლა, სახლის გატეხა, ერთმანეთის დაჭერა, გაყიდვა ტყვეებისა და სხვა უბედურობა. იმ დროში სახლის გატეხა და იქიდგან ქონების გამოტანა, ან კაცის დაჭერა სასახლოდ მიაჩნდათ; მას ეძახოდნენ „(ლი)ჰმახვალს“ (მახვილი). კაცს რომ დაიჭერდნენ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მას მისი ჭირის უფალნი იგაძრისყიდდნენ. მართლაც ამისთანა შემთხვევისათვის დადებული იყო ეგრეთ წოდებული „ტყვემშე“ (ტყვეის დასახსნელი), რომელიც ზოგან 24 მანეთს უდრიდა, ზოგან 40 მეტს და რომლის მიცემის შემდეგ ტყვეს გვანთავის სუფლებდნენ. იყო მაგალითი, რომ თუ ჭირისუფალი არა ჰყავდა, ან ძლიერ სუსტი — ტყვეს გაჰყიდდნენ ან სვანეთში ვე ან ჩრდილოეთ კავკასიაში (მაჰმადიანებში). ფაშის მიღებაჲ კი ერთმანეთში მორიგებით იყო მართლაც, ამ გვარად ბჭერი წევრი მოაკლდა მართლ-მადიდებელს ეჭკოღისას და ისლამიზს მიეკედლა.

ისიც ხდებოდა, რომ თუ ტყვე შეძლებული თემისა იყო,

შიშისაგამო „ტყვემის“ ველარ ახლევინებდნენ და ისე თავისუფლებდნენ. დატყვევებას, სახლის გატებას და კვლას, რასაკვირველია, სამაგიერო ჰყვებოდა — სისხლს იღებდნენ. ამ გვარად „სისხლის აღებამ“ (ლიწვრი) ღრმათ გაიდგა ფესვი, გამძლავრდა. ეს სენი იმდენად იყო გამჯდარი ძვალ-რბილში სვანთა შორის, რომ ეხლაც არ არის მისუსტებული სრულიად. ამ ჩხუბს და უსიამოვნებას მორიგედაც მოჰყვებოდა ხოლმე. აი, აქ მოქმედებდა სვანთა იურიდიული მხარე, მართლმსაჯულება — ეგრეთ წოდებულნი მედიატორენი (შორვალ). ორი, ან სამი კაცი (მისდა მიხედვით, თუ როგორი საქმეა საქმე იყო გასარიგებელი), იკისრებდა მოციქულობას (მეცქვილარ) მხარეთა შორის, რომ საქმე მორიგებით გაეთავებინათ. აქ, რასაკვირველია, მოციქულებს ბევრი ხვეწნა-მუდარება სჭირდებოდათ, მხარების ყაბულს მოყვანისათვის: ერთი მისას ამბობდა, მეორე მისას გაიძახოდა. ბოლოს, დაიყაბულდნენ მედიატორების გამორჩევაზედ: ყველა თავისათვის ირჩევდა მედიატორეს ორ-ორს, გინა სამ-სამს, ან მეტს; ერთიც თავმჯდომარესავით საერთოთ უნდა ყოფილიყო გამორჩეული. ირჩევდნენ იმისთანებს (ხშირათ ნათესავებს), რომლებთანაც კარგი განწყობილნი იყვნენ და რომლებზედაც იმედი ჰქონდათ. ხშირად მოხდებოდა, რომ მხარეები ვერ შეთანხმდებოდნენ მედიატორების გამორჩევაზედ, ე. ი., ერთი რომ რომელიმეს დაასახელებდა, იმას მეორე იწუნებდა: იგი მე მემტერებაო, ან უსამართლოა, ან ხატი არა სწამსო და სხვა, ამ შემთხვევაში თვით მოციქულები არჩევდნენ მოსამართლეებს. — მედიატორები შეიკრიბებოდნენ და მხარეებს დააჟიცებდნენ, რათა ყოველივე სიმართლით ეჩვენებინათ და მათს განჩინებაზედ ყაბულს გამხდარიყვნენ, აჟიცებდნენ ცხოველსა (უტხვ) და მძლავრს ხატზედ. შემდეგ გაუმასპინძლდებოდნენ ორივე მხარენი რიგრიგად. აქ მოსახლე სცდილობდა ჯეროვანი პატივისცემა მიეცა მსაჯულებისათვის, ჭამის დროს (მანამდისაც) მხარეები ამბობდნენ „სარჩელ“-ს (საჩივარი), დაწვრილებით თავიდგან

თუ რაიმე ახსოვდათ, ლაპარაკობდა უმეტეს ნაწილად მჭევრმეტყველი, რომელიც სვანს ძლიერ მოსწონს. ხარჯის გათავების შემდეგ მედიატორები დასხდებოდნენ სადმე განცალკევებით და ჰქონდათ სჯაზბასის საქმეზედ. მსაჯულები ერთმანეთს რომ ვერ შევთანხმებოდნენ, ხშირად სჯაზბასამს დღეს გასტანდა, ხშირად ძულაც დაიშლებოდნენ. თუ კი მორიდებოდნენ, ზეპირ განაჩენს დაადგენდნენ და მიწაში, ნიშნად სიმაგრისა, ყუას დაუსობდნენ, რათა შემდეგ არაფერს არ გადაეფიცა. საქმის დასრულებას მხარეებს შეატყობინებდნენ. ესენი თავის დასაჯერებლად ხშირად ფიცში შეიწყვანდნენ ხოლმე მსაჯულებს, რომ საქმე მიკვრებით არ ყოფილყოხვარჩეული. ამ შემთხვევაში მხარეებს (რომელიც აფიცებდა) უნდა მიეცათ თითო-მსაჯულისათვის ორ-ორი მანეთი (ზოგჯერ სამ-სამი), შემდეგ აცხადებდნენ განჩინებას (ნამოროვ), აცხადებდნენ უტყუეთესი მოლაპარაკე. როგორც

თუ კაცის მოკვლის საქმეს ასამართლებდნენ, ამ შემთხვევაში მსაჯულნი ვერცე წოდებულს „წორს“ (ჩისხლის უასი) უწყვეტავდნენ; „წორი“ ორთა შუა რიცხვით უდრიდა 1500 მანეთს, მაგრამ განირჩეოდა გლეხის „წორი“ აზნაურის „წორისაგან“, რომელიც პირველზედ თითქმის ორჯელ მეტი იყო. ხშირად გლეხების საქმეში მოსამართლედ აზნაურნიც ერივნენ. ამ შემთხვევაში ერთი აზნაურს უდრიდა ორს გლეხს და მის მაგიერ მეორე მხარეს ნება ჰქონდა ორი გლეხი გამოერჩია მოსამართლედ, აქ-კი გამოსჩანს აზნაურის უპირატესობა გლეხთან. ცოლ-ქმრებისაგან, ან დანიშნულებისაგან ერთმანეთის მიტოვება თითქმის სისხლის სამართლის საქმესაუთ ძნელად მიდიოდა და მორიგების შემდეგ მოსამართლენი სწყვეტავდნენ ვერცე წოდებულს „ნაცვრიელს“ (დატოვების მაგიერი), რომელიც 500—600 მანეთამდე აღიოდა.

გასამართლების შემდეგ განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ უმეტეს ნაწილად მოციქულებს. მოკლულის ჭირისუფალნი ან დატოვებული ცოლისაგან, ვინა ქმრისაგან, მიჰყავდათ დამნა-

შავის სახლში, რომელიც გარდა გარდაწყვეტილისა, ასაჩუქრებდა სათითოულოდ ყველას. შემდეგ მისვლა-მოსვლა ისევ ხშირდებოდა მათ შორის, მაგრამ რომ დაჰკვირვებოდით, ეს კავშირი ვერ იყო გულ-წრფელი. გულ-უწრფელობა მკლავდებოდა მეტადრე მოზარდ თაობისაგან, რომელიც არ იფიწყებდა სისხლს და სულ იმას ფიქრობდა, რომ სისხლი ამოვლო. მას ყველგან, შინ და გარეთ, ჭირში და ლხინში სულ ამის ამბავი ესმოდა, ესმოდა და გული ბრაზით ვესებოდა. რაც უნდა ბუნებია კეთილი ყოფილიყო სვანი, მას საზოგადოება, სადაც იგი სცხოვრებდა, ისე გადააკეთებდა — გამოზრდიდა, რომ დანაშაულობის ჩადენა აქ ჩვეულებრივი საქმე იყო, სისხლი უთუოდ უნდა გადახდილიყო. ყველა მიხვდება, რომ ამ გვარს პირობებში სისხლის აღება არამც თუ ვერ მოისპობოდა, არამედ გამძლავრდებოდა. აშკარაა აგრეთვე, რომ ამ შემთხვევაში, იურიდიულად რომ გავშინჯოთ, თითონ კაცის მკვლელი კი არ იყო დამნაშავე, არამედ მთელი საზოგადოება; ის მხოლოდ იარაღი იყო. ხშირად სისხლის აღება 30—60 წლის შემდეგ, ან კიდევ გვიან მოხდებოდა შეილებიდან, ან შეილის-შეილებიდან, თუნდაც რომ შერიგებულნი ყოფილიყვნენ. აქ მკითხველს ეჭვი დაებადება, რომ, მაშასადამე, სვანს ფიცი არა სწამებიაო. არა, სვანს წინეთ ფიცი ძლიერა სწამდა, მაგრამ ვიმეორებთ, აქ ფიცის გატეხა არ გამოდიოდა, რადგან თვით მთელი საზოგადოება ჩადიოდა დანაშაულობას. გარდა ამისა, რადგან მკვლევლობას მეორე მკვლევლობა ხშირად გვიმნ მოჰყვებოდა ხოლმე, ამიტომ ფიცი, როგორც ამბობდნენ, გარეცხილი ჰქონდათ, მაზედ აღარ გადადიოდა.

ფიცი სვანეთში ორგვარი არსებობდა (ეხლაც): ერთი უბრალო ფიცი, რომელსაც სვანები „ლინბანალს“ ანუ „ნაბანს“ ეძახიან. ეს სიტყვა წარმოსდგა უთუოდ ნაბანისაგან, რადგან ძველათ დაფიცების დროს ხშირად ხატის ნაბანსაც ასმევდნენ ხოლმე. მეორე, უფრო მაგარი ფიცი, არის ეგრეთ

წოდებული „გარცამ“. სიტყვა „გარცამ“ წარმომდგარია გარდაცემისაგან; რადგან ესე გვარი ფიცის მიღება, თითქმის გარდაცემასა ჰგავს. ფიცი გარცამი ასე ხდებოდა: შევიდოდნენ ეკლესიაში, ანუ ხატს გარეთ გამოიტანდნენ, დააყენებდნენ ერთად დასაფიცებლებს, წინ დაუდგებოდა დამფიცებელი (ფინც აფიცებდა), დაიწყებდა ფიცის სიტყვებს. თუ რა საგანზედ აფიცებდა, და შემდეგ ნიშნად თანხმობისა, დაფიცებულნი გაივლიდნენ ჯოხს ქვეშ, რომლის თავზედ ხატი ესვენა. აი მაგალითი ფიცის სიტყვებისა:

— ხოშა ღერბეთ! ჩიმიშ მუნსე სი ხი! ათხე სი ჯიღენე ალ მარე; სი ჩუემა აჯკუშეს ი გუისფა უეჯსიპას—დეცხანჩუ უჩხა ი შდუ ა ანლრი; გიმხანაგი მელ ი მუწალ ანლრი; ლიც ბაჩე ხიღე, ხოშა ჰალაი ქვიშა იღისე, —ისგვა მუკვშად ამშელდ თვეთნე ხან ი თვეთნე გიცარ ლაძღვენის, ხოშა ღერმეთ, ეჯლაი ამი უკადდ ნომა ათუგენე! ამბუარდდ ლირდე ოხოშის: ხოლა მაზიმ ახზიგენ; ჩუადგანეს, ეჩა ბუასდ ლაქუნ ნომა ხაყრი! ქრისტეშთე ნომა ხადღუნდეს! ფისემი ცომბთე ი ჯაჭართე ათაკვრი! ლადი ალ მარა ხოგურცამი ი ქამადმა აღიას, —ამეი ხაყრი! ქრისტედ შიჩა მოწმარალ სგალახერნას ი ლამარიად სეფისკვერ ლაიას—ალ გარცამიშმუკვშე მარემბ უკადდ ნომა ათუგენე! ი ამენ! (მაღალო ღმერთო! ყოველივეს შემოქმედი შენა ხარ! ეხლა შენა გფიცულობს ეს კაცი; შენ თუ გაგტეხოს, ანუ გულში გადაასხვაფეროს, —ციდგან წვიმა და თოვლი მოდის; მიწიდგან მოლი და ჯეჯილი ამოდის; წყალს ქვა მოაქვს, დიდი წყალი ქვიშას იღებს, —შენმა გამტეხმა ამდენი თეთრი ხარი და თეთრი ცხვარი გიძღვნას, მაღალო ღმერთო, მაინც ამის ამოუწყვეტლად ნუ დადგები! სააქაოს სიცოცხლე მოუსპე: ცუდი სენი შეჰყარე! მოკვდეს და საიქიოს ცხონებას ნუ აღირსებ! ქრისტესათანა წილი ნუ ექმნების! ფისის ტბაში და ქირში ჩაადგე! დღეს მე ამ კაცს ვაფიცებ და არ გაიტანოს, —ასე უქენი! ქრისტემ რომ მისი მოციქულები თან იახლოს და ღვთისმშობელმა სეფისკვერი

თან მოიღოს, — ამ ფიცის გამტეხის სამოუწყვეტლად ნუ დადგები! ამინ!).

შინ რომ ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ სვანები, იმ დროს, თუ საჭიროება მოითხოვდა, საზოგადო მტერსაც საერთო ძალით იგერებდნენ. მათს ომიანობას კერძო და ძალმომრევი ხასიათი ჰქონდა უმეტეს ნაწილად. ყოველ საზოგადოებას ჰყავდა თავისი მამასახლისი, რომელიც ომიანობის დროს სარდლობდა (ლაშქრიშ მუჟელე) და გულზედ ეკიდა ოქროს ხატი „სალშქარ“. ხშირად მხოლოდ ერთი სოფელი, ან საზოგადოება გაილაშქრებდა ვისმეზედ; ამ შემთხვევაში მას უფრო კერძო ხასიათი ჰქონდა. შესანიშნავი იყო ის ომი, რომელსაც მთელი სვანეთი იწყებდა. შეიკრებოდნენ „ერთობილი სვანნი“ ზღმე საშუალო ალაგას (ხშირად სოფ. მესტიასა და მულახში) და საერთო ხმით გადასწყვეტავდნენ ომსა, ანუ სხვა რასმეს. ამ შეკრებილებას სვანები ეძახოდნენ „სვიმრასი“ (народное собрание, сеймъ) და ცოტათი თუ ბევრად ანარჩიული ხასიათი ჰქონდა. აქ წინამძღოლად ნიშნავდნენ უფრო განთქმულს მამასახლისთაგანს, აძლევდნენ „საღვარს“ და ერთი აზრიდ გამსჭვალულნი ზარსა სცემდნენ მტერსა. სვანები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ მტერზედ გალაშქრებულთ „სალშქარიტურთ“ ვერავინ ვერა სძლევს. მართლაც, ამ იმედებით გამსჭვალულნი სვანნი მოწინააღმდეგეს არ გაახარებდნენ ხოლმე. ყველაზედ უფრო მძლავრნი საზოგადოებანი ყოფილან: მულახი და უშგული, შემდეგ მესტია, ლატალი და იფარი. აი მოხუცებულების ნაამბობი. მაშინ კიდევ შვილდ-ისარი ყოფილა ხმარებაში, აფხაზისა და ყაბარდოს ჯარი შემოსევია ტვიბერის გზიჲ მულახ-მუჟელს და დაბარგებულან მალლობზედ, ს. ჟაბეშის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის ახლოს ვაკეში. ომი გამწვავებულა, მაგრამ მტერს სვანებისაგან ნასროლ ისრებითაც უსარგებლნი და წინააღმდეგობა გაუწყვია. ამიტომ მულახ-მუჟელელებს ისრები დაუმოკლებიათ და მტერს ვეღარ გამოუყენებია ისინი.

იგი უკუქცეულა. შემდეგ კიდევ ერთი ხერხი უხმარიათ სვანებს: წისკვილის დოლაბები აუტანიათ მაღლა, შიგ გაუყრიათ გრძელი ხეები, დაუგორებიათ და მტერი გაუჟღეციათ. სიმღერაში ურევია: „ტვიბერიშე წერექვას კულარ ხოწიბდახ ზისხიშე“! (ტვიბესში (სადაც ომი მოხდა) ბალახს სისხლის ეკიდა!).

სვანებისაგან ქუთაისის გადაწვის შესახებ მოხუცებულნი ეხლაც გვიამბობენ შემდეგს: თავისუფალი სვანეთი მულახის მეთაურის წინამძღოლობით ქუთაისისაკენ გაემართა. მთავრეხილის ლატფარის ტყის თავში გზის განაპირას სვანებმა სათითოულოდ კაჟის ქვა დასდვეს. ქუთაისის გადაწვის შემდეგ ისინი ხონით დაბრუნდნენ, მაგრამ ბომბუას ხილი ჩაუვარდათ; ერთი ნაწილი მათი ხილს იქით, იმერეთისაკენ, დარჩენილა, სხვები ისევ სვანეთში გამგზავრებულან და ხსენებულს ქვის ხროვასთან მოშორებით მათაც დაუყრიათ ქვები, მაგრამ ეს ნაკლები გამოსულა პირვანდელზედ. ამეებს მართლა შეამჩნევთ ხსენებულს ალაგას. ვინც ბომბუას ხილზედ ვერ გამოსულა, ის იმერეთში დარჩენილა და ამიტომაც შეხვდებით იქ ახლომახლო სოფლებში შემდეგს სვანურს გვარებს: ჟორჟოლიანს, იოსელიანს, ჯაფარიძეს, დევდარიანს, კახიანს, რატიანს და სხვ.

მულახლებს ჰყოლიათ დაბეგრებული შემდეგი სოფლები სვანეთშივე: მუჟალი ორი ხარით, წვირმი, იფარი, ადიში, ელი, კალა, რომლებსაც გარდა ბეგარისა საომრათ წასვლის დროს ხარჯი უნდა ექმიათ; ლელტეხი, უშგული და სხვა. ერთს დროს ს. ლელტეხის, ელის და უშგულის ბეგარა მულახლებს ლატალელებისათვის მიუციათ მტერის წინააღმდეგ მოხმარებისათვის. სოფლები: ცაგერი, გვესო, ჩხუტელი და ლუხვანოც დაბეგრებული ჰყოლიათ მულახლებს თეთრი ხარით; გარდა ამისა მოსახლის თავზედ უნდა მიეცათ თითო რკინეულობა და თითო ნემსი. უშგულელებმა და მულახლებმა სხვადასხვა დროს ააოხრეს და დაბეგრეს რაჭის შემდეგი სოფლები: ქიორა, ლები, გლოლა და სხვები. აი ერთი ლექსიც:

1. უშგულის ხევი დეიძრა!
2. ეცერს კაცი გოუგზავნა...
3. სულა სვანეთის თავია —
4. შუთა დადიშქელიანია...
5. იყარა დიდი ჯარია...
6. შეიქნა დიდი ჯარია!..
7. ეს ეცერი და უშგული
8. წინააძღვარია შუთა დადიშქელიანია.
9. პეტრე-პავლობის დღეს დილას
10. ცხენები შევიკაზმეთა...
11. მადასმა ტურუა დეიწყო;
12. ვერ მოშორდებია თვალია
13. ეხლა შენკა...
14. რომ გადევნიარეთ
15. თევრეხ კარგი სოფელია...
16. ზედ გოუარე კარია
17. წებელმა ხიდი გვამაგრა.
18. „სვანებო, თქვენი ჭირიმე!
19. გვემართოს შენი ბეგარა“.
20. კვამლის თავზედ გაგვიწია:
21. რქა თეთრი ნიშა ხარია...
22. დედა ღვთისას შევაწეროთ!..
23. რქა-მოკნული ვერძია
24. მაცხოვარსა შევაწიროთ!..
25. ჭიხორისა ქალას,
26. ცერის ოდენა დელას
27. მეფე მიყავდა პირაღმა!..
28. ჭიორი კარგი სოფელია...
29. ზედა დარბაზი ჩვეელი;
30. ჭიორი გაუტეხელი, —
31. გვემართოს შენი ბეგარა
32. ერთი ოსური ცხვარია...

გმირს ფუთა დაღეშქელიანს, რომლის წინამძღოლობითაც მიდიან რაჭაში და რომლის გაძლიერების შიში ჰქონდათ მით უფრო, რომ დაღეშქელიანებს ყოველთვის თან დასდევდათ აზრი თავისუფალი სვანეთის დაქვრისა, — უშგულელები შემდეგში ჰკლავენ: ცოტ-ცოტა წამალი ყველას მოუგროვებია და მითი თოფი გაუტენიათ, მერმე თოფის ჩახმახისათვის მოუბიათ თოკი, რომლისათვისაც ყველას ხელი მოუკიდნია, შემდეგ ნიშანში აულიათ და გაუწვევიათ; თოფი გავარდნილა და მოქეიფე ფუთა მოუკლავს. ამგვარად იმიტომ მოქცეულან, რათა მოკვლა მარტო ერთს არ დასდებოდა, არამედ მთელს სოფელსა. მაგრამ არც დაღეშქელიანებმა შეარჩინეს: ამათ გაიტყუს უკეთეს-უკეთესი კაცები ს. ეცერისაკენ და დახოცეს.

ერთხელ ვინმე ბერ გელოვანის წინამძღოლობით ჯარი შემოსევია ს. ჩოლურს. თ. გარდაფხაძეებს. მულახლებისათვის უთხოვნიათ შემწეობა და ამათაც თხოვნა შეუსრულებიათ. მულახლების ჯარის უფროსს ხმელი ცერცი მოეყრევივნებინა რიყეზედ და ბერ გელოვანის ჯარის შესამჩნევად უბრძანებია მისი ჯარისათვის ეკენკა ცერცი და ეჭამა, ერისთავმა და მისმა ჯარმა რო დაინახა ესა, ეგონათ სვანები რიყის ქვასა სჭამენო, შეშინდნენ და უკუ-იქცნენ.

მღვდ. ი. მარგიანი.

(შემდეგი იქნება).

ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა

კლარჯეთ-მესხეთისა *)

მეფე კონსტანტინე ჩინებულათ გრძნობდა ერთ მეფობის მნიშვნელობას და სარგებლობას. ამან განიძრაბა იმერეთის დამორჩილება და შეერთება. 1481 წ. ლაშქრით გაემართა კიდეც იმერეთში, მაგრამ ამან იმერთ ომი არ გაუმართა, რადგანაც იმერთ ბატონს ათაბაგი თვისკენ მიემხრო და ესენი აპირებდნენ მეფის წინააღმდეგ ბრძოლას. მეფემ დადიანს მიმართა დახმარების სათხოვნელათ: სამცხეზე მინდა გავილაშქრო და დახმარება მომეციო. მეგრელთ ბატონი დაეთანხმა, ესენი მალე კლარჯეთ-მესხეთში წავიდნენ და ათაბაგი დაიმორჩილეს. ათაბაგის დამორჩილების შემდეგ მეფემ იმერთ ბატონს მიმართა. ამ დროს იმერეთში დიდი შლილობა იყო. თავადები და სხვა-და-სხვა წვრილმანი აზნაურები ბატონიშვილს ეყურჩებოდნენ. მეფემ ისარგებლა ამით; იმერთ ბატონი დაიმორჩილა და იმერეთი შეიერთა; შეერთების და წესიერების დამყარების შემდეგ მეფე ქართლში დაბრუნდა. ვიდრე მეფე იმერეთს დაიმორჩილებდა, მინამდის ათაბაგს მეფის საწინააღმდეგო ჰაზრები ჩაედო გულში, მომხრე ხალხიც ეშოვა, ნამეტურ მეომართა შორის, ამას ვანეძრაბა მეფესთან ომი იმ იმედით, რომ მეფე ეხლა იმერეთიდან დაღალული-დაქანცული დაბრუნდებოდა, მე ამით უნდა ვისარგებლო და თავი გავითავისუფლო. ამიტომ ეს წამოვიდა დიდის ლაშქრით და საქართველოს მეფეს, მგზავრობის დროს, ერთ საშიშ ალაგას

*) იხ. „მოგზაური“ 1902 წ. № 6.

დაუხვდა და ომი გაუმართა. ახლა ჩვენდა დასაღუპათ და ათაბაგის სამარცხვინოთ ქართველებმა აქ ულიტეს ერთმანერთი. ამ ბოროტ პირის მეოხებით მოსწყდა დიდი ძალი ვაჟკაცი ქართველთა, ორივე მხარეს სასტიკათ ბრძოდნენ. საქმემ იქამდის მიიღწია, რომ მუხანათმა ათაბაგმა გაიმარჯვა, მეფის ლაშქარი დასცა და თვით მეფეც დაიჭირა და პატიმარ ჰყო 1484 წ.

როგორც იქმნა მოლაღატე პირისაგან გამოწვეული ჟღერა-წყვეტა და ქართველთ შლილობა გათავდა. ბოროტმა მეფე გაათავისუფლა, ეს თბილისში წამოვიდა. მეფის დაცემის ამბავი იმერთაც მალე შეიტყეს და ესენიც განდგნენ ერთობისაგანა, კონსტანტინემ ბევრი ებრძოლა ამათ, მაგრამ ველარაფერი გააწყო და ყოველივე დაირღვა, დაიფუშა და იმოდენი ქართველობაც უბრალოთ დაიღუპა. ქართველთა დახოცვის და დაღუპვის გარდა ერში ნივთიერი სიღატაკეც ჩამოვარდა, გაჭირება და ათასი უბედურებანი. ყველა ამ ჩვენს საუბედურო ამბებს ჩვენი დაუძინებელი მტრებიც კარგათ ხედავდნენ შორიღამა და ყოველს ჩვენს ასეთ ვაი-ვაგლახებს და მტერობას სიამოვნებით უმზერდნენ. 1485 წ. საქართველოზე დაირაზმა და წამოვიდა იაკუბ ყანვი. ამან გამოვლო პოცო, მოვიდა ახალქალაქს, ააოხრა მთელი მხარე, ტყვეთ ჰყვნა მრავალნი გამოჩენილნი ვაჟკაცი, ამის შემდეგ ალაგ-ალაგ დაბა და სოფლებს მისცა ცეცხლი და მთლათ გადასწვა. ახალქალაქიღამ წამოვიდა და აწყვერამდის მოვიდა, აიღო აწყვერი, აიკლო და ააოხრა აწყვერის შესანიშნავი ტაძარი. ამ დროს აწყვერი სასტიკათ შეირყა. მტერი თავის ძალას აქედამ ავრცელებდა აქა-იქ, მაგრამ დაბნის ხევში ამათ დაეცნენ საბარათოს ქართველნი და მთლათ მოსწყვიტეს მტერი. ათაბაგმა აწყვერის ღვთის-მშობელი დიდის საფასით დაიხსნა და თავის ალაგასვე დაასვენა, მტერი მთლად განდევნეს.

ამ შემთხვევამ დიდი თავზარი დასცა ათაბაგს. ეს შეშინებულ-შერცხვნილი და კუდ ამოძუებული აქა-იქ მალვით

დახტოდა და ზოგიერთ ციხე-კოშკებს-ლა ამაგრებდა. ეს კარგათ მიხვდა თავის შეცდომებს და ერთობის საჭიროებას, მაგრამ რალა დროს. ერთობ მალე ავით გახდა და 1487 წელს გარდაიცვალა. ამის შემდეგ გამთავრდა ყვარყვარე მე-III, შვილი აღბულა ათაბაგისა, რადგანაც მანუჩარს ძე არ დარჩა, უძეო იყო. ყვარყვარე ათაბაგს „ქართლის ცხოვრება“ საკმარისად პატიოსან პირათ გარდმოგვცემს. ამან სრულიად და მაგრა დაიპყრა კლარჯეთ-მესხეთი, საქართველოს საზღვრების ძიებაშიაც შევიდა, ეს ამბავი კონსტანტინე მეფეს ძრიელ ესაზღოვნა. მეფე და ათაბაგი ერთმანეთს დაუახლოვდნენ და ერთობის საჭიროება აღიარეს. მეფემ თათრებზე გალაშქრება ისურვა, რომ ამით საქართველოს საზღვრებიდამ ესენი მთლად გაერეკა და ამიტომ ათაბაგს დახმარება სთხოვა. ათაბაგმა პირობა მისცა, ესენი მალე მტრის საბრძოლათ წაემართნენ, მაგრამ შინაურ მემამობხეთა მეოხებით ათაბაგი უცებ მეფეს განუდგა. ამან იფიქრა, ვაი თუ მეფეს ვუშველო, საზღვრებიდამ თათრები გავრეკოთ და მეფემ მერე მე დამიმორჩილოსო. მეფემ ათაბაგის ყოველივე კარგათ სცნა, მაგრამ მაინც არ შეშინდა. მხნეთ შეებრძოლა მტერს და საქართველოდამ მთლათ განდევნა. ათაბაგი და მეფე მაინც დამტკბარან, ათაბაგი დაურწმუნებიათ, რომ მეფე შენ არას გავნებსო, ამის გამო ამათში სიყვარულის გრძნობებიც ვალეიბულა, მაგრამ ეს არ ყოფილა დიდი ხნის, შინაურ მტერთა მეოხებით 1494 წ. ათაბაგს მეფესთან ცეცხლის ჯვარზე ომი მოუხდა, ომი მეტათ ფიცხელი, გულ-საკლავი, თვალთ საცრემლავი და საგლოველი ყოველთა ქართველთა.

კლარჯ-მესხნი ძლეულ იქმნენ ქართველთაგან, ქართველნი ოვით ქართველთაგან და ისრე სასტიკათ, რომ ერთი კაციც არ დარჩა დაუკოდავი. ამ დროს კლარჯეთ-მესხეთის ქართველთ სამღვდლოება დიდათ მეკადინეობდა. ესენი ცხარის ცრემლით მზერდნენ ქართველთა ერთმანეთის უღელტას, მაგრამ ვერას ახერხებდნენ და მათში სიყვარულს ვერ სთეს-

დნენ. ბევრნიარის ბოროტებით დავალებულს ათაბაგსაც მოუვიდა აღსასრულის დღე და ესეც გარდაიცვალა 1500 წელს. ამის შემდეგ ათაბაგათ იქმნა ქაიხოსრო ათაბაგი. ეს პირი ბევრათ სჯობდა თავის მამას. ამან მალე იგრძნო ერთობის მნიშვნელობა და საჭიროება. ამან დაიწყო მეფესთან დაკავშირება. ასევე სხვა-და-სხვა მთავრებთან და ნამეტურ გურიასთან. ამ დროს ოსმალნი სასტიკათ გაძრიელდნენ, ტრაპიზონილამ იწყეს გალაშქრება და ნავარდობა. ამათ დაიჭირეს სპარსი, ოლთისი და სხვა ადგილები, რომლებიც საქართველოს განაპირებით იყო. ამ ადგილებს ოსმალნი ვერ დაიჭერდნენ, მაგრამ ქართველებს ამათ ასე უეშმაკეს: ოსმალებმა ქართველთ ომებისაგანმო ბეზრებულთა წინ გამოიმძღვარეს 30,000 ათასი ახალ გათათრებულთ ბერძენთა ლაშქარი და წინ ესენი მოუძღვოდნენ. ქართველთ ვერ შეიტყეს ეშმაკობა. ბერძნები დაინახეს და მოყვრულათაც მიეგებნენ და ჰურ-მარილითაც მიიღეს. ახალ გათათრებულ ბერძენნი აქა-იქ დაბინავდნენ, ქართველთა ყოველი სამხადისი, ვითარება და ძალა შეიტყეს და მერე აღუშრთეს ბრძოლის მახვილი და დაუწყეს ქართველთ ქლევთა. ქართველნი ამაზე შეკრთნენ და შემინდნენ, მაგრამ რაღას იზავდნენ. მტერმა ყველა ადგილები აიღო, ფეხი გაიმაგრეს, ბერძნები საშინელ ფანატიკ თათრებათ აღმოსწნდნენ. ამ ადგილების შემდეგ ოსმალებმა ლაზისტანს მიმართეს და დაუწყეს ბრძოლა, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. ერთხელ იომეს—დამარცხდნენ, მეორეთ იომეს და კიდევ ისევე, უკანასკნელ ოსმალთა წინამძღვრათ იყო ხოშ ოღლანი და ჭანების მხრით კახაბერი. ხოშ ოღლანმა სძლია კახაბერი, კახაბერი მოკლა და ამის სიკვდილის შემდეგ ჭანეთიც აღებული იქმნა. ამ კახაბერის შესახებ ამათში დღევანდლამდე ბევრი თქმულებებია დაშთენილი. ძველათ ამაზე იტყოდნენ, რომ „ყველა კაცი კაცია და კახაბერი კი სხვა“. ზოგნი ამბობენ, რომ ლაზისტანი ომით კი არ აიღეს, არამედ ხომ ოღლანმა ერთი ჯაჭვი გაწყვიტა და ამის ნაძლავში იყო

ლაზისტანი დადებულა. ოსმალთ ლაზისტანი აიღეს, მაგრამ პირველ ხანს ამათ აქ საქმე ძრიელ გაუჭირდათ. ლაზები მათ სასტიკათ სდევნიდნენ და ამათ დიდათ ხელს უწყობდა ათაბაგი. ხელის შეწყობის გარდა დარიგებასაც ბევრს აძლევდა. ლაზებმა ისე მოახერხეს, რომ ოსმალთაგან თავი იხსნეს და გურიის მთაღარს ჩაბარდნენ. მაშინ ლაზები ქრისტიანები იყვნენ, ნამეტურ იმ ადგილებთა, რომლებიც საქართველოს საკუთრებას შეადგენდა. საქართველოს გარეშე მყოფი ლაზნი კი ისე იყვნენ დაშთენილნი და ესენი ხეზე და ქვაზე ლოცულობდნენ. გურია და ლაზისტანისთვის შეუძლებელი იყო შეერთება და ოსმალთა ძლევა ლაზისტანიდამ, რომ აქ ათაბაგის თანხმობაც არ ყოფილიყო. ათაბაგი კარგათ გრძნობდა ერთობის მნიშვნელობას და იმ შემთხვევებსაც, რომ ოსმალებმა ოლთისში, ყარსში, არტაანში და სხვაგან ფეხი გაიმეგრეს და თუ ესენი ერთობით არ იქნებოდნენ, მაშინ ოსმალნი სხვა ადგილებსაც დაიჭერდნენ. ამის მაგალითები ათაბაგმა თავის თვალთა ნახა და ამიტომ ეს დიდის სიფრთხილით განაგებდა. არ გავიდა ხანი, რომ კლარჯ-მესხთა დაეცნენ ოსმალნი, ომი გაიმართა და ამ ომში ჯერეთ დაკოდილ იქმნა ათაბაგი და მერე გარდაიცვალა 63 წლის მოხუცი 1504 წ. ამის გარდაცვალებით კლარჯეთ-მესხეთის საქმე დიდათ აირია. ათაბაგის სიკვდილის შემდეგ გაათაბაგდა ძე მისი მზე ჭაბუკ ათაბაგი. ჩვენი ისტორია ამ პირს „დიდ მზედ ჭაბუკად“ მოიხსენებს. მზე ჭაბუკ ათაბაგი პირველ წლებში რიგიანათ განაგებდა, ამას საქართველოსთვის ძრიელ სტიკიოდა გული, მაგრამ ამის გულის ტკივილი არ იყო დიდი ხნის და სუფთა სხივების მექონი. თავის წინაპრების მსგავსად ესეც მალე აღმოჩნდა სამშობლო ქვეყნის მოღალატეთ.

ოსმალებმა ოლთისი აიღეს, ყარსი, არტაანი (არდაგანი) და სხვა ამ მხრის საქართველოს ადგილები. აქ ყველგან ფეხი გაიმეგრეს ამათ და თავიანთი კაცები დასვეს გამგეთა, ამის შემდეგ ლაზისტანიც აიღეს და დანარჩენ ადგილებს კი ახლოეს.

ვერ ეკარებოდნენ, ეშინოდათ. შავშეთს, აქარას, ლივანს, ზეგანს, არდანუჯს და სხვებს ახლოს არ ეკარებოდნენ, ამათ ჯერეთ ლაზისტანის აღება განიძრახეს და მერე აქედამ სხვა ადგილებზე გავლენის მოფენა და ბოლოს დამორჩილებაც. საქმე ისე მოიმართა, რომ ოსმალები ყარსიდან ჯავახეთს დაეცნენ, აიღეს მთელი ჯავახეთი, ახალციხეთაჲვინათ ბინათ გაიზადეს და ზემო ხსენებული ადგილები კი ისე დასტოვეს. ამათ ისე ხსენებულ ადგილების ქართველების არ ეშინოდათ, როგორც ლაზისტანის. ლაზები ნადირებათ მიაჩნდათ მათ, ჯერეთ იგინი უნდა დაეიმორჩილათო, თორემ სხვებს რომ ხელი ვახლოთ, მაშინ იგინი დაგვეცემიან და დაგვეპაშენო. ამიტომ ოსმალთა განიძრახეს ლაზისტანზე დაცემა და სამუდამოთ აღება. ათაბაგი შეშინდა დიდათ, ვაი თუ ოსმალთ ქანეთი გურიელებს წაართვან და მერე მე მომადგნენო. იმისიც ეშინოდა, გურიელებმა რომ გაიმარჯვონ, ვაი თუ ამათ მერე მე დამიწყონ შლილობა და წამართონ გამგეობაო. შურმა, მტრობამ და სიძუნწემ ისე გადარია ეს ყოვლად მოუსახრებელი ბოროტი პირი, რომ ამან განიძრახა სასშობლოს ლალატი, ერის გაცემა. ეს ლალატი და გაცემა ის იყო, რომ ათაბაგმა ისურვა ოსმალებთან დამეგობრება, თითქმის ქვეშევრდომობაც, ოღონდ ამას კი ხელიდამ არ ჩამოსკლიყო გამგეობა და გურიელთ კი გაუდგა შორს. ათაბაგმა ოსმალთ მოახსენა, რომ თქვენ მე ნურას მერჩით, მე თქვენ ქვეშევრდომობას ვიკისრებ, ოღონდ ათაბაგობას ნუ წამართმევთ, გარდა ამისა თქვენ ლაზისტანზე ნუ ამხედრდებით, თქვენ მე მიბოძეთ თქვენი ჯარი და მე თქვენის ჯარის საშუალებით ავიღებ ლაზისტანს. მე ისედაც თქვენს მორჩილებაში და სიყვარულში ვიქნებიო. ოსმალთ მალე შეისმინეს ამის თხოვნა და მისცეს ჯარი. ათაბაგმა მალე გურიელს ომი გამოუცხადა. გურიელი გაოცდა ამაზე, მაგრამ რაღას იზამდა, გამდგარ მოლალატეს პასუხი მისცა. მალე ომი დაიწყეს, ათაბაგმა სძლია. გურიელმა ქუდზე კაცი გაიყვანა და საქმე მაინც გაჭირდა. გურიელი დაამარცხა ათაბაგ-

მა, მოსრა დიდი ძალი ვაჟკაცობა გურუღთა, ბოლოს ლაზის-
ტანი აიღო და დაისაკუთრა. ამ აღების შემდეგ კი ოსმალები
ლაზებს მეტათ ოსტატურათ დაუახლოვდნენ და მეგობრობის
დასაწყისიც დააფუძნეს. კახაბერი გურიელი ხელ-მეორეთ
აპირებდა ბრძოლას და ლაზისტანის დამორჩილებას, მაგრამ
ეს ვერ მოხდა, კახაბერი მალე გარდაიცვალა.

მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი, რომ საქარხველოს მტერს
და გურიის საუკეთესო ვაჟკაცთა მსვრელს მოეველინა თვი-
სი რისხვა. ოსმალს მთავარ სარდალი დიდის ჯარით სამცხეს
მოადგა 1513 წ. მოლაღატე ათაბაგი თავის ამალით ოსმალებს
გზაში მიეგება, ოსმალი ამას იმერეთზე გალაშქრება სთხოვეს
და დაავალეს. ესეც დაჰპირდა. ესენი მალე გამოემართნენ
იმერეთზე გასალაშქრებლათ და იმერეთის ასაღებათ. ამ დროს
ათაბაგი დიდის ლაღატით აღმოსჩნდა და ოსმალებს დიდს
დახმარებას აძლევდა. ოსმალი მალე მოადგნენ იმერეთს. გაი-
მართა ომი და იმერეთი ერთობ მალეც აიღეს, დაიმორჩილეს
ყველა საომარი ადგილები, აიკლეს და დასწვეს ქუთაისი,
დასწვეს გელათი. დიდი უბედურება მოადგა იმერეთს კარზე,
მან საშინელი შავი დღეები განვლო, თავ-ზარ დასაცემი და
დიდათ საცრემლაჳ-სავალალებელი, მით უფრო, რომ,
როცა გარედამ მას მტერი მოადგა, შიგ კიდევ აი რა ამბები
იყო:

იმერთა ბატონიშვილს ბაგრატს მთავარს ვახტანგზე გაი-
მარჯვნა. მთელი იმერეთის თავად-აზნაურობა ორ დასათ გაე-
ყო. ყოველ დასს თავისი მოთავე ჰყავდა, ესენი ერთმანერ-
თის წინააღმდეგ იბრძოდნენ და ერთნი მეორეების დანთქმას
ლაზოდნენ. ამ გარემოებამ მეტათ ცუდი ზედ გავლენა იქონია
იმერეთის ხალხზე, თავად-აზნაურობის ლაღატმა, ქვეყნის გა-
მსკეპლობამ და ომებმა გლეხ-კაცობას მეტათ გაუტყვეს გულში.
გლეხ-კაცობა მეტათ გაქირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა,
ესენი ყოველ დასის წევრთაგან იღვენებოდნენ და იჩაგრე-
ბოდნენ, მთელი იმ დროის სავაჳ უმრავლესი იმერთ თავად-

აზნაურობა მხოლოდ ამ მშრომელი ერის სისხლით და ხორციით სტკებოდა ისევე, როგორც დღეს: გლეხ-კაცობა მოუძღურდა. ესენი მტერს ადვილათ დაემორჩილნენ. მტერმა დაიმორჩილა ყველა თავადები და ბატონიშვილის მოწინააღმდეგე მთავრები, მღელვარება დაშოშმინდა. მტრისაგან შინაურ მემბოხეთა დამორჩილებით იხელმძღვანელეს გლეხებმა. გლეხკაცობა მიემხრო ბატონიშვილს. ამ დროს სხვა-და-სხვა მტერ თავადიშვილებმაც იგრძნეს თავიანთი მოვალეობა. ყველა ესენი მიემხრნენ იმერთ ბატონიშვილს და ერთ დღეს ოსმალთა წინააღმდეგ აშხედრდნენ, ამათ მტრის წინააღმდეგ დიდი გამირობა გამოიჩინეს, ოსმალნი დააუძღურეს, განდევნეს და იმერეთი გაანთავისუფლეს. ოსმალნი უკანვე გაემართნენ, ამათ გურიისზე განვლეს და სამცაეში ჩავიდნენ. აქ შეჩერდნენ და თათბირი დაიწყეს. ლამოდნენ, იქნება ათაბაგიც გაგვიდგესო, ამაზედ რალაც ექვები აეღოთ, ამიტომ ამ სისხლით გაუმაძღრებმა ახლა სამცხეს დაუწყეს რბევა, ტყვევინა და ხოცა. ხალხმა არ იცოდა მტრის ასეთი წადილი, თორემ ესენიც მოემზადებოდნენ საიმრათ. მოუმზადებელ ერს მეხივით დაეცა ასეთი რისხვა და მტრის მოვლენა. დიდძალი გაუკაცობა გაწყდა ქართველთა. ათაბაგს სვინიდისმა სძლია, უკანასკნელ, შენანებაშიაც შევიდა, მიხვდა ყოველს თავისს დანაშაულს და საშობლო ქვეყნის გამცემლობას, მაგრამ რალა დროს.

კლარჯეთ-მესხეთის ქართველობა კარგათ მზერდა თავის საშობლო ქვეყნის მდგომარეობას. ამათ თვალთ წინ ედგათ ყარსის ქართველთა დაღუპვის ამბები, ოლთისის, იშხნის, ხახულის, თორთუმის და სხვა იქითა მხრის ქართველთა და ამიტომ ესენი ევედრებოდნენ ათაბაგს, რომ ქართლს, იმერეთს და გურიას მიემხროთ, შეეღა ესთხოვოთ და ოსმალნი განდევნოთ აქედამ, ჩვენი ქვეყანა თავისუფალ ვყოთო, თორემ საქმე წაგვიხდება; ქვეყანა დაიღუპებაო. ბოროტებით სავსე ათაბაგმა ეს არ ქმნა. ეს ისევ მტერს ეკედლებოდა, მათ წი-

ნაშე მეცადინეობდა ერთგულების აღმოჩენას და თავის საქმეების გამაგრებას. ამან როგორც იქმნა ოსმალთ დაუმტკიცა თავისი ერთგულება და ესენი დაარწმუნა, რომ თქვენ ჩემი ფიქრი ნუ გაქვსთ, მე სულით, ხორციით და გულით ნამდვილი თქვენი მონა და ფეხთა მტვერი ვარო. ნიშნათ თვის ერთგულ ქვეშევრდომობისა ამან მტერს აღუთქვა გურიაზე და იმერეთზე გალაშქრება და მთლად ამ ადგილების დამორჩილება. ათაბაგმა ამ დროს დიდი ბოროტება და ღალატი გამოიჩინა. პირველათ ამის დროს დაბნელდა ქართველთა მზე კლარჯეთ-მესხეთში.

ოსმალნი რაკი დარწმუნდნენ ათაბაგის ერთგულებაზე, ესენი ხელ-ახლა გამოემართნენ იმერეთზე გასალაშქრებლათ. პირველათ ამათ გურიასთან მოუხდათ ომი, გურულებმა ფიცხელათ და სასტიკათ იომეს მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ველარაფერი გააწყეს, რადგანაც ათაბაგის რჩევით ოსმალთ ერთობ დიდ-ძალი ლაშქარი წამოეყვანათ თანა. ამ ომში ათაბაგის ქართველნიც ერივნენ, რომელნიც ქართველთ წინააღმდეგ ბრძოდნენ, დიდ-ძალი ხალხი მოსწყვიტეს გურიაში, გურიის აოხრების და დამორჩილების შემდეგ ესენი იმერეთში წავიდნენ და ომი იქაც გამართეს. იმერნი დიდის გამირობით იბრძოდნენ, მაგრამ გაჩნდნენ შინაური გამცემნი და საქმე გაჭირდა, მტერმა დაიმორჩილა ყოველივე და თავის წეს-წყობილება დაადგინა, ქვეშევრდომობა დააფუძნა. აქა-იქ გამგეებათ ნიშნავდა იმ პირებს, ვინც მათ ერთგულებას იჩენდნენ, ამ ერთგულ პირებისაგან მოგროვებულ იქმნა 2000-მდე მშვენიერი გოგო-ბიჭები იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში და მირთმეული აჭალ სისხლის მსმელ მთავრობისთვის, რომელ უსამართლო მთავრობამაც ეს ბედკრულნი დიდის სიამოვნებით მიიღო და მალე სტამბოლში გაგზავნეს. ამ დროდან დაიდო ოსმალთაგან ქართველებზე მშვენიერ ქალ-ვაჟებით ხარკის გადახდის საქმე, შერიგების დროს საჩუქრებათ მიცემა და სხვანი. თუმცა ოსმალთ ყოველივე დაიმორჩილეს და ფერ-

ფლათ აქციეს, მაგრამ ამათი აქ დგომა მაინც დიდხანს არ იქმნა, იმერთა და გურულთ ვერ მოითმინეს ამათი ყოფა-ქცევა, ესენი ხელ-ახლად აღსდგნენ ოსმალთ წინააღმდეგ და დიდის შრომით და სისხლის ღვრით გაათავისუფლეს კოველი-ვე დამორჩილებული და აღებული ადგილები. ოსმალნი მთლათ განდევნეს. ბოროტს ათაბაგსაც მალე ეწია უბედურება, სამშობლო ქვეყნის მოღალატე ავით გახდა მალე და 1515 წ. გარდაიცვალა. ამის შემდეგ გაათაბაგდა ძე ამისი ყვარყვარყვარე ათაბაგი.

ამ წლებში ოლთისის, ყარსის, იზნის, ხახულის და თორთომის მხრის ქართველებს გათათრება დაუწყეს. ამის გამო აქ დადგა ქართველთა წამების ხანა. ეკლესიები მიეცნენ აოხრებას, დაკეტვას და ცარცვას. ყარსის ქართველობა გაწყდა სჯულის გულისთვის ომში, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყეს, ზოგი ამათგანი აქარისკენ გამოიქცნენ, ზოგი ქართლში, იმერეთში და სხვაგან, მაგრამ აქაც დარჩა დიდ-ძალი ქართველობა. ვინც დარჩნენ მათ დიდი შევიწროება გამოიარეს, დიდი ბრძოლა და მაინც ვერაფერი გააწყეს. 1515 წლიდან თითქმის 1560 წლებამდის იბრძოლეს. უკანასკნელ გათათრდნენ. ამ ახალ გათათრებულ გამგეთ ყარსში სოლომონ გოგიტიძე დასვეს, რომელსაც თათრობის მიღების გამო ფაშობა მისცეს და სახელათ სეიდი დაარქვეს, სეიდ ფაშათ იწოდებოდა, მაგრამ ესეც ჩუმი ქრისტიანი იყო თურმე და ამის მეოხება იყო, რომ ყარსის ქართველთ 1590 წლებამდის შეინახეს საიდუმლოთ ქრისტიანობა. ოსმალთ რაკი შეიტყეს ყარსის ქართველთ საიდუმლო ქრისტიანობა, ამიტომ მათ სასტიკის წამებით დაუწყეს დევნა და ხელ-ახლა გაიმართა ქართველთა წამება სჯულის გულისთვის. უკანასკნელ სეიდ ფაშა და სხვა მრავალი საიდუმლო ქრისტიანი ქართველნი აქარისკენ გამოიქცნენ, ზოგი სხვა-და-სხვა კუთხეებში. მთელი მხარე, მთელი საერისთავო დაიცალა თითქმის, აქ მოისპო ქართველთ სიმრავლე. ამიტომ ოსმალებს აქ ნამდვილი თათრები

შემოპყვანდათ და ასახლებდნენ, რის მეოხებით იქ ქართველთა უციხე-კომუ-ეკლესია და მონასტრები აოხრებასა და ქცევანგრევას ეძლეოდნენ. დროს განმავლობაში, აქ ნამდვილ თათრებთა გამრავლებით საქმე ისე მოიშართა, რომ ყარსის (კარი) საერისთაოში მთლათ მოისპო ქართველი ხალხი, ენა და ნიშნები. ვინც დარჩნენ აქ ქართველნი, ისინი ნამდვილ თათრებში არეულ იქმნენ და დაკარგულ. ყარსისაკენ დღეს ქართველების იქ ყოფა-ცხოვრებას მარტო დანგრეულ ეკლესიებთა ნაშთები-ლა მოწმობენ და ღალადებენ.

ამავე დროებში აღაოხრეს იშხნის ტაძარი, პარხალი და ხახულის შესანიშნავი ტაძარი, რომლის შესანიშნავი ღვთისმშობლის ხატი ჩუმათ გელათში მოასვენეს და აქ დაასვენეს, რასაც თანამედროვე არქეოლოგი განცვიფრებაში მოჰყავს. ამ ადგილების ქართველებშიაც ამ დროდამ იწყეს მაჰმადის სჯულის გავრცელება და XVI საუკუნის გასვლამდე აქაც უკვე ისევე მოჰქინეს, როგორც კარისკენ და სხვაგან. აქაურ ქართველთაც დიდი შევიწროება გამოიარეს, დიდი მწუხარება, სჯულისთვის ბრძოლა, წამება, მაგრამ უკანასკნელ მაინც გათათრებულ იქმნენ. როცა გათათრდნენ, მაშინ ამ ადგილებში ქართველთა რიცხვი ერთობ მცირე იყო, რადგანაც სჯულის გამოცვლის გამო ესენი იქ არ დგებოდნენ და ზოგი აქარაში მორბოდნენ და ზოგნი საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებში. ვინც დარჩნენ აქ ქართველთაგანნი და გათათრებულ იქმნენ, ამათაც დროის მეოხებით აქ დაკარგეს თავიანთი ხალხოსნობა და ენა, რადგანაც სსენებულ ადგილებში რსმაღლებმა ნამდვილ თათრებთა მცხოვრებთ რიცხვი ერთობ გაამრავლეს და ესენი სასტიკათ მოქმედებდნენ ქართველებზე. ესენი ქართველებისას ყველაფერს ყლაპავდნენ. ამათის მეოხებით ამ მხრის ქართველთა სოფლებსაც კი შეეცვალათ თავიანთი ძველი ქართული სახელები და დღეს მათ ყველას თათრული სახელები ეწოდებათ. აქა-იქ თითო-ოროლა სოფლებს კი შერჩათ თავიანთი პირვანდელი სახელწოდებანი.

ასევე შეენაცვლათ თვისი პირვანდელი ქართული სახელები მთებს, წყაროებს, ხეობებს და სხვებს. ამათშიაც დაშთა თითო-ოროლა თავის პირვანდელის სახელ-წოდებით. ხსენებულს ადგილებში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანებიც ისე გადაგვარდნენ და დაიღუპნენ, რომ დღეს მათ თავიანთ შთამომავლობის აღარაფერი იციან და ვინმემ ქართველობის შესახებ რომ რამე უთხრას შათ და ნათესავეებზე გაახსენოს რამე, მაშინ ისინი ამას საეჭვოთ იღებენ და თან უკვირთ კიდეცა. ამათში თამარ მეფის სახელი კი ყველგან იციან და საცა კი აქეთ რამე ძველი ნაშთებია დატოვებული, ყველა ამბებს თამარ დედოფლის გაკეთებულათ ხადიან. მაგალითად, იშხნისა და ხახულის ხეობის მაჰმადიან ქართველები ბევრს ამბებს ლაპარაკობენ თამარ მეფის შესახებ. ერთი ამბავი ეკლესიების კეთებას შეეხება, ამას აქვე მოვიყვან: „თამარ მეფეს ეკლესიების კეთება ძრეელ უყვარდა. ამან გააკეთა იშხნის ტაძარი, ხახულის და ჰარხლის, ამ ეკლესიების დამთავრების დროს ფული შემოაკლდა, მაშინ თამარ დედოფალმა ერთი თმა გამოიძრო თავიდან, ეს თმა თავის კაცებს მისცა, თმა კაცებმა გაყიდეს და ამაში ანალები ფულით დამთავრეს ეს შესანიშნავი ტაძრებიო“.

ასეთ მხარეებში, სადაც ქართველობა ერთხელ მჭიდროდ იყო დასახლებული, სადაც ქართველთა სახელი ერთ დროს დიდებით განისმოდა, იქ ქართველთა ტომის კვალი და ენა ისე ამოვარდა და მოიხპო, რომ დღეს ხსენებაც აღარ არის. შემდეგ დროებში ესევე უბედურება გარს მოადგა სხვა-დასხვა კუთხის ქართველთაცა და ბევრს კიდევ სხვა ადგილებში გაქრა ქართული ენა, ხალხოსნობა და სხვანი. ესეთი უბედურება და რისხვა უფრო იმ ადგილებთა ქართველებს ადგებოდა კარს, რომლებიც სჯულის გამო სასტიკათ ზრძოდნენ და ესევე უბედურება მოელოდა აჭარას, მაჭახელს, ლივანას, ზეგანს, ძურღულს და სხვა ადგილებს, რომ ამათთვის დროსა და გარემოებას არ გაეწყო ხელი და სხვა-დასხვა მოხერხებე-

ბით არ აღმოჩენილიყვნენ ოსმალოა წინაშე. აქარაში ამის შესახებ ძრიელ ბევრმა მოხუცებულმა პირებმა ილაპარაკეს და ნამეტურ შეგნებულ ბეგებმა, რომ ძველათ ჩვენ რიგიანათ რომ არ დაგვეჭირა საქმე ოსმალთან, უამისოთ აქაც ამოვარდნილი იქმნებოდა დღეს ქართული ენაო. მაგრამ ეს ვერ მოხდა და გინდ რომ კიდევაც ოსმალოს ხელში ვყოფილიყავით, ეს მაინც ვერ მოხდებოდა, იგინი ამას ვერ მოესწრობოდნენ, თუმცა ნატვრა კი დიდი ჰქონდათო, ჩვენ აქ ამ უბედურებათა ამბები მიტომ მოვიყვანეთ და ჩვენს საგანს მიტომ გადაუხვიეთ გზას, რომ ამ უბედურებათა დასაწყისი იმ წლებს მისწვდება, როცა მზე ჭაბუკი განაგებდა. ახლა კი ისევ წინა დროებზე მივიდეთ.

ყვარყვარე ათაბაგი შინაურულათ იყო გაზდილი, ამას შეესწავლა ქართული მწიგნობრობა. ამით ეს თავის მამას ბევრათ სჯობდა, გარდა ამებისა იყო ქვეყნის მოყვარე, ხალხთა მაშენებლობის მონატრე, რიგიანი მზრუნველი და საყოველთაოთა ქართველთა ერთობის და უფლების მეძიებელი. ათაბაგობის მიღების შემდეგ ეს დიდის ერთგულებით განაგებდა თავის ქვეყნის საქმეებს და ყველაფერს და ყველა საქმეში დიდს მომხრეობასაც იჩენდა ქართველთა სასარგებლოთ. ეს გმირულათ ამხნევებდა კლარჯ-მესხთ და გულში მტკიცეთ უნერგავდა ქართველობის სიყვარულს და მამულისათვის თავის დადებას. შინაურ გამცემთა მეოხებით ოსმალებმა ყვარყვარეს ამბები შეიტყეს და ამიტომ ამათი ჯარი სამცხის დასამორჩილებლათ წამოვიდა 1521 წ. ესენი მალე მოვიდნენ და შეებნენ ყვარყვარეს. ქართველთ დიდი გმირობა გამოიჩინეს, ამათ ოსმალნი დაამარცხეს. დამარცხებული ოსმალნი ქართლზე წამოვიდნენ გასათარეშებლათ. ქართლშიაც ვერაფერი გააწყეს და მერე უკან დაბრუნდნენ. გზათ ამათ სამცხისაკენ მოუხდათ გავლა. გზაში ესენი აქა-იქ რჩებოდნენ და არავის რას ერჩოდნენ. ამიტომ ათაბაგმა ამათ არაფერი დაბრკოლება მისცა, აქა-იქ საქმელიც მიაწოდა, რომ სიმშილის გამო არ

დაიხოცნენ, ან ჩემ ხალხს არ დაუწყონ ცარცვა-გლეჯაო. ქართლში და იმერეთში ათაბაგის ასეთი საქციელი ძრიელ ეწყინათ. ყვარყვარე მაცხოვრის მცნებას დაადგა, შეიყვარე მტერი შენი, რათა არცხვენდე მათაო. მტერმაც ისარგებლა ამით. ამათ ყვარყვარეს მოყვრობა ისურვეს და მოყვრობით თვისკენ მიბირება. ეს მალეც მოახერხეს და ხათრის და თავაზის ჩამოგდების შემდეგ ოსმალნი უკან დაბრუნდნენ. ესენი დაიშედნენ ათაბაგის ერთგულებასა და მეგობრობაზე. ათაბაგი დარჩა კლარჯეთ-მესხეთში. ამის შემდეგ კლარჯ-მესხეთს ახლა სხვა მრისხანე უბედურება მოადგა კარს. რამდენიმე წლის წინეთ ათაბაგს გაუჩნდნენ ზოგიერთი მტერი ქართველი თავადიშვილები, რომლებმაც კლარჯეთ-მესხეთში ათაბაგთან ბრძოლა ვერ შესძლეს, ოსმალების იმედი არ ჰქონდათ, რომ მათის დაბეზლებით ათაბაგი აეკლოთ და დაესაჯათ და ამიტომ ეს ქვეყნის მოღალატეები გაიქცნენ სპარსეთში, თავაშვებულნი მიადგნენ შაჰ-ისმაილს კარზე და გასცეს ჭორიკანობით თავიანთი სამშობლო, ქართველობას და ნამეტურ ათაბაგს ბევრნაირი ღალატი დასწამეს, შაჰ-ისმაილი ისე გაასიეს და ისე ააღელვეს, რომ ეს აღბორგეს საქართველოზე წამოსასვლელათ და ჯავრის ამოსაყრელად. შაჰ-ისმაილი მალე მოევლინა ბედკრულს საქართველოს და გაიმართა ხელ-ახლად სისხლის ღვრა და ჟღერტა-წყვეტა. ამ სისხლით გაუმძღარმა ჯერეთ ქართლი აიკლო და მერე კლარჯეთ-მესხეთს მიმართა, მაგრამ აქ კი ისე ვერ ინავარდა, როგორც სხვა ადგილებში, თუმცა სამცხე კი მოდრიკა და მოხარკეთ ჰყო. დამორჩილების შემდეგ შაჰ-ისმაილი ძრიელ ოსტატურათ ეპყრობოდა ქართველთ.

ამ დროს სამცხეში კათოლიკობა უკვე მოფენილი იყო. ართვინი, არტანუჯი, ახალციხე და სხვა დაბანი სავსე იყო ქარუველის კათოლიკებით. ჯავახეთის ქართველ კათოლიკებმა შაჰ ისმაილს თხოვნა მიართვეს თავიანთ ყოფა-ცხოვრების შესახებ და ხარკის შემსუბუქების. შაჰ-ისმაილმა ამ ათი თხოვნა

შეიწყნარა და დააკმაყოფილა ყოველნი, ამისთვის მან ქალღმერთს უბოძა ქართველ კათოლიკებსა და შიგ მოიხსენებს, რომ თქვენ, ჯავახეთის ქართველ ფრანგებს მე შაჰ-ისმაილმა ყოველივე მოგანიჭეთ და მოგეცით ის; რაც თქვენ ითხოვეთ ჩვენგანაო. აქედამ ცხადათ სჩანს, რომ ქართველი კათოლიკობა სამცხეში აღრიდგანვე ყოფილან, ამას ფიქრი აღარ უნდა, რადგანაც შაჰ ისმაილი ამათ ქართველ ფრანგათ არ აღიარებდა, რომ მართლაც ქართველნი არ ყოფილიყვნენ. კათოლიკეთა გარდა ამან სხვა-და-სხვა სარწმუნოების ხალხსაც მცირეთ შეუღავათა ხარკი და მგონი ეს მიტომ, რომ მას ეჩვენებინა თავის გულკეთილობა და რამე ნაირათ თვისკენ მიეზიდნა, რომ ბოლოს ამ მიზიდვით მათ ოსმალნი შესჯავრებოდათ და სპარსთა მომხრეთ გამხდარიყვნენ. შაჰ ისმაილი ამისთვის დიდათ მეცადინეობდა, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა. კლარჯეთ-მესხეთში ფეხის გამაგრების და გაფცქვნის შემდეგ შაჰ ისმაილი სპარსეთში წასვლას მოემზადა. ამ დროს ქართლის მეფე საომრათ მომზადებულიყო, ამას ბევრი მეომარნი შეეკრიბა, ამასვე მიმხრობიყო ათაბაგი. ამათ ისმაილს ომი გაუმართეს და უკანასკნელ სძლიეს სასტიკათ და ქართველთა ყოველივე გაანთავისუფლეს, ხარკი მოხსნეს ქვეყანასა და ყმაწვილების ტაციობაც აღკრძალეს. შაჰი წაშავდა სპარსეთში და ქართველთა გამცემელ მოღალატე თავადიშვილების მეოხებით სულ უბრალოთ მოისრა იმოდენი ქართველობა.

ღ. შ.

(შემდეგი იქნება).



ახტონი I

კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსა

(თ. ჟორდანასი *).

პატრის ნიკოლას წინასწარმეტყველება ასრულდა. საბამ წარუდგინა კათალიკოსის წერილები მეფე თეიმურაზ II-ს, ანტონის, ივერიის ეკლესიისადმი ლალატი გამომჟღავნდა. შეწუხებულმა ამ ამბით და განრისხებულმა მეფემ ბრძანა შეპყრობა ანტონისა¹⁾. მეფეს თანაუგრძვნეს იმ დროინდელმა ზოგიერთმა იერარქებმა, რომელთა შორის შესანიშნავია შემდეგნი: ზემოხსენებული საბბა, მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ რუისელი, მეფის მოძღვარ ზაქარია გაბაშვილი, შესანიშნავი ჭკუით და ცხოვრებით, მთავარ-ეპისკოპოსი სამთავისისა კირილე (ციციშვილი), განათლებული იერარქი, წინაჰდვარი მცხეთის საკრებულო ტაძრისა, ეპისკოპოზი დანიელი, ალავერდელი მიტროპოლიტი ზენონი და სხ.²⁾. მათის ჩაგონებით მეფემ დაუყონებლივ დაითხოვა ქალაქიდან კათოლიკების

*) იხ. „მოგზაური“ № 5.

1) Описание древностей г. Тифлиса, II. Иоселиани, გვ. 37, წერილობითი კრებული ქართული წყაროებისა, გვ. 175.

2) იქვე, გვ. 131, 430, 431, იხალე აკრეთვე მოხსენება ზაქარია გაბაშვილისა ასტრახანის და სტავროპოლის ეპისკოპოზ მეთოდესთან. მრავალ შემოხსენებულ იერარქთაგანმა მთელი განათლება კათალიკოსთ ბესრანისა და ნიკოლოზისაგან, მაშასადამე ისინი არ იქნებოდნენ თანა-მგრძობელნი ანტონის მიერ დაარსებული სქოლასტიკური სკოლისა.

პატრები და მათ შორის ნიკოლაცა, პირველი მოღალატე მართლ-მადიდებლობისა, გამოარეკეს მისიონერები გორიდან და სრულიად საქართველოდან³⁾; წაართვეს ხარებაობის ტაძარი ტფილისში და კათოლიკეთა ეკლესია გორში და გადასცეს მართლ-მადიდებლებსა. კათოლიკების კასტელი და მისიონერების სახლები გორში გადასცეს მთავარ-ეპისკოპოსს კირილეს; მას შეეძლო მისვლისათანავე გორში ეცხოვრნა მათ სახლებში და წირვა-ლოცვა შეესრულებია ეკლესიაში⁴⁾; უძრავი მამული კათოლიკებისა გადაეცა ტფილისის სამღვდელ-ლოებასა. პატრებმა და მისიონერებმა შეკრიბეს თავიანთი სამწყსო და ის ვინც დაიყოლიეს, გავიდნენ ტფილისი-დამ, განიყარეს რა მტვერი ფერხთაგან (მოციქულებს მიბაძეს), მივიდნენ ახალ-ციხეში, სადაც იყვნენ მმართველად ათაბაგნი. აქ მათ თავისუფლად შეეძლოთ ეცხოვრნათ⁵⁾. ამის შემდეგ მეფემ მიიღო ზომები, რომ მოექცია წინანდელ-სარწმუნოებაზე, რჯულზედ გადასულნი ტფილისში მყოფნი: სომეხ-კათოლიკენი გადასცა სომხის სამღვდელოებას და ქართველ-კათოლიკენი საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებასა. დარბი მშობლების შვილების აღზრდა სარწმუნოებაში იკისრა თვით მეფემ⁶⁾. უკანასკნელ ბრძანა მეფემ კრების მოხდენა მცხეთაში.

1755 წ. დეკემბრის 16 შესდგა კრება ძველს ქალაქ მცხეთაში ქართლ-კახეთის ეპისკოპოსებისაგან. კრებაზედ ბრძანდებოდნენ მეფენი თეიმურაზი და ირაკლი. აქვე მოიყვანეს დარაჯებიანა კათალიკოსიცა. დაწვრილებით კრების

3) ხაკუთარი ხელთნაწერის შენიშვნა, ზ. იოსელიანისა (ჩვენთან არის დაცული).

4) სიკეპქესიო გუჯრები დ. ფურცელაძისა, გვ. 51. Описание древн. г. Тифлиса, II. Иоселиани.

5) ხელთ-ნაწერის შენიშვნა ზ. იოსელიანისა.

6) იქვე.

დადგენილება არ ვიცით, რადგან ჩვენამდე არ მოუღწევია მას. ჟურნალ „მნათობში“ ⁷⁾ დაბეჭდილი კრების დადგენილება ზოგიერთებს შეცდომით ჰგონიათ ამ კრების დადგენილებად. ამ დადგენილების შინაარსიდან სჩანს, რომ ეს ყოფილა 1755 წ. 16 დეკემბერს მომხდარი კრების კი არა, არამედ ტფილისს მომხდარის 4 აპრილის 1756 წლის კრებისა ⁸⁾. ამ უკანასკნელის დადგენილებაში დარჩენილია მხოლოდ რამოდენიმე ნაწილი მისი (1755 წ. 16 დეკემბრისა). სამართალს ქვეშე მყოფი კრებაზედ არ მიუშვებს. ის იყო ცალკე ბინაზედ ამ დროს. სიეკლესიო კანონების თანახმად კრებამ გაუგზავნა ანტონს ორი არქიმანდრიტი: იმათ გამოჰკითხეს, რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის ის ებლა, რადგან ესმათ, რომ იგი კათალიკეთა სარწმუნოებას აღიარებს და სცილილობს კიდევ ხალხიც საიდუმლოდ ისევე მოექცია, როგორც თვითონ იყო ⁹⁾.

როგორც გადმოგვცემს სიგელი, ანტონს არ დაუფარავს მოგზავნილ არქიმანდრიტებთან თვისი შეცდომილება და მტკიცედ აღიარა მათთან რომის სარწმუნოება, უბრძანა მათვე ამაზედ მოეხსენებინებინათ მეფისა და კრებისათვის ¹⁰⁾. უფრო სხვანაირად გადმოგვცემს ამაზედ ხალხური თქმულება. განსვენებულის პ. იოსელიანის თქმულებით ამა გადმონაცემის თანახმად დაწერილისა, როდესაც არქიმანდრიტებს უკითხავსთ კათალიკოსისათვის: „სწამს თუ არა მას ღმერთი“? კათალიკოსს არაფერი მიუგია. არქიმანდრიტებს ამაზედ მოუ-

⁷⁾ „მნათობი“ 1872 წ. თებერვალი, გვ. 51—53.

⁸⁾ „ცხოვრება მეფე გიორგი XII“ ს. იოსელიანისა, გვ. 9—10.

⁹⁾ 1756 წ. აპრილის კრების დადგენილება ჩვენა გვაქვს. „წესაკითხვის გამაგრებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკაშია დარჩენილი ერთი ცალი ამ დადგენილებისა (№ 427).

¹⁰⁾ იქვე.

ხსენებით კრებისათვის. ასევე გამოორდა მეორე და მესამე-
ჯერაც. მესამეჯერ-კი კათალიკოსმა, იცოდა რა რომ მესამედ
გამოკითხვის შემდეგ მოხდებოდა ვასამართლება ბრალდებუ-
ლისა საეკლესიო კანონების ძალით, როგორც ეკლესიისა
და კრების წინააღმდეგისა, მიუგო მათ დავითის სიტყვებით:
„ჰსთქვა უგუნურმა გულსა შინა თვისსა არა არს ღმერთიო“¹¹).
საზოგადოდ პირველად კათალიკოსი დიდს უარზედ იდგა და
არ უნდოდა მონაწილეობა¹²). ამისათვის კრებამ დიდის ამბით
განაძო იგი პატრიარქის ტახტიდამ და დაადგინა „ფიცს ქვე-
შე, რომ ის არაფრის გულისათვის არ დაბრუნებულიყო
თვისს სიცოცხლეში ამ ხარისხზედ“. გარდა ამისა კრებამ
აღუკრძალა მას მღვდელ-მოქმედება და გადასცა იგი სახორ-
ციელო მთავრობასა. თუმცა ამაზედ ნათლად არ არის მო-
ხსენებული ზემოხსენებულს სიგელში, მაგრამ ეს იქილამ
სჩანს, რომ შემდეგი კრება, როგორც დავინახავთ, უდგენს
ვალს ამისთანა მღვდელ-მოქმედების აღკრძალვისას (თვრამე-
ტი თვე), ხოლო შემდეგ სრულიად ანთავისუფლებს მღვდელ-
მოქმედების აღკრძალვისაგან. — კათალიკოსის გადადგომის შემ-
დეგ კრებამ დაადგინა სავადო სასჯელი მასთან თანა-მზრა-

¹¹) იგივე გადმოცემა მოგვითხრობს, რომ გამოგზავნილ არ-
ქიმანდრიტებს შორის იყო ერთი ჩოლოყაშვილი გვარად.

¹²) მ. იოსელიანი სხვათა შორის ამბობს „წყობილ-სიტყვაო-
ბის“ წინასიტყვაობაში, „რომ კათალიკოსმა კრებაზედ მოწვეულმა
წერილობით აღიარა კრების წინაშე თვისა დამნაშაობა და თვალ-
ცრემლიანი ეშუდარებოდა კრებას მიეტოვებინათ მისთვის“. მაგრამ
ეს გადმოცემა ეწინააღმდეგება ზემოხსენებული 1756 წ. კრების
სიგელსა, რომელშიც არის სასტიკი განაჩენი დამნაშავეზედ იმის
მორუნებლობისა გამო, მხოლოდ „რამდენიმე დღის შემდეგ“ ამ
განაჩენებისა ანტონმა მართლაც უარ-ჭეო მწვალებლობა და, შეიძლე-
სა, ამასთანავე წერილობით აღიარა თვისი დამნაშაობა.

ხველს სამღვდლოებასაც, ხოლო ერის კაცთ არ მისცა ნება წმ. საიდუმლოს მიღებისა ¹³⁾.

ჩვენ ჯერ ზრ ვიცით ნამღვილად სახელდობრ ვინ იყვნენ ის „სასულიერო პირნი“, რომელთაც მიიღეს ლათინთა სარწმუნოება და გახდნენ თანამზრახველნი ანტონისა, რომელთაც დაადეს სასჯელი და რაში მდგომარეობდა ეს სასჯელი. ეს კი ექვს გარეშეა, რომ ეს პირნი იყვნენ არა მზავალნი, ზოგიერთა არა მტკიცეთა საფუძვლის ძალით ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ეს პირნი. ჩვენის ფიქრით, ყოვლთ უწინარეს ესენი იყვნენ ის პირნი, რომელნიც კრების შემდეგ არ დასცილებიან კათალიკოსს და მასთან ერთად გადასწყვიტეს სამშობლოს დატევება, რომ თვის მასწავლებელთან ერთად ეძიათ ცხოვნების გზა შორეულს რუსეთში, სახელდობრ ისინი იყვნენ: არქიმანდრიტი სტეფანე, იღუმენი და მებჭე მიხეილი, დეკანოზი ზაქარია; პირველ-დიაკონი გაბრიელი, მთავარ-დიაკონი გაბრიელი, მთავარ-დიაკონი იოანე, მთავარ-დიაკონი პორფირე; მთავარ-დიაკვნები: ეფრემი, იოანე, გიორგი და მედავითნე ტიმონი, რომელიც იქმნა აღყვანილი არქიმანდრიტის ხარისხზე ტრიფილის სახელ-წოდებით ¹⁴⁾. ამას ამტკიცებს 4 აპრილის 1756 წლის კრების სიგელი. როგორც შეიდეგში დავინახავთ ანტონმა გულ-მოდგინეთ მოინანა და თვალ-ცრემლიანი ემუდარებოდა კრებას და მეფეს გაეშვათ იგი რუსეთში და მიეცათ მისთვის მისთანა ქალაქი (ე. ი. პასპორტი, რომლის დედანი ანტონმა წარუდგინა კრებას), რომლის საფუძვლის ძალით იგი უნდა მიეღო რუსეთში, როგორც მართლ-მადიდებელი იერარქი, ეს იმას ნიშნავდა, რომ ანტონი თხოულობდა სრულს გასამართლე-

¹³⁾ ხელ-ნაწერი სიგელი 1756 წლის 4 აპრილის კრების.

¹⁴⁾ Арх. Св. Синода 1756 г. № 450. Дѣло о прѣздѣ въ Россію грузинскаго потріарха Антонія. Свита Антонія.

ბელს საბუთს და ნება-რთვასა მღვდელ-მოქმედების ასასრულეზღადა. ამისთანავე საბუთი საქირო იყო იმის ამალისათვის, რომელიც იმის საქმეში ერივნენ და იყვნენ განსჯილნი პირველის კრების მიერ (1755 წ. 16 დეკემბერს). აი ამისათვის 1755 წლის 4 აპრილის კრებამ, დააკმაყოფილა რა ანტონის თხოვნა, განათავისუფლა საეკლესიო სასჯელისაგან მასთან ერთად დასჯილნი სასულიერო პირნი, რომელთაც გარდაწყვიტეს მასთან ერთად სამშობლოს დატევეზა. ამ კრებამ დაადგინა: „ხოლო სასულიერნო პირთ, რომელნიც იყვნენ თანამზრახველნი შენთან ლათინთა სარწმუნოების მიღებაში, აგრეთვე მოინანეს და დასტოვეს თვისნი ცდომანი და შენთან ერთად აღიარეს მართლმადიდებლობა, ამისათვის ჩვენ იმათაც მიუტევეზთ და ნებას ვაძლევეთ მღვდელ-მოქმედობისასა და საღვთო ლიტურდიის შესრულებისას წმიდა პასექის დღესა; რომელს დღესაც იმავე კრების მიერ ნება-რთვა ჰქონდა ღვთის-მსახურების აღსრულებისა თვით ანტონსაცა ქ. გორში¹⁵⁾. ისტორიიდანაც ცნობილია, რომ ამ კრების დადგენილების აღმსრულებელნი იყვნენ სახელდობრ ისინი, რომელნიც ანტონთან ერთად გამოვიდნენ საქართველოდან და წავიდნენ რუსეთში და რომელნიც ზემოთ ჩამოვთვალეთ. გარდა ამ საბუთისა სხვა ცნობაცა გვაქვს ამის თაობაზე, რომ ეს პირნი ანტონის თანამზრახველნი იყვნენ; ამაზედ არის დატოვებული ცნობანი. მაგალითად, ზემოხსენებული ილუმენი მიხეილი იყო ხარისხიდან გადაყენებული და განტევეზული ირაკლის მიერ ლათინთა სარწმუნოების მიღებისათვის, უეჭველად 1755 წ. კრების მიერ, რომელმაც ანტონი განაძევა¹⁶⁾. ეს მიხეილი იყო ერთი შესანიშნავი

¹⁵⁾ 1756 წ. 4 აპრილის კრების სიკეფიდან. Арх. св. Синода 1756 г. № 350. (იხ. შეფე თეიმურაზის წერაღი ანტონისადმი).

¹⁶⁾ Ручопис. сбор. Груз. актовъ, кз. 431. ეს მიხეი-

მოწაფეთაგანი ანტონისა იმის საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ჯერ იყო დადგენილი წილკნის ეპისკოპოსად 1767 წ. და შემდეგ ტფილისის მიტროპოლიტად. ის შემდეგ, რადგან ბატონიშვილის გიორგის მიერ აღმოჩნდა უნიის მომხრე¹⁷⁾ და მოხუცებულებში წაართვეს კათედრა 1780 წელს, რომელიც მისცეს იონა რუისის მიტროპოლიტს, გვარად დეკანოზიშვილს, სცხოვრებდა ხან ძმასთან კახეთში (ღვთის-მშობლის მონასტერში სოფლის ახლოს) და ხან რუისის ეპისკოპოზ სტეფანესთან, ენისელ მოურავის შვილთან. ეს ის სტეფანე ხომ არ არის, მიხეილის მეგობარი, რომელიც იმასთან ერთად ახლდა ანტონს რუსეთში ილუმენის წოდებით 1755 წ. კრების მიერ განძევებული¹⁸⁾? რაც შეეხება ზემოხსენებულს დიაკონს ტრიფელს, რომელიც შედიოდა ამაღალში და იყო შუამავალი ანტონსა და კათოლიკე პატრებს შორის (როგორც ზემოთ მოვიხსენეთ), რომ ის იყო თანამზრახველი ანტონი ეს ექვს გარეშეა. დანარჩენს პირებზედ, რომელიც ეკუთვნოდნენ ანტონის ამაღალს ჩვენ არაფერი ვიცით. ეს კი ვიცით, რომ ყველა ისინი დაბრუნდნენ საქართველოში (1763 წ.) ანტონთან ერთად და მიიღეს იმისაგან საპატიო იერარქიული თანამდებობანი. იონა (გვარად გედევანიშვილი), მთავარ-დიაკონი ანტონისა დასვეს რუისის მიტროპოლიტად (1775 წ.) იონას სახელით¹⁹⁾, რომელსაც

ლი აღუვანილ იქმნა ანტონის მიერ არქიმანდრიტის წოდებაზედ ვლადიმირში, სადაც იგი იყო ეპარქალური 1 დეკემბრიდან 1757 წ. (опис. древн. г. Тифлиса. II. Исблiани, გვ. 189).

¹⁷⁾ Письменный сборникъ разныхъ грузинскихъ актовъ, გვ. 431.

¹⁸⁾ იქვე, გვ. 431.

¹⁹⁾ Архивъ Св. Синода 1792 წ. № 279 და წინა-სიტყვაბა იმის თხზულებასა, რომელიც დაბეჭდილია ტფილისში ამ სათაურით: „მოგზაურობა იონასი, რუისის მიტროპოლიტისა“, გვ. 1, 2, 6.

ახადეს ხარისხი და ეპარქია და დაატუსალა მეფე ირაკლიმ 1780 წ. რადგან, ალბად ექვი შეიტანეს მისგან უნიის მიღებაში უმართებულო ქცევისთვის მეფის ქალებთან, რომელთათვის უნდა ესწავლებინა მას. იქიდან გაიქცა საბერძნეთში და მერე რუსეთში, სადაც გარდაიცვალა 1821 წ. ²⁰⁾.

1755 წ. კრების სასჯელი შეეხო მარტო ანტონს კი არა და ზემოხსენებულთ პირთა. ექვს გარეშეა, რომ იმათ გარდა მრავალი იყო სამღვდელოთაგანი უნიის მიმღებნი ანუ თანამგრძობნი. მაგრამ იმათზედ არა ვიცით რა, რადგან 1755 წ. კრების აქტს ჩვენამდე არ მოუღწევია. ცოტაოდენი ცნობანი მაინც მოიპოვებინა კიდევ მათზედ. აი, მაგალითად: იხსენიება პაისი, შემდეგში რუსთავის მთავარ-ეპისკოპოზი, რომელიც გაკრიჭეს უნიის მიღებისათვის; მას უწოდებდნენ „ნამღვდელარსა“; იმას სდებდენ ბრალსა ლათინთა მწვალებლობის მიღებაში და გიორგი ბატონიშვილს არ უყვარდა იგი ამისათვის, თუმცა მთავარ-ეპისკოპოზი მის რწმუნებული იყო ²¹⁾. ამისთანავე პირად ითვლება მთავარ-ეპისკოპოზი ბესარიონი, რომელზედაც დარჩა გარდმოცემა, თითქო ის დეხრჩოსთ ბოროტ სულებსა ²²⁾. გარდა ამისა ესეც ექვს გარეშეა, რომ მრავალი მისი მოწაფეთაგანი და პატივის-მცემელნი იქმნენ კრებისაგან ბრალ-დებულნი, ანუ საექვოდ ცნობილნი, საერო და სასულიერო მთავრობისაგან. სახელდობრ ამ ექვებისა ჯამო იძულებული შეიქმნა მთავარ-ეპისკოპოზი ტიმოთე წასულიყო სამ იგზავროდ შორეულს აღმოსავლეთში 1755 წ. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, იმან ვერ შესძლო საქართველოში დარჩენა, თუმცა მას ეკავა პირველი ალაგი საქართველოში

²⁰⁾ Описание древностей г. Тифлиса И. Юселиани, გვ. 195—196.

²¹⁾ Рукопис. сбор. груз. актов. გვ. 430.

²²⁾ იქვე.

შემდეგ კათალიკოსისა, წავიდა რუსეთში, სადაც იმ დროს სცხოვრებდა საქართველოდან განძევებული ანტონი. ამისთანავე პირებს ეკუთვნის განათლებული დეკანოზი ალექსი (მესხიშვილი), რომელთანაც ჰქონდა გამართული მიწერ-მოწერა ანტონის ვლადიმირიდან და რომლის შესახებაც ერთს მის ხელს მოწერილ წერილში სწერს ანტონი, სხვათა შორის, იგულისხმებს რა 16 დეკემბერს 1755 წ. უბედურს დღეს: „ერთი მოსრულნი თავიანთ სახელით, დაგვარბევენ ჩვენ ღვთის სახელით მოსრულთა; იმავე დღეს სისხლი შენი, როგორც მართლის აბელის და ზაქარიას სისხლი დაღადებდა წინაშე ღვთისა... იმ დროიდან ჩემს გულს უმეტეს ჰქეჯნის ის შეურაცხყოფა, რომელიც შენ მოგაყენეს კრებამ ჩემის დანაშაუბისათვის ამხედრებულთა... მაპატიე მე“ (წერილი ესე ინახება „წერა-კითხვის საზოგადოებაში“). როგორც სჩანს მეორე მისი წერილიდან (მოწერილი ვლადიმირიდან 1758 წ. 13 მაისს) ხელ-მოწერილია „ანტონი, მთავარ-ეპისკოპოზი ვლადიმირისა და იაროპოლისა“ (ხელ-წერილი „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 1158), კრებამ შეამსუბუქა თვისა წინანდელი განაჩენი. აი რასა სწერს იმავე დეკანოზს ალექსის: „მე მახარიათ რომ შენ სხვა-და-სხვა სასჯელს არ მიგცეს (კრებამ) და რომ კიდევ შეგიმსუბუქეს, რაც დაგადო კრებამ; ვინაიდგან ამ დაფუნის და ბუგიანის შვილთა, რომელთაც აგიმართეს შენ სახრჩობელა, ვერ შეისძლეს სრულად შენი დახრჩობა მასზედ. თუმცა ისინი მზად იყვნენ შენთან საომრად, მაგრამ ბადენი მაჭნი დაიქსაქსნენ. იმედრ მაქვს, რომ დღენი თუ გაგრძელდნენ, თითონ ის ჩამოეკიდება სახრჩობელაზედ მისივე ხელით დამზადებულზედ, ხოლო შენ კი, რომელმაც უდანაშაულოდ სცადე მისგან სიმწარე, აღსდგები დიდის ამბით რათა ამხილო ტყუილად შენი ცილის მწამებელი წინაშე მიუდგომელისა მსაჯულისა, რომელსაც შეხვდები შენ ღრუბელთა შინა, რათა იმყოფებოდა მასთან უკუნისამდე“.

ესეც შესანიშნავია, რომ არცერთმა დაახლოვებულმა ანტონთან მოწაფემ არ მიიღო საპატია იერარქიული თანამდებობა ანტონის რუსეთიდან დაბრუნებამდე.

ამ ნაირად კათალიკოსის გარდა მიეცნენ სამართალში მრავალი სხვა საერო და სასულისრო პირნიცა. რაში მდგომარეობდა თვით დასჯა? 1756 წ. 4 აპრილის სიგელა საზოგადოდ მოგვითხრობს, რომ კრებამ განაძევა კათალიკოსი ანტონი, რადგან იგი შეიქმნა შეუპოვარი მწვალელობის მიღებაშია“. შემდეგის სიტყვებიდან სჩანს, რომ კათალიკოსს არამც თუ კათედრა წაართვეს, არამედ მღვდელ-მოქმედებაც აღუკრძალეს, ე. ი. ახადეს მღვდელობის მადლი და გადასცეს სამოქალაქო მთავრობას საპყრობილეში უვადოთ ჩასასმელად; შემდეგ ვადა შეუმცირეს მამებმა მას, რადგან მოინანა ცოდვები. ამასვე გვიმტკიცებს 1756 წ. 4 აპრილის კრების განაჩენი სათაურით: „განაჩენი შესახებ ანტონის განქვეებისა და აკრძალვისა მღვდელ-მოქმედებისა და ხელ-მეორედ მონანებისა, მიტევებისა და რუსეთში გაგზავნისა“. ალბად პირველი ნახევარი ამ სათაურისა ეკუთვნის 1756 წ. 16 დეკემბრის კრების განაჩენს, ხოლო მეორე—1756 წ. 4 აპრილისას. ხაკუთარის ხელ-მოწერილის ბარათისაგან (მიწერილი მთავარ-უხუცესის აღექისისადმი 1756 წ. აგვისტოს 5) სჩანს, რომ კრებამ მისცა სასჯელში სარწმუნოების ყველა მოღალატენი და კათალიკოსი გაკრიჭა. აი რასა სწერს სხვათა შორის ანტონი: „ვიქენჯნები როდესაც მოვიგონებ იმ დროინდელ უწყალო ერთა არებასა, მის უგულობასა და ბოროტებასა, მოვიგონებ კიცხვათა და ყოველივესა, რაიცა მომაყენეს მე... ეს ურწმუნო ძენი ასკალონისა, დილარისა, გეზისა და აზოტისა უმეტესად დაჯერებულნი არიან, თითქო ძალა ჩვენის იერარქიულის შადღისა იყოს ჩვენს თმაში. მაგრამ ისინი სცდებიან რადგან თმაში, რომელიც დაეთესვის განსახრწნელად ცხედარში, არ არის იერარქიული ძალა“.

კრება ძრიელ სასტიკად მოეპყრო ყველას. ეს იყო პირველი გარდაწყვეტილება და უკეთუ შემდეგში არ მოენანებია მას თვისი ცდომანი, მაშინ, იგი მიეცემადა მსოფლიო ეკლესიის სამართალში, რადგან თვისი პატრიარქის დასჯის ნება საქართველოს ეკლესიას არ ჰქონდა. შესახებ სასულიერო პირთა, ანტონის თანამზრახველთა, სიგელში ყრუდ არის ნათქვამი. იქ სწერია, რომ იგინი „დასჯილნი“ იქმნნო და ის კი არაა ნათქვამი, რაში მდგომარეობდა ეს „დასჯა“. უქველია, რომ ზოგიერთი ანტონის მომხრენი მტკიცედ იდგნენ თავიანთ ცდომაში და რთგორც „თანამზრახველნი ანტონისა“ იქმნენ ხარისხ ახდილნი და ეკლესიიდან განქვევებულნი. მიხეილი და პაისი ექსორია ჰყვეს სამშობლოდგან, როგორც ზემოთ ვთქვით. ამავე სასჯელს მიეცნენ ვიდაც ორი არქიმანდრიტნი²³⁾, აგრეთვე განაძევეს დანარჩენი სასულიერო პირნი²⁴⁾. რაც შეეხება ერის კაცთა მათ აღბათ მონანების შემდეგ აპატივეს და მართლ-მადირებლობას კვლავ დაუბრუნეს. კრებამ აღუკრძალა მათ მხოლოდ წმ. ზიარების მიღება რამოდინიმე ხნის ვადით. ეს დასჯა ითვლებოდა ძრიელ სასტიკად და იყო ზოგიერთ შემოხვევისთვის შემოღებული, სახელდობრ ეკლესიის მოწინააღმდეგეთათვის, იმის მკიცხველთა და წმიდა საიდუმლოთა უარის-მყოფელთათვის.

საკვირველია, რომ კრება აბრალებს კათალიკოსს და მის მომხრეებს, „ლათინთა სარწმუნოების მიღებას“. ამასვე ამტკიცებს „ქართლის ცხოვრებაცა“, რომ ანტონმა მიიღო ლათინთა სარწმუნოებაო²⁵⁾. აგრეთვე ძმეორებენ ყველა

23) ვ. იოსელიანის ხელთ-ნაწერის შენაშენა, რომელაჲც ჩვენს გვაქვს.

24) იქიღამვე.

25) იქიღამვე.

ისინი, რომელნიც ამ საგნის შესახებ სწერენ ²⁶⁾. იმათ ვარდა, რომელნიც სრულებით ანთავისუფლებენ კათალიკოსს ბრალ-დებისაგან მართლ-მადიდებლობის ღალატში. (ამაზედ ჩვენ ცალკე ვიტყვით). ასეთი ვმობა ძნელი წარმოსადგენია, როდესაც ხელთ გვაქვს ნამდვილი საბუთი, სახელდობრ წერილი თვით ანტონისა თეიმურაზისადმი, რომელშიაც იგი გულის-სიწმინდით ტყდება, რომ იგი დამნაშავეა ურწმუნო „ფლორენტინის უნიის კრების“ მიღებაში; ეს წერილი ყველამ იცოდა თითქმის, ვინც რამეს სწერდა კათალიკოსზედ; ეს წერილი მოგვითხრობს, რომ „ანტონს სანიდისი ჰქეჯნიდა, რომ იგი „ლირსი არ არის შეწყენარებისა“, რადგან ნამდვილად შემცდარია ურწმუნო ფლორენტინის კრების დადგენილების მიღებაში; იგი იფიცავს ღვთის სახელს, რომ იგი ლისას განსჯად ყოფილთა, რომ იგი შესცდა მართლ-მადიდებლობის წინააღმდეგ მხოლოდ ორს სიტყვაში: „სულის წმინდის შესახებ (აქ იგულისხმება *tilioque*) და პაპის მეთაობაზედ“; ამასთანავე სწერს იგი, რომ „დიდის მეფის წყალობა იყო მასზედ, რომ მან არ გასწირა იგი მოსაკლავად ამგვარი დიდის შეცდომისათვის; ჰფიცავს იგი სამებას და ყოველთა ზეციურს ძალთა, რომ „მასში არ მოიპოვება ახლა არავითარი საეჭვო შესახებ ფლორენტინის ურწმუნო კრების და არცა მწვალებლობითი ურწმუნოება პაპისა, მჯდომარისა რომის ტახტზედ არა ჰბილწავს მის ქუასა“ და სხ. ჩვენ უკვე ვი-

²⁶⁾ „წეობილ-სიტყვათა“, გვ. VIII. წინასიტყვაობა მ. იოსელიანისა. „ივერია“ 1879 წ. გვ. 50—51. სტატია მთავარელიშვილისა; ბრძესეს თხზულება *Nist. Mod. de la Georg. livr. 2, p. 234* და 16. *Исторія Георгіанская о юношѣ Амилахваровѣ 1779 წ. ბრძესეს (Nist, mod. de la Georg. pett. livr. 2, p. 234)*. ყოყმანობს კიდევ კათალიკოსის ღათინთა სარწმუნოებაზედ გადასვლას თათბარზედ და ვინც უარს ჰყოფს ამ ფაქტს, ეს არ იხსენიებს სრულებით უნიას.

ციტ, რომ რომის ეკლესიას ეწაღდა მიეღებინებინა აღმოსავლეთის ეკლესიისათვის ზემოხსენებულნი დოღმატნი (tilioque და პაპის მეთაობა) ²⁷). ეს შეცდომა აი რისგან წარმოსდგა. საქართველოში ფლორენტინის უნიას ვერ არჩევდნენ კათოლიციზმიდან; ამ შეხედულების იყვნენ კრება და მისიტორიენიცა. აალანდელი მწერლები ალბად ამყარებენ თავიანთ მოსაზრებას ქართველის ცხოვრებასა და სხვა იმ დროულ წყაროების ჩვენებაზედ.

1755 წლის კრებამ მიანდო გაუქმებული კათედრა იოსებს რუსთავის ეპარქიის ცხოველს-მყოფელის ძელის მთავარეპისკოპოსს, ფრიად განათლებულს და მოღვაწეს. ეს კათალიკოსი, რომელსაც ეწოდებოდა პირველად კათალიკოსის მოადგილე და 1756 წ. აპრილის 4 დამტკიცდა კათალიკოსად, გვარად იყო თავადი ჯანდიერი. იგი შეირაცხა წმიდათა შორის; აუხილა თვალი ბრმას და ჰქმნა სხვა მრავალი სასწაული ²⁸).

²⁷) მოვიყვანთ აქვე ერთს გარდმოცემას 1755 წ. კრებაზედ, თუმა დაუჯერებთ როგორც საზოგადო შეხედულობას გამომხატველს ზემოხსენებულის კრებასს. ამბობენ, ვითამც, როდესაც ერთი მოციქულთაგანი, ჩაღოყაშვილი, შეეკითხა კათალიკოსს ერწმუნება იგი თუ არა სული წმიდასა? მან მიუგო „ჰო“ და ეს მიიღო კრებამ დვთის გმობად, რისთვისაც დასაჯეს იგი. აქედამ აშკარაა, რომ ეს გარდმოცემა ეკუთვნის კათალიკოსის მომხრეთა, რომელნიც სცდილობდნენ მის გაწბილებას, როგორც დოღმატის უცოდინარნი, ანტონის მოწინააღმდეგენი. ეს უკანასკნელნი მოწინააღმდეგეთ არ თანაუგრძობდნენ ახალს სქოლასტიკურ, საღვთისმეტყველო ანტონის სქოლას და როგორც ძველის ბიზანტიური ტიპის სქოლას მიმდევარნი სქოლასტიკებს ეჩვენებოდა უმეტართა მოსარჩენა.

²⁸) Сборникъ грузинскихъ актовъ, გვ. 417; მ. იოსელიანის შენიშვნა იქვე. „ქართლის ცხოვრება“ II, 472.

ასე გათავდა პირველი კრება. როგორც დავინახეთ ის ღირსეულად მოეპყრო მართლ-მადიდებლობის მოღალატეთ. კათალიკოსი ანტონი გაკრიქეს და მგონი საპრობილეშიაც ჩასვეს ²⁹). ანტონის თაობაზედ კითხვა კიდევ აღიძრა და მოიწვიეს კვლავ ორი კრება.

მღვდ. კ. ანთაძე.

(შემდეგი იქნება)



²⁹) კათალიკოსი ამის თაობაზედ სტდება. „წუთბილ-სიტყვაობა“, გვერდი IX.

კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი

და მისი დრო.

ჩვენს წინა წერილებში გავაცანით მკითხველს საზოგადოათ ზუბალაშვილების გვარი, მათი დასაწყისი და თავ-გადასავალი, ხოლო თვით განსვენებულის კონსტანტინე იაკობის ძის ზუბალაშვილის ცხოვრების შესახებ კი, რომელმაც გამოიწვია ეს წერილები, ჩვენ თრთქმის არაფერი გვითქვამს, რადგანაც საჭირო იყო უტყუარი ცნობების შეკრება. დღეს ეს ცნობები ჩვენ საკმაოდ შეეკრიბეთ და საჭიროდ ვრაცხთ განვუზიაროთ იგი „მოგზაურის“ მკითხველებს, რადგანაც დარწმუნებულები ვართ, რომ ბევრს საინტერესოდ დაურჩება ეს ცნობები, როგორც თვით განსვენებულის შესახებ, ისე საზოგადოათ მის დროის ქართველი საზოგადოებისა.

კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი დაიბადა 1828 წ. ქ. ტფილისს. როგორც მოვიხსენეთ, მამა კონსტანტინესი იაკობი და დედა ანნა, თავის დროის კვალად, ითვლებოდნენ ერთ წარჩინებულ და დარბაისელ ოჯახის შვილებათ, იგინი ირიცხებოდნენ ტფილისის გუბერნიის ქართველ აზნაურის-შვილებათ და მასთან საპატიო და რჩეულ მოქალაქეთაც. აზნაურშვილობით მოხსენებული არიან თვით განსვენებულის ნამსახურობის აღწერილობაში ასე: „კონსტანტინე ზუბალა-ვი—აზნაურისშვილი, ტფილისის საგუბერნიო ქალაქისა“. XIX საუკუნის დასაწყისიდან ზუბალაშვილები ოფიციალურად ცნობილნი ყოფილან როგორც აზნაურისშვილები. რაც, როგორც წინა წერილებშიაც ვსთქვით, მეფე ერეკლეს დაპირებული ჰქონდა XVIII საუკუნეში და სხვა-და-სხვა მიზეზების მეოხებით ვერ აღუსრულა, ის XIX საუკუნეში რუსე-

თის მთავრობამ შეასრულა და ზუბალაშვილები აზნაურობით იქმნენ დაჯილდოვებულნი.

არ იფიქროთ, რომ ჩვენ, ამ გვარის წოდებრივს განსხვავებას რაზე მნიშვნელობას ვაძლევდეთ, არა, აქ მარტოდ ისტორიული ფაქტების აღნიშვნა გვინდა და არა წოდებრივის განსხვავებით გარჩევა და პატივისცემა. ასეთის მიმართულების იყვნენ თვით ზუბალაშვილებიც ძველად და მათ ნათლად სწამდათ შოთას ბრძნული სიტყვები:

„ფილფოსფოსნი შემოკრაენ, ამაზედ ჰქონდათ ცალობა:

ბატონი კაცსა ასაქმეს და ჭკუას გამოცდილობა;

ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა,

თუ კაცი თათონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“...

ამიტომაც გახლდათ, რომ ძველად, ზუბალაშვილები, წოდებრივს ამალლებას გულ-გრილათ უმზერდნენ. კათოლიკე კურებისაგან გამცნებულნი და განსპეტაკებულნი, ესენი უფრო ადამიანურს ღირსებას მისდევდნენ, კაცად კაცობას, ბრძენთა და მეცნიერ გვამთაგან ქებულსა და დიდებულს, მრავალთაგან ნანატრს და უმცირესთაგან არად მიჩნეულს. ამას ნურავინ იხამებს, ქართველთ ცხოვრებაში, ზუბალაშვილების გარდა სხვებიც იყვნენ ასეთი მაღლიანის თვისების.

მამა კონსტანტინესი იყო, თავის დროის კვალად, წარჩინებული ქართველი, სურათი XVIII საუკუნის ქართველთ ცხოვრებისა და კარგად მცნობი, როგორც XVIII საუკუნის დასასრულის ქართველთ სამეფოს მდგომარეობის, იმ დროის ხალხის და მათის ცხოვრების, ისევე XIX საუკუნის დამდეგის და შემდეგ დროის ქართველთ ცხოვრების და მათის ავ-კარგიანობის. იგი მასთანვე იყო ხელოვანი მრეწველი, ცნობილი ვაჭარი, მასთანვე ქეშმარიტი ადამიანი, გლახაკთ მწე და შემბრალე. გლახაკთ სიბრალოული ამათ გვარის წევრთა დარგათ ყოფილა. იაკობის მეუღლე ანნაც შესანიშნავი მანდილოსანი ყოფილა, თავის დროის კვალად, მაღალის კრძალულებით აღზრდილი, ნამდვილის ძველის ქართველთ დედათა

თვისების მექონი, სახე იმ პატიოსანთ და დიდებულთ ქართველთ დედათა, რომელთა მსგავს ძველ ქართველ ქალებს ჩვენი პოეტი ნ. ბარათაშვილიც აქებს ასე:

„ჭოი ღედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა ტუბილ სასსოვარნო,
რა ექმნებოდა, რამ ჩვენთ ღედათან
კურთხევა თქვენი გამოჭუფლოდა?“

იგი იყო ღვთის-მოსავი ადამიანი, საღმრთო წერილის მოყვარე, ქართული წერა-კითხვის მკოდნე, საყოველთაოდ ქართული წიგნების მკითხველი. მაინც ძველადგანვე შენიშნულია ზუბალაშვილების ოჯახი, როგორც ქართული მწიგნობრობის მოყვარე. დედ-მამის კეთილთვისებას და რიგიანს. საქციელს შეიღების აღზრდაზედაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; იგინი თავიანთ შეიღებს ისე ამზადებდნენ და სწურთნავდნენ, როგორც მათს ოჯახს ესაჭიროებოდა, მათს რიგიან ყოფა-ცხოვრებასა. ასეთი ზე-გავლენა ჰქონდა მათ თავიანთ შეიღებზე და ამიტომაც ყველა შეიღები კარგის, სანაქებოსთვისებით აღზრდილნი აღმოსჩნდნენ მათ ყველგან ისახელეს.

ასეთის კარგი ღირსების იყვნენ კონსტანტინეს მშობლები და ამიტომაც გახლდათ, რომ თვით კონსტანტინე ზუბალაშვილიც ერთ შესანიშნავ ადამიანათ აღიზარდა, მტკიცე ქრისტიან კათოლიკეთ, გულ-მტკივნეულ ქართველათ. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამათი დრო ისეთი გახლდათ, რომ მაშინ ქართველთ შორის რიგიანი ადამიანების აღზრდა იშვიათ საქმეს შეადგენდა. ქართველთ შორის ასეთ წარმატებათა ტრფიალება საკმარისად იყო დამცირებული. ჩვენში მაშინ სულ სხვა ნარუქი იყო წინ წასული და ქართველთ უმრავლესთ სახლის შეიღებიც მას მისდევდნენ. იმ დროის ქართველთ აზრი კარგათ გამოხატა გ. ორბელიანმა:

„ორთაქალის ბადში მნახეთ, ვინა ვარ,
ჯამით ტოლუმბაში მნახეთ, ვინა ვარ“. და სხ.

ასეთი გახლდათ იმ დროის ქართველ უმეტეს ნაწილის ძეთა მოძრაობა, ასეთ ლტოლევას და მიმართულებას ჰქონდა მაშინ ფასი და ღირება. მაგრამ იყვნენ შიგა და შიგ ისეთი პატიოსანი პირებიც, რომელნიც გარემოებას მკაცრათ ეწინააღმდეგებოდნენ. რიგიან დედ-მამის გავლენის ქვეშ აღზრდილნი შვილნიც რიგიანს გზას ადგებოდნენ. უკანასკნელთ რიცხვს ეკუთვნოდა კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილიც. მართალია, იმ დროს, ქართველთ შორის, იყვნენ ისეთი პირები, რომელთ ხელობასაც მხოლოდ დილიდამ საღამომდე „ღალიეს“ ხმა შეადგენდა და მით თავიანთი ოჯახების დაღუპვა, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ უაღამიანობის დროსაც, როგორც აღვნიშნეთ, იყვნენ ისეთის ოჯახის შვილებიც, რომლებსაც ცხოვრების წინ გამცნებული გეგმა ედოთ და თავიანთ მოვალეობას ნათლად ასრულებდნენ, მათ შეგნებით სწამდათ:

„არც კაცი ვარცა, რომ ცოცხალი მკვდაჩსა ემსგავსოს,
აუოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს“.

სწორეთ ასეთ სალ-პიტალ ჯგუფს უნდა მივაწეროთ კონსტანტინე ზუბალაშვილიც. ადვილი საქმე არ იყო, რომ ჩვენში და ისიც ისეთ დროს, როგორიც 1820—30—40—50 წლებია, ვისმეს რამე გეგმა აერჩია და ამ არჩეულს რიგიან ცხოვრების გეგმაზედ უკანასკნელ დღემდე მტკიცედ დაშთენილიყო. ეს მაშინ კი არა, დღესაც იშვიათია. ჩვენს დროში საქებია ისეთი კაცი, რომელიც ახალგაზდობიდან მოხუცებამდე ერთის მტკიცეს მიმართულებით და ენერგიით აღვსილი შთება, მტკიცე მიმართულება და მაგარი ხასიათები თვით საფლავის კარამდე მისდევს. ასეთი კაცები მაგალითნი არიან სხვებისთვის, იგინი ახალისებენ მოზარდ თაობას და ამხნევებენ მტკიცეს თვისებით და მაღალის სათნოებით. თავის დროის კვალად კ. ზუბალაშვილი და მისთანები სწორედ მანანასავებ ბრწყინავდნენ ქართველებში და თვისი ბრწყინვალეობით ბევრს სრულს გონებასაც აბრწყინდნენ.

ასეთის თვისების იყო კონსტანტინე, ასეთივე გახლავსთ მათივე პირმშო ძე სტეფანე და ამისი და-ძმებიც, რომლებიც ჩვენ მათის გენეოლოგიით ავსუსხეთ, ასეთსავე მიმართულებას ეკუთვნოდნენ მისი მშობლები—იაკობი და ანნა.

კონსტანტინე ზუბალაშვილის თვალის გახილების დროს-თან მკიდროთ დაკავშირებულია ის დრო და ხანა, როცა ქართველთ იწყეს თვალის გახილება, ე. ი. როცა 1828 წ. ს. დოდაშვილმა ქართულის გაზეთის „ტფილისის უწყების“ გამოცემა დაიწყო, ამ გამოცემისთვის ქართული სტამბაც გახსნა, სხვა-და-სხვა ქართული სახელმძღვანელოებიც გამოსცეს და 1832 წლიდგან თვიური ჟურნალის გამოცემაც იწყეს. მას კიდევ სხვა კეთილი საქმეები მოსდევდნენ. იმ დროს, ტფილისში, ქართული ფულიც იჭრებოდა, ყველა სამართველოებს „საქართველოს სამართველო“ ეწოდებოდა და თვით მთავარ-მართველიც „საქართველოს მთავარ-მართველად“ იწოდებოდა. იმ დროის კეთილშობილთ სასწავლებელში, სადაც კონსტანტინე ზუბალაშვილიც სწავლობდა, მასწავლებლად იმყოფებოდა ქართველ კათოლიკეთა წარჩინებული პირი, თავ. ალექსანდრე ჩიქოვანი, კარგი ამხანაგი ნიკოლოზ ბარათაშვილისა, თავის დროს დიდათ გამოჩენილი და მწერალიც. იგი დაახლოვებული იყო ზუბალაშვილებთან და, როგორც მასწავლებელს, მეტად დიდი გავლენა ჰქონდა თავის მოწაფეებზედ და ნამეტურ ზუბალაანთ იმ ყმაწვილებზედ, რომლებიც მის გავლენის ქვეშ სწავლობდნენ. კონსტანტინეც ერთი ამათთაგანი გახლდათ.

სულ ამ კეთილ მასწავლებლის მეოხება გახლდათ, რომ კონსტანტინე ზუბალაშვილი მომავალს ცხოვრებაში საუკეთესო ქართველად აღმოჩნდა, დიდ გულ-შემატკივარ პირად ჩვენის საზოგადო საქმეების, საზოგადო საქმეთ პატივისცემის სხივები მას უკანასკნელ დღემდე დაშთა, ეს ღირსებით აღვსილი სამკაული მის შვილებსაც გარდაეცათ მემკვიდრეობით ჩვეულებრივ თვისებათ. კონსტანტინე ზუბალაშვილი, რო-

გორც წესი და ჩვეულება იყო ძველადგანვე ქართველ კათოლიკეებში, ჯერეთ სახლში სწავლობდა. როგორც ზემოთაც ვსთქვით, დედა მისი იყო ძველი ქართველი მწიგნობარი ქალი და ამიტომ იგი შინ ასწავლიდა პატარა კონსტანტინეს ქართულ წერა-აითხვას და საჭირო ლოცვებს. მცირე ხნის შემდეგ იგი ტფილისის კათოლიკეთ სკოლაშიაც სწავლობდა და შემდეგ კი ტფილისის კეთილშობილთ სასწავლებელში. ტფილისის კათოლიკეთ სკოლა 1630 წლიდგან არსებობს. ამ სკოლაში ქართველ კათოლიკეთ შვილებს გარდა სხვა სარწმუნოების ყმაწვილებიც სწავლობდნენ. ყველა დიდის სიამოვნებით აბარებდა აქ თავის შვილს, რადგანაც პატრები კარგად ასწავლიდნენ მოწაფეებს, ნამეტურ ლათინურს ენას და ფრანგულსაც. თვით ისტორიკოსი პ. იოსელიანი სწერს, რომ ლათინურს ენას მე კათოლიკე მღვდელი პ. შაჰყულიანი მასწავლიდაო. ამ სკოლაში მრავალ წარჩინებულ თავადის შვილებსაც უსწავლიათ, აქვე ყოფილა ერთ დროს ა. ჩიქოვანიც. კონსტანტინეს გარდა ამ სკოლაში სხვა ზუბალაშვილებიც ყოფილან მრავლად.

იმ დროის ქართველთ შვილების გუნდი ორ ნაწილათ გაიყოფოდა. ერთი ნაწილი თავისი ქვეყნის შესწავლას მეტად გულ-გრილათ უმზერდა, ქართულს მწიგნობრობას, ენას, ისტორიას და ხალხის ფეხზედ დადგომას არად აფასებდა. ქართული ენა მათ მდაბიო, განუვითარებელ ენათ მიაჩნდათ, ამიტომ იგინი სახლში და კარში ყველგან ჰკრძალავდნენ დედა ენის ხმარებას, თამამად ამბობდნენ, რომ ეს ჩვენთვის საჭირო აღარ არისო, რის მაქნისია იგიო. ასეთ გარემოებაზედ სთქვა გრ. ორბელიანმა:

„რა ენა წახდეს, ერთი დაეცეს,

წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“.

ასე გახლდათ მაშინაც, ასეთის თვისებით სახელოვნობდა ქართველთ ძეთა ერთი ნაწილი, მათს სანაქებოთ მხოლოდ თვისი წარსულის არა ცნობა იყო გამხდარი, მისი გმობა,

ყველაფრისაგან ხელის აღება და დაფიწყება. საქართველო და ქართველობა მათთვის არსებობდა როგორც საკვები სახსარი ძალა, სხვა არაფერი და ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთის პირების მეოხებით იყო, რომ თვით ქართველი გლეხებიც კი იყიდებოდნენ საქვეყნოთ *), რომელთაც უმეტესს ნაწილს ტფილისის მოქალაქენი იძენდნენ. ასეთ გათახსირებულ ქართველებზედ წარმოსთქვა იმ დროს ნ. ბარათაშვილმა:

„რას ქართველობა, რა ქართველობა,
ვათამ რას გვავენებს უცხო ტომობა“.

ასე იყო მაშინ ქართველთ ვითარება, ასე მოეწყო დაცემულ ოჯახის საქმე, ასე გახლდათ ჩინებულ საქართველოში ქართველთ შორის, ასეთის თვისების ყმაწვილებით ივსებოდა ჩვენი ქვეყანა და ამ უკუღმართ გარემოებას თვით ქართველობის უმეტესი ნაწილიც უწყობდა ხელს და მასთან სხვა-და-სხვა პირობებიც. მოკლეთ უნდა ვსთქვათ, რომ იქებოდნენ და იდიდებოდნენ ისეთი პირები, რომელნიც თავიანთ ვინაობას გამოებით მზერდნენ და სალაპარაკო ენასაც ივიწყებდნენ. ასეთ ხანასა და თაობაზედ წარმოსთქვა თავის დროს ი. ჭავჭავაძემ:

„თქვენ არა ხართ ის, რამ დედა ესა,
ბრძანებით დასთმეთ აღმოსაგვეთად,
შიშით არც კარში და აღარც სასლში,
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად“...

„ჩვენ ძუძუს ვსწოვდით, რომ თქვენა ჭკობდით
ენას და ხალხსაც გარეთ და შინა“.

აი ეს გახლავსთ სარკე იმ დროის ქართველთ ერთი ნაწილისა, ამაში სჩანან იგინი ნათლად. სწორეთ ამ დროს გაახილა თვალები კონსტანტინე ზუბალაშვილმაც, მაგრამ იგი, როგორც პატიოსანი ოჯახის შვილი, დედ-მამასთან გამცნებული და გაადამიანებული ზემოხსენებულ წრემ ვერ აი-

*) „Кавказскій Вѣстникъ“, 1846—47—48 წლების.

ყოლია, იგი შეჯგუფებულ იქმნა იმ მიმართულების მექონა ახალგაზდა დასთან, რომლის წევრთაც საქართველოს ერის და მწიგნობრობის სიყვარული გულში გაბრწყინვებული ჰქონდათ. იგინი შეძლების და გვარად უკუდ მართ გარემოებას სასტიკათ ეწინააღმდეგებოდნენ და ყოველგან და ყოველთვის თავიანთ ქვეყნის და ერის საქმეებს გარს ფთილასავებ ევლებოდნენ. ასეთ დასანატრ თაობის მეტრფიალეთ ირიცხებოდა კონსტანტინე ზუბალაშვილიც. ხსენებულ წირემ თავის ცხოვრების დრო განვლო, მათ აღბეჭდეს თვისი ნავალი, დღეს თუ ქართველს მაჯა უცემს და მის სულს და სხეულს თუ რამ ამეტყველებს, ყველა ეს ძლიერება თითქმის იმ ხსენებულ პირთა მეოხება არის, რომელსაც ჩვენ ვასახელებთ. ხსენებულ დროის ქართველთ თაობამ გამოჰფინა თავისი ქვეყნის, ერის და მწიგნობრობის პატივისცემის ღალადება და ნიშანი და ამ ნიშანმაც აიყოლია მთელი იმ დროის ქართველი ახალ თაობაც.

კონსტანტინე ზუბალაშვილი დაახლოვებული მეგობარი გახლდათ „ციცკრის“ რედაქტორის ივანე კერესელიძისაც და ყველა იმ პირების, რომელთაც კი სამშობლო ქვეყნის ასპარეზზედ 1860 წლებში მოქმედება დაიწყეს და ყველა ჩვენ საქმეებს და მოძრაობას სული ჩაუდგეს. კონსტანტინე ზუბალაშვილი პატარაობისასვე ეჩვეოდა ქართულ მწიგნობრობას. მან თავის დროსვე შეისწავლა ზედ-მიწევნით ქართული მწიგნობრობა და მისი ისტორია, სამეფო და საერო ისტორია, საქართველოს რუსეთთან დაკავშირების ისტორია, სიტყვა-კაზმული მწერლობა, არ დარჩა რამე ისტორიული წიგნი, რომელნიც კი ტფილისს, მოსკოვს და პეტერბურგს დაიბეჭდნენ, რომ ეს წიგნები მას შეეძენილი არა ჰქონოდა. იგი ისე გახლდათ ქართულს საქმეებში დახელოვნებული, რომ იმ დროს მას ზევრნი ვერ შეედრებოდნენ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ რალა გაგვიჭირდებოდა, დღეს, ჩვენი სამშობლო რიგიანის მამულისშვილებით იქნებოდა სავსე, ცხოვრების საქმეებით წინ ვიქნებოდით წასული. მცირე ვი-

ყავით და მიტომაც მოხდა, რომ ჩვენ ჩვენს სამშობლოში ასე მძიმეთ დავწინაურდით. ყოველი პირი, რომელსაც კი თავის ცხოვრებაში საქმე უკეთებია, ქვეყნისა და ხალხისათვის უღვაწნია, მარად ღირსია აღნიშვნის, ამის მოვალეა თვით შესმენილი მწერლობაც. ვინც კი შესამჩნევის თვისებია გამოვა, ვინც კი ცხოვრების ასპარეზზე აღმატებულებას გამოიჩინოს, ის ვინც უნდა იყოს, დიდი თუ მცირე გვარის, მწერალი თუ მრეწველი, ვაჭარი თუ მუშაკი, ნაწავლი თუ უსწავლი, მხედარი თუ მოქალაქე, ყველა თავ-თავის ალაგას არის აღსანიშნავი. მამულისშვილობით აღვსილს კაცს, ვისაც კი გული შესტკივა თავის ქვეყნისა და ერისათვის, იმას ვერაფერს რას დაუწუნებს, ვერაფერს რას უკიჟინებს, ის რაც გინდა მცირე საქმის, თანამდებობის და სახელოვნების იყოს, მას ვერაფერს რას წაართმევს. ქართველთა ცხოვრებაში ზუბალაშვილების გვარის წევრთა შესაფერი ადგილი უკავიათ, იგინი ბევრის ღირსებით არიან დაჯილდოვებული. ამათი ღირსება ქართველ მოქალაქობის ასპარეზზედ შესამჩნევია, თითქმის შეუდარებელი. ამათი ენერგიული მოქმედება ცხადათ სჩანს ბევრნაირის საქმეებიდგან, იგინი ცხოვრების ზვირთებს ყოველთვის ფეხდა-ფეხ მისდევდნენ და თავ-დადებით შრომობდნენ დაწინაურებისათვის. მათში, როგორის თვისებითაც XVIII საუკუნის პირები იყვნენ აღვსილნი, ისევე XIX საუკუნისა, და თვით ჩვენი დროის ზუბალაშვილებიც, რომელნიც მართლაც და თავიანთის ენერგიულის მოქმედებით გაცილებით მაღლა სდგანან ბევრს თვის თანამედროვე წყალ-წოდებულ ქართველებზედ.

მოგეხსენებათ, რომ რაც საქართველო რუსეთს ჩაბარდა, მას შემდეგ მთელი ტფილისი და მასთან საქართველოს მამულებიც მარტოდ ქართველების საკუთრებას შეადგენდა, მათი მოწილე და მოდავე არავინ იყო. ყველა ეს საკუთრება ნელ-ნელა მათის ხელიდგან ისე გაფრინდა, ისე წავიდა, რომ დღეს, იმ დროის ძირეულ ქართველის მეთასე ნაწილსაც აღარ

უკავიათ იმ ადგილების მეათასე ნაწილი, რომელიც მათ აღრე ეკავათ. ტფილისის ეცხოვრებთ ქართველთ ხელიდგან წაუვიდათ მთელი ტფილისის ადგილ-მამულები, ბაღეჭი, აბანოები, ქარვასლები და თვით ზოგიერთი ეკკლესიებიც კი. დღეს აქ ქართველი ნატამალობს, ეს არ გვაკმარა ბედმა და სოფელ-მაც იწყო შესუსტება, ჩვენდა საუბედუროთ, თვით სოფლის მემამულეთაც იწყეს მამულების უბრალოთ ფანტვა და პნევა. მერე ვისზედ ჰყიდდნენ, სულ უცხოელებზედ, გარედგან მოსულ პირებზედ, რომელნიც შემდეგ მათ ჯიბრშიაც უღებოდნენ.

ამათზედ ბრძანებს ვახტანგ ორბელიანი:

„ზოგთა თვისი ქონება ბითურ ცსრანში წააკეს,
და თავისი ცოლ-შვილი მშიერ-მწუწრვალ დაკდეს,
ზოგთ დაფა-დაჩანაში რაც რამ ეხადათ უვქვას,
რაც ქველთ მამა-მანათგან მათ დაჩამოდათ ბედათ“.

როცა კაცი ამ დროსა და ქართველობას წარმოიდგენს, იმას არ შეიძლება, როს გული ბოლმით არ აევისოს და ცხარე ცრემლები არ დააფრქვიოს, ვინც ჩვენის ქვეყნის შვილია, ვისაც სწიშს ჩვენი კულტურული წარსული, ვინც იცის ჩვენი განვლილი დრო და ის ამაგი და ღვაწლი, რაც ქართველ ტომს თავის ქვეყნის დაფარვის გულისთვის სისხლი უღვრია, ის ამაზედ მწარეთ იწყებს გოდებას და ვინც არა და მისთვის სულ ერთია, იგიინი თავიანთ ტომის უმრავლეს გლახთა მუშაკთ უმიწა-წყლოთ სტოვებენ და მათგან განატაცს სხვებზედ, უცხო ტომის კაცებზედ ჰყიდიან. ამაზედ სწუხს იგივე ორბელიანი, როცა ამბობს:

„ამ ძუძუთ გაზრდილ ძენი, ნაჭერ-ნაჭერ მყიდიან.“ ო სხვ.

განა შეიძლება, რომ ჩვენ ყველა ის გამათახსირებელი ცნობები მოვთვალოთ აქ, რაც კი ქართველთ შორის ხდებოდა 1840 — 50 წლებში! ეს შეუძლებელია, ეს ყველა ჩვენთაგანმა კარგათ უნდა იცოდეს, რადგანაც ამ უბედურობის ხანას ჩვენ ბრძენ კაცთაგან „ქართველების ფანტიობის

ხანა“ ეწოდა. აი ასეთ დროს, ასეთ ერსა და ქვეყანაში, ზუბალაანთ გვარის წევრნი დგანან შრომის, მხნეობის, მრეწველობის და წარმატების სვეტად და იგინი ანათებენ მცირედ, სხვებს მაგალითს აძლევენ და თავიანთ მომავალ თაობასაც აწინაურებენ. სწორეთ ასეთ დამაწინაურებელ პირათ ითვლება კონსტანტინე ზუბალაშვილი. ეს პატიოსანი გვაძი მთელის თავის არსებით, მოქმედებით, წარსულით და აწმყოთი მხოლოდ ამის უტყუარს ნიშანს წარმოადგენს. იგი არის მტკიცე კედელი იმ საძირკველისა, რომელიც მის მამა-პაპათაგან მკვიდრათ იქმნა დანერგული ძველადგანვე საქართველოში.

აბა აიღეთ, ბატონებო, ეს ორი ხანა და შეადარეთ ერთმანერთს, ერთს მხარეს თქვენ თვალ წინ დაგეხატებათ ფანტია ქართველობა, რომელმაც შექამა და გაყიდა თავის სახლ-კარი, მამულები, დააწოკა თვით ქართველთ გლეხებიც და მით გაახარა უცხონი; იგინი სდგანან ჩვენ წინ ვითარცა სამშობლოს ურჩნი, გვარტომობის პატივის არ მკემელნი, შინ ძლიერნი, გარედ კი მხდალნი, უძლურნი, წყალ-წალღებულნი. ტყუილათ კი არ ბრძანებს ილია ჭავჭავაძე:

„ჩვენისთანა ბედნიერი,

განა არის სჯღმე უჩი“...

აი ასეთი ბედნიერები ვართ, ასეთი ამაგდარნი და ღვაწლდებულნი. სწორედ ასეთი მხნე, გამირები, მეორე მხარეს თქვენ წარმოგიდგებათ ზუბალაანთ გვარის მხნე წევრნი და ამ მხნეთაგან ნამოქმედარი საქმეები. დიდება და სიქადული ასეთ მხნე პირთა. ამაგს და სამსახურს წინაშე ქართველობისა. იქნება ამ სამსახურის ნაყოფის ძველ ქართველთ არა ესმოდათ რა, ვინ იცის, ესეც შეიძლება, რადგანაც ჩვენდა საუბედუროთ, ხოჲ მოგეხსენებათ, ქართველებში ძველადგანვე გახლავსთ ერთი ანდაზა გავრცელებული, რომ: „დღეის კვერცხი მირჩვენია ხვალის ქათამსაო“. ამის ამყოლნი იყვნენ ძველად ჩვენ მამა-პაპათა უმრავლესნი და ამიტომაც მათ არ შეეძლოთ ეცნათ ღირსება ამ გვარისა. განვლო დრო-ჟამმან,

დრონი იცვალნენ, დღეს უკვე გამოსჩნდა ამათი ღირსება, ეხლა ყველას შეუძლიან თამამად დაათვათ, ვისაც თვალი აქვს და ყურთა სმენა, მათ ამის დასათვათებლათ საკმარისი მასალები მოეძევათ.

კონსტანტინე ზუბალაშვილი თავის ახალგაზდობიდანვე მეტად კეთილის თვისების ყოფილა, როგორც მოწაფე ყველა სასწავლებელში საუკეთესო, თავდაბალ, მორჩილ მოწაფედ ითვლებოდა. მის ამხანაგთ შორის ვერ ნახავდით ერთ თანამედროვეთაგანს, რომ მისგან ვისიმე წყენა და მეტი სიტყვა ხსომებოდა. მის თანამედროვე პირებს შე ბევრს ვიცნობდი და მათგან ერთი სიტყვაც არ გამიგონია რისამე ურიგოს მომასწავებელი. კონსტანტინე თავის მეგობრებში ყველას სანაქებო საყვარელ მეგობრათ ითვლებოდა, ახალგაზდა გულ-უხვ პირათ, მაგრამ მასთანვე პატიოსნების მეტრფეთ და ქართველ კარგ მამულისშვილათაც.

იგი კარგად და ნათლად მოესწრა ჩვენს უკვდავს პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს და მისგან ნაღალადებ „ბედი ქაბუჯისას“, როგორც ილ. ჭავჭავაძის და აკაკის კალმის ქვეშ დაიზარდნენ 1860 წლის ახალგაზდა ქართველნი, ისევე კონსტანტინე ზუბალაშვილი და მისი თანამედროვენი იზრდებოდნენ და იწვრთნებოდნენ იმ დიადის მამულისშვილების გრძნობებით და კეთილის სხივებით, რასაც ნ. ბარათაშვილის უკვდავი და შეუღარებელი ჰანგი ჰფენდა იმ დროს ჩვენს ქვეყანაში. კ. ზუბალაშვილი და მისთანები ნაყოფია ნ. ბარათაშვილის მაღალის იდეებით გამსჭვალულის პოეზიისა.

თანამედროვე უმეტესობის მოძრაობის ძალამ და იმ დროის ახალგაზდათა ტრფიალებამ მაინც კ. ზუბალაშვილზედაც იქონიეს ზე-გავლენა და რითაც მაშინდელი უმრავლესობა ხელმძღვანელობდა, ესეც გაჰყვა იმავე ლტოლვას. ეს იყო მიზეზი, რომ ზუბალაშვილმა, ჯერ სრულიად ახალგაზდამ, პირდაპირ სკოლის სკამიდან ისურვა სამხედრო ნაწილის სამსახურში გადასვლა და სამსახური. სამხედრო სამსახური

მოგეხსენებათ, დღეს რა ხასიათების მექონ ძალას წარმოადგენს. ყველასთვის ცხადია, რომ დღეს მას მეცნიერთა, სწავლულთა და ფილოსოფთაგან დიდი რამ მნიშვნელობა არა აქვს მინიჭებული, მაგრამ ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ იმ დროს, როდესაც 16 წლის ახალგაზდა კოტემ ისურვა სამხედრო სამსახურში შესვლა, სწორეთ ამ დროს, ამავე ნაწილის ასპარეზზედ მსახურებდნენ პოეტნი გრიგოლ ორბელიანი, ვახ. ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, კონსტანტინე ზამაცაშვილი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ალექსანდრე ორბელიანი, დ. ორბელიანი, წარჩინებული გრიგოლ გურიელი და მრავალნიც სხვანი, იმ დროის ხნიერ თუ ახალგაზდა ქართველთ შვილებისა, რომელნიც ნათელის გუბით ანათებდნენ აქა-იქ. კოტეცაც მათკენ მიელტვოდა გული და ამიტომ იგი პირდაპირ გიმნაზიის სკამიდან თავისუფალ მსახურად შედის სამხედრო სამსახურში *).

კონსტანტინე ზუბალაშვილი პირველად „ქართულის მილიციაში“ შევიდა 2 აპრილს 1844 წელს. ამავე წელს, რუსის მხედრობას და ქართულ მილიციას დაღისტნელებთან და კავკასიის მთიელებთან გალაშქრება მოუხდათ, ამ გალაშქრებაში ახალგაზდა კონსტანტინემ საკმარისი ნიჭიერება გამოიჩინა. ამიტომ იგი 14 თებერვალს 1845 წ. დანიშნულ იქმნა მილიციის პრაპორშიკათ. ამავე წელს მას მიანდეს ზოგიერთი სამხედრო საქმეების გამოძიება და მასთან სხვადასხვა საჭირო ღონის-ძიებათა აღმოჩენა; ამ მინდობილობაში კ. ზუბალაშვილმა ისეთი ენერჯია გამოიჩინა, რომ იგი აპრი-

*) აიხსნება ეს, რასაკვირველია, იმ საზოგადო წმენით, რომ ამით ქვეყანას ვემსახურებო. მაშინდელს დაფლეთიფს საქართველს, რომლის შემოკრებანს, გმირის ირაკლის და ციციანოვის ანდერძით, მთელი სახელმწიფო და უკეთესი ძალა ემსახურებდა, სწორეთ წარჩინებული მხედარნიეჭიერებდნენ და რა კასაკვირველია, რომ ჩვენი უკეთესნი მამულის-შვილნიც ამ სამსახურს ესწრაფებდნენ...
რედ.

ლის 29 1846 წ. დანიშნულ იქმნა ფანენ იუნკრათ ნიჟეგო-როდის დრაგუნის პოლკში. მან აქაც მალე დიდი მხნეობა გამოიჩინა და ამიტომ 29 დეკემბერს 1847 წ. იგი შერაცხილ იქმნა ნამდვილ სამსახურში პრაპორშიკათ. ამ დროს კონსტანტინე 21 წლისა ყოფილა, ასეა მოხსენებული მის ნამსახურობის აღწერილობაში. ამავე წელს რუსეთის მხედრობას ცხარე ბრძოლა ჰქონდა გამართული ლალისტნელებთან; ახალგაზდა კონსტანტინემ აქაც თავისებური მხნეობა გამოიჩინა და ამიტომ მარტის 29 1849 წ. დაჯილდოებულ იქმნა პარუჩიკის ჩინით.

შემდგომ ამის, უმაღლისის მთავრობის განკარგულებით, კონსტანტინე გადაყვანილ იქმნა ერევნის კარაბინერთა პოლკში, დღეს ეს პოლკი ერევნის ლეიბ-გრენადერის პოლკათ იწოდება.

სხვა-და-სხვა ალაგას ბრძოლის ველზედ სანაქებო სამსახურის გამო 1 ივლისს 1849 წ. გამოეცხადა უქალღესი მადლობა. 1850 წ. მ სექტემბერს, დაჯილდოვებულ იქმნა შტაბს-კაპიტნის ხარისხით. უკანასკნელ წელს, სამსახურის დროს, მას უცაბედად მარცხი მოუვიდა და წაიქცა, რის გამო საკმარისადაც დაზიანდა და ამიტომ მკირედ ზერე-ქვერედ ავადმყოფობდა. ნელ-ნელა საქმე ისე მოეწყო, რომ 1856 წ. ავადმყოფობის გამო სამსახურს თავი გაანება. ამ დროს იგი 33 წლისა გახლდათ.

როგორც სჩანს განსვენებულის ნამსახურობის მოწმობი-დამ, მთელის თავისი სამსახურის დროს, ე. ი. 1844—1856 წლამდე, სადაც კი უმსახურნია, ყველგან რიგიანად, ერთგულად, თავისი მოვალეობა დიდის ხალისით შეუსრულებია ისე, რომ თორმეტი წლის განმავლობაში ერთხელაც არ ყოფილა შენიშნული რამე საქმეში. სამსახურის იმდენად მეტრფე ყოფილა, რომ მთელს ნამსახურობის განმავლობაში, მხოლოდ 1847 წ. დასთხოვნია 28 დღით შინაური საქმეების გამო. გარდა ასეთის ერთგულებისა, იგი ყველა სამხედრო

საქმეებშიაც შესაფერს ნიჭიერებას იჩენდა, ნამეტურ ბრძოლის ველზედ მონაწილეობის მიღებაში. ჩინებულად უსრულებია თავის მოვალეობა ყველა ბრძოლაში. 1844—1850 წლამდე, არ მომხდარა სადმე რაჟმე ბრძოლა კავკასიის მთიელებთან, რომ იქ კონსტანტინეს მონაწილეობა არ მიეღოს. მაგალითებრ, მის ნამსახურობის წერილში ჩამოთვლილია ბევრი საყურადღებო ბრძოლა, სადაც იგი თანამოზიარე ყოფილა. გარდა ამისა კონსტანტინე ხშირად დიდს მონაწილეობას იღებდა გვირაბების გაყვანაში, ლაღმის საშუალებით აფეთქებაში, მაღალ კლდეების ლაღმებით მტვრევა-ქცევაში, ციხეების დაქცევ-დანგრევასა და აღებაში, აქა-იქ ცეცხლის გაჩენაში მტრის წინააღმდეგ, ხიდების გაკეთებაში, მთებზედ გადასვლაში, ზარბაზნების სროლაში, იერიშით მისვლაში, ხელდახელ ბრძოლაში. დაახლოვებული მონაწილეობა მიუღია გერგებილის დაპყრობაში, ასევე სხვა სოფლების და დაბების დაპყრობაშიაც მხნეთ იღებდა მონაწილეობას.

განსვენებულს ხშირად კავკასიის მთავარ-მართებლის ლაშქარშიაც უბრძოლია, ხანდისხან ბნელს ღამეშიაც კი შემთხვევია ომი, როგორც, მაგალითებრ, 28 ივლისს, 1848 წ. ხანდისხან ომი დილიდგან დაწყებული საღამომდე გაგრძელებულა და ამ ხნის განმავლობაში განსვენებულსაც მონაწილეობა მიუღია; ხან მთელი კვირის, ხან მთელი ოვეების განმავლობაში და მაინც აქაც უსვენებლივ უბრძოლია.

აღნიშნავთ, რომ მარტო 1848 წ. ივლისის პირველიდამ, ხოჯალმახის ომიდგან დაწყებული უოჰნია 12 ივლისს, 13, 14, 15, 17, 19, 20, 25, 27, 28-ს. ამ რიცხვებში მეტად დიდი ცხარე ბრძოლანი ყოჰილა. ზოგიერთ წერილმან ბრძოლას ჩვენ აქ არ ვახსენებთ, გამოანგარიშება კი რომ იქმნეს, თითქმის ორ დღეში ერთ დღეს უბრძოლია. ვგონებთ, რომ ასეთ დაუღალავად მოქმედებასაც დიდი ზეგავლენა ექმნებოდა განსვენებულის აგებულებაზედ. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ დროთა და დღეთა ბრძოლის და სისხლის ღვრის

ამბავნი სწორეთ საარაკო საქმეს წარმოადგენს. ამ დროთა მებრძოლნი დაიღალნენ ბრძოლით, მოქანცდნენ და მოიქანცა ჯერეთ ახალგაზდა კონსტანტინეც. სწორეთ ასეთ მოქანცვას და კაცის სისხლის ღვრის გაუმაძღრობას მოასწავებს ის გარემოება, რომ იმ დროს თვით პოეტმა გრიგოლ ორბელიანმაც კი აითვალწუნა სისხლის ღვრა ასე, როცა ამბობს:

„ეიშ ამ დიღასა, ამ ჭაქს, ბუნების განმაცხველსა,
გულისა ჭმუნვის გამქარველს, სიცოცხლის დამატკობელსა!..
ურდოც შეიძრა... ხმაურობს... დაჭკრეს ხადასა ცისკრისა...
განემზადება საომრად რაზმი და რაზმი ჯარისა!
აი თოფიცა გაგარდა... აი ჭრბის ცხენი მხედრისა!..
ამ მშვენიერსა დიღასა, გაცს რად სურს სისხლი კაცისა?“

კონსტანტინე ზუბალოშვილი 1849 წ. მცირედ დაქრილიც იქმნა. მუდმივის ომებისაგან ეს რომ არ დასუსტებულყო და სამსახურში დაშთენილიყო, მაშინ იგი 1860 წლამდე გენერალობასაც აღვილად მიაღწევდა. სამსახურიდამ გამიასვლის შემდეგ იგი შინაურს საქმეებს ღუაბრუნდა და თან თავსაც მკურნალობდა. ამ დროებაში მისთვის დადგა სრულიად ახალი ხანა ცხოვრებისა და ჰაზროვნებისა. იგი გაიტაცა სამოქალაქო მიმართულებამა და მისმა ჰაზროვნებამ, იგი კარგათ დაუახლოვდა ჩვენს მწიგნობრობას, ჩვენს ყოფაცხოვრებას და საზოგადო საქმეებს.

როგორც ვსთქვით, იგი დიდის სიამოვნებით მიეგება 1857 წ. „ცისკრის“ გამოცემის საქმეს და მის რედაქტორს ივ. კერესელიძესაც შეძლებისდა გვარად დახმარებას უჩინდა. ამის გარდა განსვენებულმა დიდის ტრფიალებით შეხედა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ დაარსების საქმეს და მის საპატიო წევრათ ჩაეწერა, ტფილისის თავადაზნაურთა სკოლის ღარიბ მოწაფეთა გამგეობასაც თავისი თანაგრძნობა არ მოაკლო. მას დიდათ ენატრებოდა „წერა-კითხვის სამართველოს“ ფეხზედ დადგომა და მის წიგლში გა-

მაგრება, სადმე საკუთარი შენობის შეძენა მისთვის, თორემ უამისოდ ეს საზოგადოება ყოველთვის გაქირებაში იქნებოდა.

განსვენებული პირადათ მე გავიცანი 1878 წ. „ივერია“-ზედ ხელი მოაწერა და მაშინ სთქვა შემდეგი:

„ყველა ჩვენთაგანი მფაჟეა, რომ ქართულ მწერლობას თვალყური ადევნოს“.

თვით იგი ძველადგანვე აქცევდა ყურადღებას ქართულ მწერლობას, საქართველოს ისტორიას, ქართველი ერის განვლილ დროთა ცხოვრებას. საქართველოს ერის სიყვარული მას ჯეროვნათ უღვიოდა გულში. იმავე თავიდგანვე, თითქმის რაც ქართულს ენაზედ ეუზნალ-გაზეთობა დაარსდა, იგი ყველა გამოცემას სიამოვნებით იბარებდა. დაბარება ჩვენს დროში სანაქებო საქმეთ ითვლება, ბევრი არც კი იბარებს, ჩვენს ცხოვრებას და ქართველის ერის მდგომარეობას არაფერ ყურადღებას აქცევს, მათ საქართველოს ერის, მისი მწიგნობრობის და წარმატების ნატვრა გულში აღმოკვეთილი აქვთ. ასეთის პატიოსანის ქართველებით ჩვენი საბრალო სამშობლო საქართველო სავსეა. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ქართველთ მართო ტფილისში ხუთი-ექვსი დღიური გაზეთი ექმნებოდათ. დღეს მართალია არსებობს „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „მომამბე“, „მოგზაური“, „კრებული“, „მწყემსი“ და „ჯეჯილი“, მაგრამ ვაი მათ არსებობას, ყველა ესენი წვალეებით იბეჭდება. ასეთია უმრავლესობა ქართველთა. ასე შესტიკვით გული და მიტომაც არის, რომ ჩვენში ყველა ქართული გამოცემანი უკიდურეს მდგომარეობაში არიან მოთავსებულნი, მათი უვალოდ გამიცემა შეუძლებელი ხდება და რაც შეეხება მწერალთა სილატაკეს, ესეც ღამ გვონებ, მრავალთაჟვის უნდა იყოს ცხადი.

როგორც ვთქვით, სანაქებოა ის, ვინც კი ჩვენში რამე ქართულ გამოცემას იბარებს და სანაქებოა ის უფრო, ვინც იბარებს და ამ დანაბარებასაც წაუკითხავად არ სტოვებს, ყურადღებას აქცევს. თორემ ჩვენ ისიც კარგათ ვიცით, რომ

ზოგი ქართველი მხოლოდ სახელისთვის იბარებს ქართულ გამოცემას, თორემ იგი არც არას კითხულობს და ასეთებმა ჩვენის ცხოვრებისაც აკი არც არაფერი იციან. ასეთი პირებისაგან თავის დროის კვალად კონსტანტინე ზუბალაშვილი დიდათ გაიჩივდა. იგი აღრიდგანვე იბარებდა ქართულ გამოცემებს და თვალყურს ადევნებდა, ყველაფერს იხსომებდა და ჩვენის ცხოვრების შესახებ საუბარიც უყვარდა.

როგორის ჭკვიანის შეხედულებისაც ჩვენს საზოგადო საქმეებზედ იყო და ამ საზოგადო საქმეთა პატივისცემაც გულში მტკიცეთ ჰქონდა დამარხული, იგეთივე იყო ის თავის სააღებ-მიცემო წარმოებაში და მის კარგათ მოწყობა-მოგვარებაში. 1860 წლების შემდეგიდამ კონსტანტინემ შეიძინა ბაქოში სანავთო ადგილები და 1873 წლიდამ ნავთის საქმესაც მოჰკიდა ხელი. ნავთის მოპოვების და მის ასპარეზის განვითარება-აღორძინებაში კონსტანტინე ზუბალაშვილი ერთ წარჩინებულს პირათ ითვლებოდა, მისი შრომა ბაქოს ნავთის წყაროების აღორძინების საქმეებში შეუდარებელია და საქები. ნამეტურ აღსანიშნავია მისი შრომა „ბიბი-ეიბათის“ ალაგას, სადაც მაშინ ნავთის ამოსვლის იმედი არავის ჰქონდა, მაგრამ ამ გარემოებასაც დასძლია განსვენებულის ენერგიით აღვსილმა მხნეობამ. ამ მხნეობის დროს, მას დიდი განსაცდელიც მოადგა კარს, ბევრი რამ წაუვიდა ხელიდამა და უკანასკნელ განწირულებამდეც მიიღწია, მაგრამ ამ განწირულების დროსაც მას გული არ გაუტეხია, წარბი არ შეუხრია და თავის მხნე ენერგიულს შრომას მაინც არ სტოვებდა, მას ამ დროსაც არ წაჰხდენია გული და იმედი. მისმა ასეთმა ენერგიულმა მეცადინეობამ თავისი გაიტანა და თავის საწადელსაც მიიღწია. მის მამულში ამოფეთქა ნავთის წყაროებმა და მით მრავალ ნაირად დაძაბუნებული კონსტანტინეს საქმეებიც ფეხზედ დადგა და წელში გაიმართა.

შინაურს ცხოვრებაში კონსტანტინე იყო წარჩინებული დარბაისელი პირი, ყველას პატივისმცემელი და თანამგრძნო-

ბი, მასთან წყნარი, მშვიდობიანი და უძლურთ შემბრაღე. უძლურთ სიბრაღული მას თვით იმ დროსაც კი არ მოსპობია გულში, როცა იგი განწირულებაში ჩაეარდა. სახლობაში იყო სრული ადამიანი, მოსამსახურეების დიდი მოამაგე და დამფასებელი, მის სახლში ლაქია-მზარეული და სხვა მოსამსახურენი ნამდვილს ადამიანებად იყვნენ ცნობილნი და არა დამდაბლებულ არსებათ, როგორც ეს სხვა ამადლებულს ოჯახებში ხშირად ვხედავთ. კონსტანტინეს ამის შეგნება კარგათ ესმოდა და ამიტომაც იყო, რომ მან ეს მოსამსახურენი თვით სიკვდილის შემდეგაც არ დაივიწყა და მათი შრომა ადამიანურის დახმარებით და პატივის ცემით დააჯილდოვა. ეს ჩვენში ერთობ იშვიათი გახლავთ და უმაგალითო. ჩვენმა მოსამსახურეებმა ასეთის პირის ხსენებით უნდა იმედიდურონ და ინეტარონ, რადგანაც იქ, სადაც მათ ხშირად ხელსაც არავენ ჩამოართმევს და სიტყვასაც არავენ გაუსწორებს, მათ კონსტანტინემ ხელი გაუწოდა და ყველა თვის მსახურთ რამდენიმე სახსარიც დაუტოვა, რითაც ეს ქართველ-იმერნი მოსამსახურენი ფეხზედაც დადგნენ, ცოლ-შვილით წელში გაიმართნენ, მათს შვილებს სწავლის კარი გაეხსნათ. ჩვენში რომ ყველა შეძლებულმა ასე ქმნას, ყველამ რომ განსვენებულის მაგალითს მიჰბაძოს, მაშინ კი აღსრულდება მაცხოვრის სიტყვა, რომ გიყვარდეთ ერთმანერთი და შეიყვარებდეთ ურთიერთსა, რათა შეგიყვაროთ თქვენც ღმერთმაო. განსვენებული ქრისტიანულს ვალსაც კარგათ ასრულებდა და ადამიანურსაც, კარგათ სწამდა მას:

არ დაივიწყო, ღმრ ვაღი გაძევს,
 მისი, ვინც ობლად, ღარიბად არის,
 ვის ცაჭირების უღელი აწევს,
 ვინც მწუხარეა, მკლე და გამხდარი.

ზ. ზ.

(შემდეგი იქნება)

ჯანდიერნი ანუ ჯანდიერის შვილნი.

ჯანდიერნი ანუ ჯანდიერის შვილნი არიან საქართველოს თავადნი. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისამდე სცხოვრობდნენ ს. გლდანში (ქ. ტფილისიდან თორმეტ ვერსზე), შემდეგ გადასახლდნენ კახეთში და დღეს სცხოვრობენ ზოგნი ს. ვაჩნაძიანში, ზოგნი—ს. ახმეტაში და ზოგნიც—ს. ველისციხეში. ეს გვარი ასე წარმომდგარა:

ყოფილა ერთი ვინმე, სახელად „დიერი“, გამოჩენილი მეომარი, მხედარი, მონადირე და მომღერალი-მოთამაშე. მეფენი და წარჩინებულნი ყოველთვის თან იახლებდნენ თურმე. ერთხელ მეფე ნადირობდა აჭაღის მინდვრებზედ, ვერაფერს ვერ შეხვდნენ და მეფემ რამდენჯერმე უკიჟინა „დიერს“. დიერი ბევრსა სცდილობდა, მაგრამ ვერა მოახერხა-რა. ამ საცდიელში უცებ ამოფრინდა თურმე მერცხალი იმ დროს, როდესაც მეფე და დიერი მხარ და მხარ მიდიოდნენ ცხენებით. დიერმა შეჰკვივლა: არიქა, მეფევე, დამბაჩაო! მეფემ დამბაჩა ვერ მოასწრო, დიერმა იშიშვლა ხმალი და გააპო მერცხალი შუაზედ. ამ სიმარდემ დიდათ გაამხიარულა მეფე და დაუძახა: „ჯან, დიერო“! შემდეგ ამისა სულ „ჯან დიერს“ ეძახოდნენ და, რა თქმა უნდა, იმის შვილს „ჯანდიერის-შვილს“ დაუძახებდნენ. ჯანდიერი შვილები მე-*XVII* საუკუნემდე აზნაურნი იყვნენ, 1628 წელს კი, ბევრის გამარჯვებების შემდეგ საქართველოს მტრებზედ, ებოძათ თავადობა და მამულები კახეთსა და ერწოში (თიანეთის მაზრაში).

ერთხელ, მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში, ოსმალთა დაიპირა ქ. თბილისი და ირგვლივ ისე შემოარტყა ჯარი, რომ ვერავის შეეძლო ვერც შესვლა ქალაქში, ვერც გამოსვლა

იქიღამ. იმ დროს გლდანზედ ლევან ჯანდიერიშვილი იყო, რომელსაც ექვსი მოსწრებული ვაჟიშვილი ჰყვანდა (Груз. двор. акты, А. Хаханова).

ლევან ჯანდიერმა როგორც იყო ინახულა მეფე თეიმურაზ I, უამბო თავისი აზრი და მიიღო ნებართვა მოქმედებისა. წამ ივიდა, იმოვნა ერთი ჩარჩი კაცი და გამართა ლაპარაკი ქალაქში მომწყვდეულს ქართველებთან. ქალაქს გარეთაც, რა თქმა უნდა, ხალხი დაიმედოვა. დანიშნულს დღეს ლევან ჯანდიერმა თავისი ექვსი შვილით დაასაპაღონა ფიჩხით შვიდი ჯორი, ფიჩხებს შუა ჩააწყო, რაც მოხერხდებოდა იარაღი; წაიძლოლს წინ ჯორები და მიადგინ ქალაქს. ვინც კი სყიდვა მოინდომა ფიჩხისა, ისე ძვირად დაუფასეს, რომ ვერავინ იყიდა და ამ გვართ, როგორც იყო მიღწიეს შუაგულს ქალაქს. მივიდნენ თუ არა დანიშნულს ადგილას, ჩამოყარეს ფიჩხი, გამოიღეს იარაღი, შეთქმულმა ქართველებმა მოიყარეს იქვე თავი და რა შეიარაღდნენ, გაუსდეს ოსმალებს ხელი. დაიწყო ზრიამული, სისხლის ღვრა. ამ დროს გარედამაც მოეშველნენ და ოსმალები განდევნეს. როდესაც ჯანდიერთ ჯორები მოუდიოდათ „ჩოკ-ჩოკ“ იძახდნენ და ამიტომ იმ ლევან ჯანდიერის სახლის ჩამომავლობას დღესაც ეძახიან „ჩოკაშვილი-ჯანდიერი“. ამ შეტაკებაში ძვით ლევანის თავის ხუთის შვილით მოკლეს და დარჩა მხოლოდ ერთი. ამის შემდეგ ბევრი დრო აღარ გასულა და ჯანდიერებმა ახლა ლეკებთან ომშიაც იჩინეს თავი. მაშინ ებოძათ თავადობა, კახეთში მამულები და მოურავობა გავაზისა, ჯიშითყანდაურისა, კალაურისა და სხვა.

ჯანდიერებში ბევრნი იყვნენ გამოჩენილნი ვაჟკაცნი და მამულისშვილნი. მათ შორის აღსანიშნი არიან:

1) ასლას ჯანდიერა, გპირი, რომელიც მშვენივრად აქვს აწერილი ანტონ ფურცელაძეს თავისს ბროშურაში მოღალატე კონსტანტინე ბატონიშვილის მოკვლის შესახებ;

2) სვიმონ ჯანდიერა—ველისციხელი, განთქმული მეომარი დაღისტანში (იხ. ისტორია ქართველთ დრუჟინისა);

3) რუსებ ჯანდიერი — ნასახჩიბაში, ჯიმიოთ-ყანდაურის მოურავი (მამა დომ-გიორგი ჯანდიერისა) და

4) თვითონ დომ-გიორგი ჯანდიერი, რომელიც იყო მოწაფე ივანე მალხაზის ძის ანდრონიკოვისა და ვასილ ოსეფის ძე ბებუთოვისა. დიდი ვაჟკაცი მეომარი კაცი იყო, დაღისტანში ნამეტნავათ დიდი და პატარა მისგან თავ-ზარდაცემულნი იყვნენ (იხ. ისტორია ქართველთ დრუჟინისა).

1854 წელს ოსმალებთან ომში ამას ჩააბარეს ათასი დარჩეული ცხენოსანი კაცი და გაისტუმრეს ოზურგეთში; ეს ათასი ცხენოსანი სულ ქართველები იყვნენ კახეთში და სხვაგან არჩეულნი. 4 თიბათვეს 1854 წელსა მდინარე ჩოლოყზედ ამ ქართველებისაგან შედგენილმა დრუჟინამ დიდათ გაიმარჯვა და თვით დომ-გიორგი ჯანდიერს, რომელსაც იმ დროს ორივე ბარძაყში ოსმალებმა ხიშტები შესცეს და ცხენილამ კი ვერ გადმოაგდეს, ებოძა თეთრი წმინდა გიორგის ჯვარი მეოთხე ხარისხისა შემდეგის სიგელით: „**Полковникъ Кн. Георгій Росебовичъ Джандіери въ сраженіи съ турками при р. Чолокъ 4 Іюня 1854 года обскакаль съ дружиною непріятельскія батареи и заваль и, не смотря на картечный огонь, врѣзался въ середину Турецкаго Баталіона и истребилъ оный безъ помощи Артиллеріи. Награжденъ орденомъ св. Георгія 4-й степени**“. მერე სულ დაღისტნის ომებში იყო ქართველის დრუჟინით ლენერალის ვრევსკის და ბარიათინსკის დროს 1859 წლამდე, როდესაც გათავდა სრულიად დაღისტნის დაპყრობა. შემდეგ შერიცხულ იქმნა შტაბში და სცხოვრებდა კახეთში თავის სოფელს ვაჩნაძიანში. 1863 წელს დომ-გიორგის კიდევ ეღირსა ხმლის აღება. ამ წელს ზაქათალის ოლქში მურთუხალიმ ააჯანყა ხალხი და დომ-გიორგი გაგზავნილ იქმნა დასამშვიდებლათ და წესიერების აღსადგენათ. გარდაიცვალა 1869 წელსა და დასაფლავებულია თავისს კარის წმ. მარინეს ეკლესიაში.

სხვა-და-სხვა განმარტებაა, თუ რათ ეძახდნენ „დომ-გიორგის“. ლენერალი პოტო ამბობს: „დროშას“ ეძახდნენ და არა დომსაო, ე. ი. „დროშა-გიორგის“ და არა „დომ-გიორგისაო“ და ამით უნდა ვიგულისხმოთ, რომ დროშა-გიორგი დაუძახეს 1854 წლიდამო (იხ. В. Потто: Памяти старых Кавказцев. 1898 г.), მაგრამ ამ გვარი განმარტება მართალი არ უნდა იყოს, რადგან „დომ-გიორგის“ მას ყმაწვილობიდანვე ეძახდნენ. მეორე განმარტება ამ გვარია: ერთხელ ოსმალებთან ომი რომ ჰქონიათ ახალციხის მაზრაში ბებუთოვის დროს, გიორგი ჯანდიერისთვის ჩაუბარებიათ ხერხისის ციხე; სულ ოცდაათის კაცი: იმაგრებდა თურმე ამ ციხეს და გარშემო ადგილებს. ამ ომში ჩვენი ჯარი რამდენჯერმე დამარცხებულყო; რამდენჯერმე დასცემოდნენ ოსმალები ამ ციხესაც, მაგრამ ვერ დაეპყროთ. ერთს დღეს, განთიადისას, თვითონ დომ-გიორგის გაებედნა გამოსვლა ციხიდან და დაცემა იქვე დაბანაკებულს ოსმალოს ჯარზედ. ისეთი დღე დაეყენებინა, რომ ოსმალები თავ-ხარდაცემულნი უკუ ქცეულიყვნენ და მას შემდეგ აღარც მოსულან: იმ ადგილს. მაშინ დიდ მანძილს თურმე სდევნა დომ-გიორგიმ თავის ოცდაათს კაცით ოსმალის ჯარი და მრავალნი თურმე დახოცა. ამის გამო ოსმალებს ერთი ლექსი შეეთხათ, სადაც გამოყვანილი იყო, რომ გიორგი ჯანდიერი ისე აპობს მტრის ჯარსა, როგორც თევზი თავის მკერდით წყალსაო. თითონ ოსმალებმა დაარქვეს თურმე: „დომ-გიორგი“. „დომი“ თათრულად მკერდია. ის ლექსი და მრავალი სხვა წერილები, დომ-გიორგისთან მიწერილები ბებუთოვისა და მალხაზიშვილის ანდრონიკოვისაგან, ბევრი ჰქონდათ თურმე, მაგრამ, ს. შილდაში, სადაც დომ-გიორგი დრუჟინით იდგა, ერთხელ ლექები ჩამოვიდნენ და დასწვეს ის ფიცრული სახლი, ჩალით დახურული, რომელშიაც დომ-გიორგი იდგა, მაშინ, როდესაც იგი ზაქათალაში იყო გაგზავნილი თავის ჯარით დროებით და წიგნებიც მაშინ დაიწვა.

აი ერთი წერილი მოწერილი დომ-გიორგი ჯანდიერი-საგან თავის ცოლთან კნენა ბარბარესთან 4 თიბათვეს 1854 წელს გამარჯვების შემდეგ. ეს წერილი მით არის საყურადღებო, რომ უწინდელს ცოლ-ქრმოზის და მოსამსახურეებთან დამოკიდებულებას გვაუწყებს:

„კ იენისს ჩყნდ-სა წ. სურამით. უსაყვარელესო კნენა ბარბარე, აჰლონი ხანია შენი წიგნი და ამბავი არ მომსვლია, დიდათ ვწუხარ, მე კი ხშირათა გწერ წიგნებს, რამაზს უგზავნი (რამაზ ანდრონიკოვი მაშინ უფროსად იყო თელავში). ოთხ ამ თვეს ომი მოგვიხდა იმერეთში. საწყალი დავით ვახვახოვი მომიკლეს და ზაქარია ანდრონიკოვი, ნიკო ჭავჭავაძე დასჭრეს და სხვა ქართლელი თავადისშვილები. გლეხებიც ზოგნი დახოცეს და ზოგნი დასჭრეს. ჩემთან რომ ივანე შუბლაძე იყო, ისიც მოკლეს, მეც დაჭრილი ვარ შტიკით, კარგათა ვარ, ჩემი ჯავრი ნურა გაქვს-რა, ჩემი ბიჭებიც კარგათ არიან: ცაცოც (ბიჭის სახელია) დაჭრილია, მიხამ (ბიჭია) ორი მოკლა. ამათი ჯავრი ნურა გაქვს-რა, ძალიან გამარჯვება მოგვივიდა და დიდი სახელი. ამ თვის ჩვიდმეტს ჩამოველ სურამში, ცხენებს ვასვენებ და მერე ახალციხისაკენ წავალ. შენი ამბავი და ჩვენის სახლისა მომწერე, მანდაურობას გაუფრთხილდი.

ჩვენი სახლისკაცები მომიკითხე თავიანთის ცოლ-შვილით. გივს (ჯანდიერიშვილია) უთხარი: დაჯექ და ხონჯარი იხილე-თქო. მე ჩემის ჯარით თხუთმეტი ზარბაზანი წავართვი. ასე გახლავთ, დიდის სიამოვნებით და შექცევით ვატარებთ დროებას. თქვენი უამბობა მაწუხებს. დედაშენს და შენს ძმას მოკითხვა მისწერე, გიშრის კრიანოსალს. მე რომ მოვალ—მოგიტან. ლევან (მისი შვილი, აწ ტფილისის მაზრის მმარაველი) უსწავლელი არ დააყენოთ. ჩვენი ბიჭები მომიკითხე. ჩემმა ბიჭებმა სამსახური მოგახსენეს. შენი მონა გ. ჯანდიერი“.

შ ე მ ო ლ ო ც ვ ა.

შემოლოცვას ახალ-წლის წინა-ღამეს ეძახიან. ამ დღეს დიდ მზადებაში, დიდ ფაცი-ფუცში არიან დიდიან-პატარიანა ყველა. მთელი ოჯახი ფეხზე დგას, ფაოურობს, ფუსფუსებს. რას არ აკეთებენ, რამდენ საქმეს არ აჩენიებენ ამ დღეს თავს! ახალ-წელიწადს შეეხარებიან და ეს დღე ხომ დიდი ბედობის დღეა? ძველ წელიწადს ისტუმრებენ და ახალს ეგებებიან, მოეღიან და უნდა მხიარულად დახვდნენ. ავი იყო თუ კარგი, გალიეს ძველი და ეს არი! აწი ის ველარაფერს დააკლებს, ძველი ჭირიც, უბედურება მას უნდა გააყოლონ და ახლა ახალის რიგიანად დახვედრას, მომადრიელებას სცდილობენ. მას დაუხვდნენ მხიარულად, გულ-ხსნილად მიეგებონ და ბედი კაი ფეხით დააკვებიონ. რაეარც დაიკვებს ხვალ ბედს, ბოლომდინაც ისე გალევენ; რა გულზედაც, რა ქეიფზედაც შეხვდებიან ახალ-წელიწადს, ძეორე ახალ-წლამდინაც ის ბედი არ მოეშლებათ. აი, ამის ცდაში არიან დღეს, რომ ხვალ რამე ნაირად მისი გულის მოგება შესძლონ და, რაც შეიძლება, გულის სიმხიარულე, სიკეთე თუ მის მოსაწონრად დაიკავონ თავი... და აღარ იზოგვენ თავს, თავის ცდას არ იკლებენ, არ იშლიან და დღეს ძალ-ღონესაც არ იშურებენ, არ იზოგვენ თავს. სადაც უნდა მიიხედო, ყველგან დაუსვენრად მოძრაობაა, ყველგან გამალებული მუშაობა, ყირყიყი, ხმაურობა. ვინ გზას ასუფთავებს, ვინ შეშას აპობს, ვინ წყალს ეზიდება და ვინ რას!. სიტყვიდ, ყველა ერთ ცდაშია, ერთ გაწა-მაწიაში.

ამ დღეს მათი ხელ-ფეხი არ წყნარდება. მომეტებული ჯაფა ამ დღეს უფრო დედაკაცებს ადკებათ, მთელი ოჯახი

მათ აწვევბათ კისერზე, მათ ანაბარადაა მიტოვებული, მიგდებული. და ისინიც ცალს აღარ უდებენ, აღარ უარობენ, მხნედ ირჯებიან, დაულაღავად ხელ-საქმობენ, თავიანთ ხელს არაფერს აკლებენ; საღამომდი წმენდენ შიგნით თუ გარეთ, დაასუფთავენ, ეზო-რიადაგეს დახვეტენ, ერთი წლის ჩამოუხვეტელს ჭერს, ზესხვენს, დირებს დღეს მოეცლება მტვერი. კედელ-ყურეს ჩამოცოცხვენ, ჯამ-ჭურჭელს დარეცხენ; გაჯანგულ ქვაბის ძროსაც აღარ გაუშობენ დაუხეხავს, დახეხენ, დაფხეკენ—გობი იქნება, საცერი, სუფრა თუ სკამი; ძველ ქინქულობასაც აღარ ტოვებენ ნაცარ-წმენდილში გამოუხარშავს. ახლა, მართლა, მაგდენი საპონიც არ ეშოვებათ!

დაასუფთავენ ყველაფერს, გაამზებენ. ნაგავს თუ სხვა რამ უვარგის, გამოუსადეგარ ნივთეულობას ერთად მოუყრიან თავს და საღამოს არე-მარე „ტრუსის სულად“ არის გადაქცეული (აყროლებული), სად ნახავ ეზოს, სახლის ყურეს, რომ შიგ კვამლი არ ხჩოდეს!

საღამოს, მზე დაეწურება თუ არა, სოფელიც ფეხზე დგება, თოფის გრიალით ერთბაშათ უკან „მშვიდობით!“-ს გააყოლებენ: თითქმის ძველ-წელიწადს წასვლის ნიშანს აძლევენ. ერთს დაიქეკებს თოფი (მოასწრებს ვინმე) და ახმაურდება სოფელი (შეიქნება აქეთ-იქიდან თოფების გრიალი), არი ერთი შილინგი, ერთი უშველებელი. გააქვთ აქეთ-იქით გრიალი თოფებს და მით ძველ წელიწადს გზას ულოცავენ და ახალსაც გზას უცლიან, პირველ საღამოს უგზავიან და ამ დროსაც ქალებს თავიანთი საქმე მორილებული აქვთ უკვე.

ახლა დააგრიალებენ მშვენიერ ჯირკის ცეცხლს, წამოალაგებენ ზედ კეცებს და სახვალთო სამზადისს შეუდგება დიასახლისი: ტკბილ-ტკბილი საქმელები—პური და ყველიანი ხაჭაპურები უნდა დააცხოს, ერთი ცხრა თუ მეტი ან ნაკლები, კაცის თავს თითო ხაჭაპური რომ არ იქნეს, ყოვლად უსაშვალაოა და ზედ-მეტი რაც იქნება, ეს მისი კეთილ-გუნების საქმეა; რომ ხვალ მაინც ჩაიგემრიელონ მით ყელი,

ჩაიტკბონ პირი. ჩააჯენს პურებს, შოოს თუ გომიჯს, გამოაცხობს ხაჭაპურებს. ამ დღისთვის, საზოგადოდ, ხაჭაპურს, ეგრედ-წოდებულს ღვეზელს აკეთებენ. ეს ღვეზელიც ყველიანი პურია, თხელ-გარსიანი, ნახევარ მთვარის მსგავსად მოყვანილი, სქელი-მუცლიანი და კიდევ-შემოჭუნული; გააბტყელებენ ცომის გუნდას, გაიყვანებენ რგვლად; გაათხელებენ ძალიან და მერე შეეცენ, შიგ ყველსა და კვერცხს ჩასდებენ, ნაპირებს შემოუხვევენ, პირ-წმინდად შემოუტეხენ, თუ შემოუგრეხენ თვითეულ თითის დადებაზე, მუცელი განიერი ურჩება და ნაპირები თხელი, რაღაი შემოკეცილი (ნაპირები) ერთად არის შეწყვილი. ღვიზიანია და სახელიც „ღვეზელი“ მიტომ უნდა დარქმეოდეს. პურებშიაც შესანიშნავი, მარტოდ ამ დღეს სახმარებელი, მტევანია. პურსა და ხაჭაპურებს რომ მორჩება, მათზე მონარჩენ თუ მათზე მონაწყვეტ კიპებს მოუყრის ერთად თავს, დაწყვეტს, დაანაწილებს და ხელ-ახლა შეზელს ერთად, გამოაგუნდავებს. მერე გააბტყელებს, გაიყვანს ღეჩაქის ყურივით, აი—სწორედ პატარა, მომცროს ლავაშის მსგავსად (ცოტა ლავაშზე უფრო სქელია) და ზედა პირს ქილის (ქილას მასრას ეძახიან) თავით დაჭიკნის, დააჭრელებს. ხვალ ამით მეკვლიერმა ვენახს უნდა მიულოცოს „ახალი წელი“ და ესეც მტევანის ნიშნად ჩამოჰკიდოს წითელ რქაზე და მით იმ წელს ყურძნით დაძანძვა უქადოს—ბედი დაუკვეღოს რაღა! ეს დაჭრელებული მისი პირი თუ ზედ-მოყვანილი პატარა (ძუძუს მსგავსი) თვლები ყურძნის მარცვალსა ნიშნავს, თავათ-კი მტევანს და სახელი „მტევანიც“ მიტომ ქვიან.

აი, მორჩა პურებსაც და ახლა შექამანდს დაუფათურდება. შემოგიდებს ცეცხლზე კარდალას. წაადგებიებენ კადედალს თავს და უკუ-აგდებენ მდულარეში. ამოფუფქავს, საჩქაროდ გაბტყენის, გამოშიგნავს და მოხარშავს რგვლად, და ყველა ეს ერთად: კაი გამობროწებული პურები, თეთრი ფუნთუშა, თხელ-თხელი შოთები თუ ყუა-შებრაწუ-

ლი სქელი გომიჯები, ლეველ-ქადიანებიც და ბევრიც სხვა სანოვაგე შეადგენს ამათ სახელიო ხონჩას. ყველა ამათ ხონჩაზე მოაწყობ-მოალაგებს: პურს ხაჭაპურებს შემოუწყობს, ამას რგვალ დედალს მოუდგამს გვერდში, ზედ ბოთლით არაყს წამოაწვენს; ხილეულობას და ტკბილეულობას აღარ უნდა ტკბილის გასინჯვა, რომ არ ჰქონდეს. (ან კი ყველას ხომ არ ექნება მაინც!) თავის ტყავში გადაბრუნდება და მაინც იზოვნის ამ დღისთვის, დაკლებით ხონჩაზე ვერაფერს დააკლებს; ხომ დაეკვება მაშინ ავად ბედი და დაიღუპა კაკალი კაცი! რალა ეშველება იმ წელიწადს? აი, სწორედ ამიტომაც მისი ხონჩა დღეს ავსილია „ყოველი სიკეთით“, სიტკბო არ აკლია და სიმწარეც არ უნდა დაებედოს. ყურძნის მტევანს მსხალი ეჯიბრება, ვაშლს ბროწეული, ამას კიდევ გოზინაყი, მას ტკბილი-კვერი, თაფლი, შაქარი... წარმოიდგინეთ, თვალ-მარგალიტსაც კი აღარ იკლებს! მის ნაცვლად ვერცხლის ფულს ჰყრის ზედ; ვერცხლი მხიარულებას ნიშნავს და მითაც აი, ამ მხიარულებას იკვებავს ხვალ და სხვას რას დაიშურებს, თუ კი რამეზე ხელი ეკიდება?.

ბოლოსაც ამ ხონჩის სამკაულს — ჯვარედინად შუბლგაჩეხილ ღორის თავს წამოასკუბებენ ზედ. ეს თავიც „საშობო საკლავისა“ აქვთ ნაგულები (უამ ღორის-თაოდ საახალწლო ხონჩა არ გაიწყობა, მხოლოდ რას ნიშნავს ეს თავის ჯვარედინად გასერვა, არ ვიცი. „ჯვარი სწერიაო!“ იქნება? *)

აი, ამ ხონჩას, ზედ ერთ კაი ღორადოქ „გაგანია“ ღვინოთი კარში გაიტანებენ და იმ ღამეს, ვისაც ბეღელი არა აქვს, სასიძინდეს (ეს მაინც ყოველ კაცსა აქვს) მიაბარებენ,

*) თავზე თუ შუბლზე დანას გადუსვამენ, მდუღრიდან რომ ამოიღებენ ხორცს, მოხარშულია თუ არაო, იმას გებულობენ: კანით თუ გაღიწია, მიიშუქტა, მაშინ ხარშვა აღარ ეკლებს. მაგრამ ის ჯვარი მაინც კიდევ სხვას რაცხას ნიშნავს.

მაინც და მაინც შენ უნდა შეინახოვო, ეტყვიან. ბელის მაგიერად მასწინძლობა ამან უნდა გაუწიოს, ერთი ღამე მან უნდა გაათევიოს, რომ აქედამ შეიტანოს ხვალ სახლში და მით ოჯახს შეძენა უბედნიეროს.

ღიასახლისი, რაკი ხვალის სამზადისს შორჩება; ახლა ეახშამს შეეცდება. კი არაფერი უნდათ... ან კი ვიღას ეგონება იგი; მაძლარია ყველს ხვალის მოლოდინით! მაგდენიც არაფერია საჭირო, მაგრამ მოგეხსენებათ: „ჩვეულება რჯულს უმტკიცესიაო“. დაჩვეული კუჭი თუ არ მოატყუეს, ისე ვერ დადგებიან. და გასავათებულებს ახლა ისევე ცეცხლს მიადგება. გამოაცხობს ხვალისთვისაც მჭადებს (ხვალ ხომ კეთება ჭრაფრისა ვარგა!), გადასანსლავენ სული-სულაზე და მიწვებიან, მიისუფებიან. დაწოლის წინად ამას კი ეტყვიან ბავშვებს: „ხვალ, შეილო, ბედობაა და არამც და არამც არ გაუვარდეთ და გაუხეურდეთ, თორემ დაგებედებათ; კარგად იყავით, ჭკვიანად: არ იტიროთ და უარი არაფერზე გაბედოთო“, წააქეზებენ ბაღნებს და მიისუფებიან.

მეკვლიერი-კი დაწოლის წინ თოფს „გააძგუილებს“ და მერე მაგრად გასტენს, საგულდაგულოდ, რომ რაც შეიძლება, მეტი ხმა გაუშვას, მისმა ხმამ მთაზე ბარი შეარყიოს და მით მეზობელს, ახლობელს და შორებელს ძილი დაუფრთხოს, შორს, შორს მიაწვდინოს ხმა და გულის ძილში ჩასძახოს მძინარს: „მიჯობნია, მიჯობნიაო!“—მტერი დაჯაბნოს და მით იმ წელში საბოლოოდ გამარჯვება დაიგულოს. დაწოლისას თოფს თავით მიიყუდებს, რომ გამთენიას ძებნა აღარ დასჭირდეს მისი, საჩქაროდ მოიგდოს ხელში და სხვას რომ ვეღარ მოასწრებს, დაიბედებს გამარჯვებას და მერე ვილა დაჯაბნის!

აღიონი მოაწევს თუ არა, ან მანამ ვინ მოიციდის! მამალი რაღა იყივლებს, მერე იმაზე მიგვხებულები, რომელი რომელს მოასწრებს, საქმე ის არი და.. ვინც დაასწრებს, ის აჯობებს და იმ წელშიაც გამარჯვებული ის იქნება ყოველ

საქმეში. ყველა დროს უცდის, ნიშანს ელის... პირველად ვერ გაუბედია—ალბად, ადრე ჰგონია და მიტომ, თორემ, რაკი ერთ ხმას გაიგონებენ, მერე ერთი-მეორეს აცლიან! ერთი დაიჭექებს: „მიჯობნია, მიჯობნია!“ საკუთარ ხმასაც გააყოლებს თოფის ხმას მეთოფური და მეორე ბანს მისცემს და ერთად შეერთებული გრილით დაჰყვება ღრიანკლებს და სოფელ-ქვეყანას ახალი წლის მოსვლას ახარებს. ასტყდება თოფის სროლა. წუთს მთელი სოფელი ფეხზე დგება და მიძინებულ-მიყრუებულნი არე-მარეც ხმაურდება. შეიქნება ერთი შელინგი, გააქვს აქეთ-იქით თოფებს გრილი! მომავალს გზას უცლიან, მიმავალს გზას ულოცავენ. ერთ ხანს იგუგუნებს თოფების ხმა, თოფის ტუჩებიდან ამოვარდნილი ნაშინშხალი აქა-იქ ღამის წყვდიადს ანათებს, ხმა მიყრუებულ ღამის მყუდროებას არღვევს და გუნებიერ მძინარი ხალხის მოსვენებასაც ძალა-უნებურად არყვეს. მაგრამ შალე თოფის ხმაც წყდება, არე-მარეც წყნარდება. ბუნება კვლავ ისუფება, ყუჩდება და შემობრუნებული ხალხიც მოსვენებით ძილს მიეცემა.

— მაჯობე, მაგრამ არაფერიაო, ამბობს გუნებაში დამარცხებული, — სხვაში ნურაფერში დამჯაბნის და თოფის სროლა მომასწრო, რა ვუყოთ!—იკეთებს გულს და თვალს ხუჭავს, გულ-დაშოშინებული ძილს ნებდება.

— ვაჯობე-თუ არა ჩემს მტერსა და ოჯგულს! აწი რაღას დამაკლებსო, — ამბობს ნაჯობნი და გულ-დაშოშინებული მოსვენებით ხვრინვას ამოუშვებს.

კოტა თვალს წადებენ, თვალს მოატყუებს და ამასობაში გათენებაც მოუსწრებს, იქნება უძილარიც იყოს, ვინ იცის, თოფის დაცლას უცდიდა, ძილ-გატეხილს არ უძინია? დილას (ჩვეულებრივზე ადრე ადგებიან, ნამეტურ თავრები) ცეცხლს დააღუზღუზებს, ჯერ მას მიულოცავს უმალ, მერე მემკვლიერ-მეფეხურობას მორჩება და მერე იმხიარულოს!.. რა უჭირს, ძველმა კარგად დასტოვა, ახალსაც გულ-მხიარუ-

ლად შეხვდა, ამ წელშიაც გამარჯვება დაიბედა და აწი ვილარალას დააკლებდა.

სანამ თოფს დაცლიდენ, შინაურებს ბედს დაუკვებენ. ოჯახის უფროსს ნაგულები აქვს ვერცხლის ფული და შაქარი ჯიბეში და „მემკვიდრეობის“ ის არე ოჯახში. მოატანს თუ არა დრო, (რასაკვირველია, ყველას ეჩქარება—არავინ მომასწროსო და ეს დროც სხვა-და-სხვაა, ყველას ერთ და იმავე დროს არ უხდება ბედის დაკვება), წამოდგება მეკვიდრე, ფულს მარცხენა ხელში დაიჭერს და მარჯვენათი შაქარს მოკვრებავს, მერე მივა უფროსთან—ცოლი იქნება თუ სხვა, ვინც ეგულება ოჯახში სხვაზე უფროსად, ხელში ფულიან ქისას, თუ არა მარტო ფულსაც გამოავლებს და — „ღმერთმა მრავალი ახალ-წელიწადი გაგიტენოს!“ ასე ტკბილად დაბერდი, ასე ტკბილად და შაქრადო“, — ეუბნება და თავის ხელით შაქარს აკვრებიებს. ისიც შაქარს მოკვრებიავს (შაქარი თუ სამჯობინარო უბრად უნდა ქამონ, ხმა ამოუღებლად მიიღონ, თუ არა აღარ ისაქმებსო) და „შენიანათო“ ეუბნება. ასე დაუფლის ყველას, რამდენიც ეყოლება ოჯახში. ბედას დაკვებაც ეს არი. სამჯობინაროს ამ შაქარს ეძახიან. უბრალო დღეს შაქრის მაგივრად მარილს ტლავვენ, ყოველ დილას მარილზე უნდა დაიწონ ენა. თორემ აჯობებს რამე. რასაც გაიგონებს, რისი ხმაც მოხვდეს ყურში, უზმოდ მარილ უქმელად, ნახალწლევს, ახალი გამოჩეკილი თუ დაბადებული იქნება, გინა უცხო ქვეყნიდან მოფრენილი ფრინველი, ყველას თავისებური შედეგი მოჰყვება დამარცხების ჯილდოდ. ამ გაგონება-მოსწრებას ეძახიან შაქობა და ამ მარილის ქამას—ჯობნებას. ვაჯობე, ვეღარათერს მიზამს აწიო, იტყვის გახარებული. მაგალითად, წინიწელის...

და შემოლოკვა-ღამესაც სამჯობინაროს რომ მიიღებენ თუ მიადებიებენ, თოფებსაც მერე დაცლიან...

აფრ. მერკვილაძე.

ბიბლიოგრაფია

საღიბრაბურო ჟართული

(სილოგან ხუნდაძის გამოკლევა. ქუთაისი, 1901 წ.).

ორ მარცვლოვან არსის სახელებში არ ჰკარგავს არც არც ერთი ოლი, ული და ილი-ზე დაბოლოებული და არც ისინი, რომლების დაბოლოების წინა მარცვალბ შესდგება სამის ანუ მეტი თანხმოვანისაგან და ამ უკანასკნელებში ურევია თანხმოვანები: ბ, ხ, ს, წ, ყ, დაბოლოებას კი წინა-უძღვის ხმოვანები: ვ, რ და ნ-ი; თუ წინა მარცვალში არის: ს-ი, ან წ-ი, ან ბ-ი, ან ყ-ი, არ ჰკარგავს არც ის ორ მარცვლოვანი სახელები, რომლების წინა მარცვალი შესდგება ორი თანხმოვანისაგან, მაგ. ყველი, წვერი და სხვ. გამოსარიცხავია მწყერი, რომელიც, როგორც მიმღეობისაგან წარმომდგარი, ჰკარგავს.

ავტორს ხალხის ნამეტანი ხათრი აქვს და სცდილობს ისე სწეროს, როგორც ხალხი ლაპარაკობს და გამოსთქვამს. არც ამგვარი აზრია, ჩემის აზრით, შესაწყნარებელი. ყოველ ენას და მათთან ქართულსაც აქვს ისეთი სიტყვები, რომლების გამოთქმა და წერა ერთნაირად არ შეიძლება. ავიღოთ თუნდა „გქონია“, ვწეროთ ასე, ვამბობთ კი „ქქონია“-ს; გამოთქმის კანონი სხვა აქვს ყოველ ენას, წერის კი სხვა. ხალხი გამოთქმაში დიდი ავტორიტეტია, ხოლო წერაში მეცნიერული

*) იხ. მოგზაურა № 6.

კანონის ძალით უნდა მოვიქცეთ. ამიტომ ავტორს ნაკლები საბუთი აქვს, მიმართულების მაჩვენებელ ბრუნვაში (ხუნდაძის ვნებითი ბრუნვა, გვ. 17) დ-ნს რომ დ-ნს ამჯობინებს. ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, დ-ნი უნდა სჯობდეს, რაც შეეხება კეთილ-ხმოვანებას ის ამით არაფერს ჰკარგავს: თუ მაინცა და მაინც თ-ს ვამჯობინებთ გამოთქმაში, მართლ-წერა მაინც უნდა დავიცვათ; ამას, ვიმეორებ, იფხოვს მეცნიერული კანონი და აი რატომ: აღ არის წარმომდგარი მოქმედების სართისაგან (ხუნდაძის ზმნის სართი *) საღ: ცხადია, რომ ქალაქად ნიშნავს ქალაქ-სად (ქალაქის მიმართ). კაცად—კაცად=კაცის მიმართ და სხვა. ეს ცხადად სჩანს ამგვარი ფორმების მოქმედების სახელთან ხმარებაში, მაგალ.: მიიქცა ქალაქად, იქცა კაცად, მოაქცია ქრისტედ და სხვ. სომხებიც სწერენ მარდ-ს (კაცი) და გამოსთქვამენ მართ-ს, სწერენ კარდალ-ს (კითხვა), გამოსთქვამენ კი კართალ-ს, რუსები სწერენ „ლოჟკა“-ს, გამოსთქვამენ კი „ლოშკა“-ს და სხვ.

ასევე, ითქმის სიტყვებზე ტკილი, კბილი, ტბა, (რომელიც ავტორს 97 გვ. აქვს მოყვანილი), სადაც გამოთქმაში სუყველგან ისმის ჰ-ი და არა ბ-ნი; აგრეთვე სწერენ (და უნდა კიდევ სწირონ) საყდარი-ს, ღვთის-ს=და გამოსთქვამენ სახტარი-ს, ხვთის-ს და სხვ. იმერული ვინცლა (სრულიად სწორი ფორმაა) გამოითქმის ვინცხად.

ამით ვათავებ ჩემ შენიშვნებს ამ ფრიად საპატიო შრომის შესახებ. რამდენადაც მეტი მნიშვნელობა აქვს ბ. ხუნდაძის

*) ქართულში მოქმედებს ანსის სახელის ხასიათი აქვს, ამიტომ ტერმინს ზმნას მე ვამჯობინებ მოქმედების სახელს; საზოგადოდ მე ვამჯობინებ ამ გვარ ტერმინებს ენის ნაწილებისთვის (для частей речи): ანსის სახელი, თვისების სახელი, ანსის ნაცვალი, რიცხვის სახელი, მოქმედების სახელი, გულით ნასრული, თანდებული და კავშირი.

შრამას, იმდენად უფრო საჭიროა მისი აწონ-დაწონა და და-
 ფასება, რამდენად მეტი შესწორება იქნება შეტანილი „სა-
 ლიტერატურო ქართულ“-ში, იმდენად მეტი ფასი მიეცემა
 მას, როგორც ქართული ენისათვის ჯერ-ჯერობით საუკეთესო
 სახელმძღვანელოს, რომელიც ღირსია, ჩემის აზრით,
 შემოდებულ იქმნას საყოველთაოდ ჩვენს სკოლებში, სულაც
 კი პატივცემულია ქართული ენა..

ი. აბულაძე.

მოდგენისა იმდენად უფრო საჭიროა მისი აწონ-დაწონა და და-
 ფასება, რამდენად მეტი შესწორება იქნება შეტანილი „სა-
 ლიტერატურო ქართულ“-ში, იმდენად მეტი ფასი მიეცემა
 მას, როგორც ქართული ენისათვის ჯერ-ჯერობით საუკეთესო
 სახელმძღვანელოს, რომელიც ღირსია, ჩემის აზრით,
 შემოდებულ იქმნას საყოველთაოდ ჩვენს სკოლებში, სულაც
 კი პატივცემულია ქართული ენა..

იმე შეეძლება იმდენად უფრო საჭიროა მისი აწონ-დაწონა და და-
 ფასება, რამდენად მეტი შესწორება იქნება შეტანილი „სა-
 ლიტერატურო ქართულ“-ში, იმდენად მეტი ფასი მიეცემა
 მას, როგორც ქართული ენისათვის ჯერ-ჯერობით საუკეთესო
 სახელმძღვანელოს, რომელიც ღირსია, ჩემის აზრით,
 შემოდებულ იქმნას საყოველთაოდ ჩვენს სკოლებში, სულაც
 კი პატივცემულია ქართული ენა..

სადაც მისი... ამ... ქართული... ისტორიის...

ქართული სტამბის ისტორიიდან

ქვეთივე ივანეს ძე ხელის 30 წლის დღესასწაულს ვამბ.

ქართული სტამბის და შექდის ისტორია თუმცა ძველი რამ არ არის, მაგრამ რაც არის და რაც გვაბაღია, ჩვენ არც მისი ავ-კარგიანობისა ვიცით-რა, თათქოს ერთის მხრით მის გაცნობას და ანუხხვას ჩვენ არც კი ვსაჭიროებთ. მაგრამ ეს არ არის ფარსავი და სანუკარი, ყოველ ვრს აქვს თავის სტამბის ისტორიის ცნობები, მათ კარგათ იციან არა მარტო სტამბის დაარსება და წიგნების ბეჭდვა, არამედ იმ პირთა შრომის და ცხოვრების ცნობებიც, ვისაც კი სასტამბო ასპარეზზედ უღვაწია. სტამბის და მწიგნობრობის ასპარეზზედ უმთავრესად თუ ყველგან და ყველასაგან მარტოდ მწერლები, რედაქტორები და გამომცემლები ფასდებიან, ზიტყვით, რომ ამათ გვერლით მდგარათ უნდა გამოცხადდნენ სტამბის ხელოსნები და მუშებიც, რადგანაც ესენი არიან მეორე მხარე რედაქტორ-გამომცემელ-მწერლებისა და რასაც ერთნი სწერენ, იმას მეორენი ხორცს ასხმენ და საქვეყნოდ ასულ-მეტყველებენ.

ამიტომ ჩვენც საჭიროთ მიგვაჩნია, რათა ყოველ ჩვენს სასტამბო და სამწერლო ხელოსან-მუშაკთ მოღვაწეობის ცნობანიც ავსუხხოთ. ამომწყობი იქნება, მბეჭდავი თუ გინდ სხვა, რამ ხელოსანი, ეს ჩვენთვის ოროვ ერთია, რადგანაც ყველა ამ მუშებს ჩვენს ცხოვრების ასპარეზზედ და ნამეტურ სტამბის წინაშე საკმარისი შრომა მიუძღვისთ. სამწუხაროა ზე მხოლოდ ის ვარის, რომ ჩვენი ძველები არ მისდევ-

დნენ ასეთ ცნობათ შესწავლას, ხელოსანთ შრომის დაფასებას, მათს შესახებ მათ სულ არაფერი ცნობები დაგვიტოვეს, მაგ., მესტამბე მიქაელზედ, რომანოზ ზუბალაშვილზედ და მრავალთაც სხვებზედ. არა თუ ასეთ ძველებზედ, ჩვენ არა ვიცით-რა თვით უახლოეს დროის, XIX საუკუნის, რუსეთში ყოფილის ამომწყობის სვიმონ მესტამბე ტაბიძის შესახებაც კი, რომელიც მუშაობდა აკადემიის სტამბაში და რომელმაც ამოაწყაო ყველა ქართული სააკადემიო გამოცემანი, თიფქმის ყველა ქართული განსაცვიფრებელნი შრომანი. ამ უკანასკნელზედ ჩვენ მარტო შემდეგი ვიცით ბროსეს სიტყვით:

„სვიმონ მესტამბე ტაბიძე ბუჭვლაზედ იყო მტკიცია,
დწებუჭდეთ წიგნი აწ ხსნად, განახლდა ძველან ძველი“-ო.

ასევე არა ვიცით-რა 1820, 30 და 50 წლების ქართულ სტამბათ ამომწყობთა და მბეჭდავთ ცნობებიდგან. ასეთ საქმეთა და პირთა ცხოვრების ცნობანი ჩვენში უძველეს დროდამ იწყება, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს თითქმის ესეც უცნობია ჩვენთვის, სრულიად მქრალი. ეხლა ჩვენ აქ შევვხებით ერთის ასეთის მშრომლის ცნობათა განმარტვას და იმედია, რომ ეს ანუსხვა თავისებურს მნიშვნელობას იქონიებს ჩვენის ბეჭდვის ისტორიის ასპარეზზედ. ეს პირი, სახელდობრ, არის მესტამბე ექვთიმე ივანეს ძე ზელაძე. ამ კაცის ცხოვრება, ფეხის აღგმა, ახალგაზღობა და დაბერებაც მქიდროდ არის შეკავშირებული ქართული სტამბის აღორძინების საქმესთან და მის ისტორიასთან, რომლის უახლოესი დროც 1860 წლების შემდეგიდამ იწყება.

ექვთიმე ივანეს ძე დაიბადა 1846 წ. მამა ამისი ივანე იყო მღვდელი, იგი სცხოვრებდა გურიის ერთს სოფელ მამათს. 13 წლის ექვთიმე მიბარებულ იქმნა ჯუმათის მონასტერში, სადაც სწავლობდა ქართულ საეკლესიო წიგნების კითხვას. 1859 წ. მონასტრის სკოლიდამ ოზურგეთის ორ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში იქმნა გადაყვანილი. 1863 წ.

დაასრულა ობ-კლასიანი სასწავლებელი და 1864 წ. გადა-
ყვანილ იქმნა ქ. ქუთაისის ობ-კლასიან სასწავლებელში. ამ
სასწავლებელში ზედამხედველათ იმყოფებოდა იმ დროს ცნო-
ბილი და ღვაწლ-დებულის მოღვაწე გერასიმე კალანდარაშვი-
ლი, რომელიც მოწაფეებზედ დიდათ მოქმედებდა, მოხარდ
ბავშვებს უხსნიდა სხვა-და-სხვა რთულ საგნებს მარტივად და
ასეთ კითხვათა გარეშე აცნობებდა თვით ახლად დაბეჭდილ
ქართულ ჟურნალ-გაზეთებსაც და მასთან ბეჭდვის ცნობასაც
უმარტავდა, რასაც მოწაფე ექვთიმეზედ მეტად დიდი ზე-
გავლენა ჰქონია. ბეჭდვის სიყვარული ექვთიმეს სკოლის სკამ-
ზედ ყოფნის დროს ჩანერგია გვამში. გერასიმე კალანდარა-
შვილი იქამდე აღმატებულის თვისების ყოფილა, რომ იგი
1866 წ. სკოლის მოწაფეებს კარგად აცნობებდა თვით გაზეთ
„დროების“ ნომრებსაც, რომლის გამოცემაც 1865 წ. მარ-
ტის პირველიდან იქმნა დაწყობილი. „დროების“ პირველ
ნახვის უმაღლვე აღტაცებულა ექვთიმე ხელაძე და გულში
გაღვიძებია სტამბის ნახვა, გაცნობა, შესწავლა. 1866 წლის
შუა რიცხვს, 29 აგვისტოს მოწმობა ჰილა და ქუთაისიდან
ტფილისს გამოემგზავრა ფურგუნით, რათა სტამბაში შესული-
ყო მოწაფედ და მეცხრე დღეს ქუთაისიდან ტფილისს ჩამო-
სულა კიდევ.

ამ დროს, ქ. ტფილისში სულ ექვსი სტამბა იყო და მათ
შორის ერთი „ცისკრის“ რედაქტორის ივანე კერესელიძისა.
პირველადვე ექვთიმე ხელაძემ ივანე კერესელიძეს მიმართა
და სთხოვა მოწაფედ მიღება. ივანე კერესელიძემ სია-
მოვნებით მიიღო და მაშინათვე მიუჩინა საქმე. 11 თვის გან-
მავლობაში ექვთ. ხელაძემ სტამბის ხელობა ისე შეისწავლა,
რომ მას თავისუფლად შეეძლო დაეკავა ადგილი თვით იმ
დროის ერთის სტამბის გამგის, მაკავარიანისა, რომელსაც
წელიწადში 500 მან. ჯამაგირი ჰქონდა. სტამბაში მეტად
ხელ-მარჯვე ხელობის მკოდნეთ აღმოჩნდა, ქართული კით-
ხვის კარგად მკოდნეთ, მუყაით ამომწყობლათ და მბეჭდავა-

თაც. ასეთის სიყოჩაღის და მუყაითობის გამო ექვთიმე ხელაძე ივანე კერესელიძეს დიდათ შეუყვარდა, ექვთიმე სტამბაში მას ყველა საქმეს უკეთებდა, აწყობდა, ბეჭდავდა და „ცისკრის“ ხელისმომწერთაც ურიგებდა, რადგანაც ივ. კერესელიძეს ხშირად შეუძლებლობის გამო თვით „ცისკრის“ დამტარებელიც არ ჰყავდა. ერთად-ერთს ერთგულ გულშემატკივარ პირად ეს ირიცხებოდა, ამ დროს „ცისკარს“ და მის დამატება „გუთნის დედას“ საკმარისი განსაცდელი მიადგა კარს. იმ დროის ქართველ მკითხველ საზოგადოების ნაწილი ძრიელ მცირე რიცხვისაგან შესდგებოდა. გაზეთ „დროების“ გამოცემამ „ცისკარს“ საქმე შეუფერხა, ხელის-მომწერლები ისე მოაკლდა და, თვით „გუთნის დედაც“ ისე შეწუხდა, რომ თუ არ ასეთი პირობები სტამბაში ხელოსნის მხრით, უამისოთ იგინი ერთობ აღრევე მოისპობოდნენ, ვერ შესძლებდნენ გამოცემას, რადგანაც შემოსავალი მარტო ბეჭდვასაც არ ჰყოფნიდა. ასეთ გარემოებაში მყოფ გამოცემათ და მთლათ ივანე კერესელიძის საქმეებს უანგაროთ ეხმარებოდა ექვთიმე ხელაძე. ივანე კერესელიძეც ისე აფასებდა ექვთიმეს შრომას და ისე სცემდა პატივს, რომ ამის გამო 1869 წ. მან ერთს თავის ნათესავს, საგინოვის ქალზედ ჯვარიც დასწერა. ამ ქალის ხელში ექვთიმემ სამღვდელოთ მომზადება დაიწყო, მას ამზადებდა კუკიის ნიკოლოზის ეკლესიის დეკანოზი იმნაძე. 1870 წ. ექვთიმეს მეუღლე გარდაეცვალა და რაკი ასეთ შემთხვევის შემდეგ მღვდლათ კურთხევა კანონით აღარ შეიძლებოდა, ამიტომ მის ძებნას იგი სამუდამოთ გამოეთხოვა და ისევ თავის ხელობის საქმეს დაადგა.

ამავ წელს, ეს შევიდა ცნობილ სტეფ. მელიქიშვილის და ამხანაგობის სტამბაში და გაზეთ „დროების“ წყობა დაიწყო. იმ დროს „დროება“ ს. მესხის რედაქტორობით გამოდიოდა, მის ერთგულ თანამშრომლად ირიცხებოდნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი და ზოგიც სხვანი, იმ დროის გამოჩენილი მწერლები. ყველა ამ პირებ-

თან ექვთიმეს დაახლოვებული განწყობილება ჰქონდა, მათგან სრული პატივისცემა დაიმსახურა და ესეც პატივისცემით ემსახურებოდა. ამ დროს სტეფ. მელიქიშვილის სტამბაში დაიწყეს ბეჭდვა გაბრიელ ებრაძის „ქადაგებების“, რომელიც ექვთიმემ ამოაწყო და ამასთან სხვაც ბევრი ქართული წიგნები. ყველა ამოაწყოფს ეს ისე. იათად ზღვებდა, რომ მის ფასის მოგონება და შედარება ღრეხანდელ ფასებთან ერთობ შორი-შორს იქმნება, შედარება არ შეიძლება. მაშინდელი 13 მ. ამოაწყოფ-გასაკეთებელი, ღრეს 30 მ. ჯდება, ასე შეიცვალა გარემოება. იმავე წლის ბოლოს, გ. წერეთელმა იჯარით აიღო ღუბილერის სტამბა, მელიქისშვილის სტამბიდან იქ გადიტანეს გაზეთი „დროება“, ახლად დაარსებული „სასოფლო გაზეთი“ და ამათ 1871 წ. „კრებულიც“ მოჰყვა. ყველა ამ გამოცემებს და ჟურნალ „მნათობსაც“ ექვხელაძე აწყოფდა, ყველას იგი უძღვებოდა წინა და თან ერთგულის გამგეობით სასტამბო საქმესაც ავითარებდა. სტამბის საქმესა და ამოწყოფაში მონაწილეობას იღებდნენ და ეხმარებოდნენ ბ. ნ. ნიკოლაძე და პ. იზმაილოვი, ამათ გარდა სტამბაში იარებოდნენ იმ დროის სომეხთ ცნობილ პირთაგანნი გ. სუნდუკიანცი, შავერლოვი, „მშაკის“ რედაქტორი გრიქურ არწრუნი, ჩიმიშკიანი და შრავალნიც ქართველნი, რომელნიც შეერთებულის უღლით მოქმედებდნენ, მაშინ ქართულ-სომხური წიგნები ერთ სტამბაში იბეჭდებოდა.

ექ. ხელაძემ 1871 წ. მეორე კოლხედ ბქმნა ჯვარ-დაწერილი. მეჯვარედ ს. მესხი იყო, ამ ქალისაგან მიეცა შვილები, ექვთიმეს სიძეა ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტი ლალიონი, რომელმაც არა ერთის მოთხრობით მიიპყრო ჩვენი მწერლობის ყურადღება.

თუმცა ექვთიმე ხელაძე „ცისკრის“ რედაქტორს გაშორდა და სხვაგან მუშაობდა, მაგრამ მას იმდენად ახსოვდა ივ. კერესელიძის ამადი, რომ მუდამ ენატრებოდა ის ერთადერთი ძველი ქართული ჟურნალი არ დახურულიყო, არ მო-

სპობილიყრ. ამ დროს ივანე კერესელიძეს „ცისკრის“ საბეჭდათ ძველად შექმნილი პატარა სტამბა ჰქონდა, მაგრამ სრლარიბის გამო სტამბას ვერ უძღვებოდა, მეტი გზა არ იყო, სხვა ვინმე უნდა ენახა სტამბის გამგეთ. ივ. კერესელიძე და ექ. ხელაძე მალე შეთანხმდნენ და 1872 წ. ექვთ. ხელაძემ მთავრობას თხოვნა მისცა საკუთარი სტამბის გახსნის შესახებ. 24 ივნისს 1872 წ. გუბერნატორისაგან ნება-რთვა აიღო. მალე გახსნა სტამბა ქ. ტფილისში, იარმუკაზედ, ერთ უბრალო ოთახში და ივ. კერესელიძის ერთი ძველი დაზგა (სტანოკი) და სხვა სასტამბო იარაღიც გადიტანა ახალ სტამბაში და იქ მუშათაგსა.

მალე „ცისკრის“ აწყობაც დაიწყეს. ამ სტამბის გახსნას იმ დროის ქართველობა მეტად სიამოვნების თვლით მიეგება, რადგანაც სტუფ. შელიქისშვილის სტამბა ქართულ საბეჭდ საქმეებს ვერ ასლიოდა და სხვა სტამბა კი არსად იყო. ექ. ხელაძის სტამბაში მუდმივად იწყეს სიარული. პატივცემულმა ანტონ ფურცელაძემ, რომელმაც შემდეგ დროს ამ სტამბაში გაზეთ „გუთნის დედის“ გამოცემაც განაახლა, დაიარებოდა აგრეთვე პეტრე უმიკაშვილი, გ. წერეთელი და მრავალნიც სხვანი, იმ დროის ქართველთ მწიგნობარნი და ცნობილნი გვამნი. დრო ისეთი იყო, რომ ქართველნი სასტამბო საქმეებს ახლად ეწყობოდნენ და ამიტომ ყოველი საქმეც დიდათ უძნელდებოდათ, ხანდისხან თვით მწერლებიც კი მთელს ღამეებსაც ატარებდნენ სტამბაში. ნამეტურ გაზეთ „დროების“ გამოცემის დროს, რაც პატივცემულმა ნიკოლოზ ლოლობერიძემაც დაასაბუთა, რომ „დროების“ გამოცემის გამო ჩვენ კვირაში ერთს ღამეს სტამბაში ვათენებდითო. ცხადია, რომ რაკი გაზეთის თანამშრომლები ათენებდნენ სტამბაში ღამეს, ამომწყობნი და მბეჭდავნიც იქ იქმნებოდნენ და ამათ უფრო მეტი ქაპანი ექმნებოდათ გასაწყვი.

II

თუმცა პატარა სტამბა იყო ექვთიმე ივანის ძის ხელაძის სტამბა, მაგრამ საკუთარი სტამბის შექმნის მეოხებით ექვთიმე ხელაძისათვის დადგა ახალი ხანა, სასტამბო საქმის ასპარეზზედ მოქმედებისა. როგორც ვსტყვიტ და ეს სხვაგანაც გვითქვამს*), ექვთიმე ხელაძემ სტამბის საქმეებში საკმარისი ენერჯია გამოიჩინა. ეს ცოტაა, მან ეს არ იკმარა. მან სტამბას მიაჩვია ქართველთა შვილები, თორემ მინამდვი ქართველები ახლოსაც არ ეკარებოდნენ სასტამბო საქმეებს, ბაყლობას, კინტობას და მენახშირეობას მისდევდნენ და სტამბას კი ახლოსაც არ ეკარებოდნენ. ამისადგვის ექ. ხელაძემ დაიწყო გურიიდან გურული ბიჭების ჩამოყვანა და შეეგირდათ აყვანა სტამბაში. სამი წლის განმავლობაში სტამბა ამან გურულის წერა-კითხვის მკოდნე შაგირდებით გაავსო. მათ ერთგულათ დააწყებინა ხელობის შესწავლა, მაგალითებრ, ასეთები არიან: იოსებ ხელაძე, ივანე კილაძე, ლუარსაბ ხელაძე, დიომიდე კილაძე, რომლის 30 წლის ასობა ამოწყობა ქართველთ წიგნთა გამომცემელ ამხანაგობამაც იდღესასწაულა. პლატონ გოგვაძე, გ. მახარაძე, დომეტი შარაშანიძე და მრავალნი სხვანი, ენით მოუთვლელნი. ჩვენ აქ ყველა ხელოსნებს არ ვასახელებთ, მოვიხსენეთ მხოლოდ ზოგიერთი უხუცესი პირები და ისინი, რომელთაც შემდეგ თავიც ისახელებს. აქ მოთვლილებში რამდენსამეს თბილისსა და იმერეთს სტამბებიც აქვსთ დახსნილი და იგინი თავიანთ შექმლების და გვარათაც მოქმედებენ, ქართულ საქმეებს დროის შესაფერათ უძღვებიან, ზოგიერთს მთელის ოცის წლობით უმუშაქნიათ ქართულს გაზეთებზედ, ეს ზოგ ალაგას დღესაც ისევია, ყველა ვრცელი დიდრონი წიგნები მთლათ ამ პირებისაგან ამოა-

*1) „ისტორია ქართულის სტამბების“, კამბრემა 1900 წ.

წყვეს და დაბეჭდეს, ყველა საქმეს ესენი უელვეზდენ და ამის გარდა სტამბის მოწაფეებსაც ამრავლებდნენ. უნდა ითქვას, რომ ყველა იგინი კი ექვთიმე ივანეს ძის ხელადის მოწაფეთ ითვლებოდნენ და მათ ამისაგან ჰქონდათ ხელობა შესწავლილი, ღღეს ეს პირნი ცხოვრებით და ხელობით წელში გამართულები არიან და გვარიანათაც სცხოვრებენ. იგინი ითვლებიან პირდაპირ ექ. ხელადის მოწაფეთ.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ექვთიმე ხელადეს ბეჭდვის ასპარეზზედ საკმარისი შრომა მიუძღვის, მის ცხოვრებასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი სტამბის აღორძინების საქმე და მისი წარმატება. უნდა მოგახსენოთ, რომ ოდესმე თუ ქართული სტამბის აღორძინების ისტორია დაიწერა, იქ ექვთიმე ხელადე ისეთსავე საპატიო ადგილს დაიკავებს, როგორც მაგალითებრ მის დროის პატივცემული ქართველი კათოლიკე მესტამბე სტეფანე მელიქისშვილი, რომელიც აგრეთვე გამომცემელი იყო გაზეთ „დროებისა“ დაარსებიდგანვე, მასთანვე სხვაფრივაც ამაგდარი და ცნობილი ჩვენი სტამბის ასპარეზზედ. ამ პირმა და მისმა სტამბამაც მეტად ღიღრ სამსახური გაუწია ქართველობას, მას ღიღი ამაგი მიუძღვის ჩვენს მწიგნობრობაზედ. ამ სტამბის შრომასა და განვითარებაზედ ღიმ. ბაქრაძესაც ღიღი შრომა აქვს დადებული, მასთან ვახტანგ თულაშვილს, ნიკოლოზ როლობერიძეს, გ. წერეთელს და სხვათაც. ს. მელიქისშვილს სტამბის შემდეგ თითქმის მთელს საქართველოში ექვთიმე ხელადის სტამბა ჩთვლებოდა ერთად-ერთ სტამბად, სადაც მართლაცა და ქართული წიგნებიც იმავე სიუხვით იბეჭდებოდა, როგორც მელიქისშვილის სტამბაში.

ღღეს რომ ასე გამრავლდა ჩვენში სტამბები, ყველა ეს, სულ მომდევარნი არიან მელიქისშვილის და ექვთ. ხელადის სტამბის, ამ სტამბათა გამაგრების ნიადაგის და ქართველთა შორის ქართული წიგნების ბეჭდვის განმტკიცების და აღორძინების „შედეგია, უნდა მოვიხსენოთ, რომ ს. მელიქისშვილის

და ექვ. ხელაძის სტამბათა არსებობის საქმეს მეტად დიდი მომავალი მოჰყვა, ბრწყინვალე შედეგი და დიდებით აღსანიშნავი გარემოება, რა გარემოებამაც ქართული წიგნების ბეჭდვის საქმეც ერთი ათად მალრა ასწია და ააღორძინა. დღეს ქართველი ერის ცხოვრების ასპარეზზედ ქართული წიგნების ბეჭდვის საქმე გაბრწყინვებულა, გამაგრებულა, ამ სიმაგრეს და ძლიერებას ცხოველის შუქით და სინათლით ასულ-მეტყველებს და აბრწყინებს ქართული სტამბა და მისი გამაგრებული ჩარხი, მისი მანქანა, დაზგა და სხვა იარაღები. მეტად ძნელი საქმე იქნება, რომ მომავალში ან ამ სტამბის ასპარეზი და მისი ძალა და ან ამ სტამბის მექანიკური და მისი ავთოგრაფიკობა რომელიმე გარემოებამ ანუ პირობებმა ჩანთქას და მიწასთან გაასწოროს, მას ვერაფერს მოერევა, ვერაფერს შესძლებს მის დაცემას და განადგურებას, ქართული სტამბის ძლიერება და ძალა არის სახსარი თვით ქართველის ერის, ქართველის გვარის, მის ენის და მწიგნობრობის, განვითარების და მოქალაქობის, წარმატების, გაძლიერების, რომელსაც აღვილათ ვერაფერითარი მოსავალი ვერ გააქრობს, ვერ აღგვის დედამიწის პირიდან. ასეთია გარემოება ქართული სტამბის, ასეთი პირობები ჰფლობს მას და ამავე პირობების ზვირთებს და ნაკადულებს შეადგენენ ქართველი მესტამბენი, რომლის წევრათაც ითვლება აქ მოხსენებული ექ. ხელაძეც.

ექვთიმე ხელაძის სტამბის გახსნა, მისი მოღვაწეობა სტამბის ასპარეზზედ და მოქმედება აღსანიშნავია იმიტაც, რომ ამ პირმა თავის პირველის დიდგანვე სტამბის ხელობის შესწავლის და სტამბის გახსნისათანავე ქართული სახალხო წიგნების ბეჭდვის საქმესაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია. მან სტამბის გახსნის უმაღლვე დაიწყო ქართული სახალხო წიგნების ბეჭდვა და უნდა ითქვას, რომ მესტამბის გარეშე ქართულ წიგნთა გამომცემლის სახელიც დაიმკვიდრა, მისგან იმავე თავითვე დღემდე ძრიელ ბევრი ქართული წიგნებიც გამოცემულა. ბევრი მისი გამოცემა ჩვენი მწერლობის ასპარეზზედ საყო-

ველოაოთ იქონიებს მნიშვნელობას. ოდესმე ქართული სიტყვიერების და მწერლობის ისტორიის დამწერიც მოიხსენებს ექ. ხელაძეს, ვითარცა ქართულ მესტამბეობასთან ერთად ქართულ წიგნების გამომცემლათაც. ექ. ხელაძის გამომცემლობის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ მან მეტად საჭირო დროს დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა, იანთ დროს, როცა საქართველოში ქართველთ შორის წიგნის ბეჭდვა ქაჰანებათაც არ იყო. მთელი წლები ისე გადიოდა, რომ ქართულს ვნახე სულ პატარა წიგნაკიც არ იბეჭდებოდა. ასეთ გარემოებაში მოთავსებულ ქართველთათვის ექ. ხელაძის სტამბამ ის გავლენაც იქონია, რომ მან თვით ექ. ხელაძის მსგავსად სხვა ახალგაზდა ქართველებიც წაახალისა წიგნების ბეჭდვის საქმეში, მან ბევრს ქართველს შეაჩვია წიგნების ბეჭდვის საქმე, ბევრს გაუადვილა იგი და ბევრი ქართველის გული მორთო და შემოსა ქართული წიგნების გამოცემის სურვილით, მის გაძლიერებით და აღორძინებით.

წიგნების გამოცემის გარდა, ექ. ხელაძემ, საქართველოს დაბასა და სოფლებშიაც პირველად დაიწყო ქართული წიგნების ტარება. მაგალითებრ, თბილისიდან ამან პირველად წაიღო გურიაში ქართული წიგნები და დაუწყო ვრცელება, თვით საერო ბაზრობაზედაც მიდიოდა, თან წიგნები მიჰქონდა და ჰყიდდა, რაშიაც ჯეროვან დახმარებას აძლევდნენ ადგილობრივი ქართველი მოხელენიც, ყველა მოხელე ექვ. ხელაძის საქმეს სიამოვნებით უმზერდა, მხარს აძლევდნენ, რომ გურიაში პეტრე-პავლობას, ნაგომრობას და სხვა დღესასწაულებშიაც წიგნები ეტარებინა, მისი წარმოება არ მოესპო. ამ საქმემ გურიაში ნიადაგი იპოვა და ფეხი გაიმაგრა. შემდეგ დროებში იქ ექ. ხელაძის გარდა სხვებიც აღმოსჩნდნენ წიგნების მბეჭდავ-დამტარებელ-გამყიდველ-გამავრცელებლებლათ.

უპირველესობა კი ამ პირს ეკუთვნის და მის შრომას. აღსანიშნავია, რომ ასეთ დაშორებულს ადგილებში ექვითიმე

ხელაძე ქართულ წიგნებს ხშირად მუქათადაც არიგებდა. აქ იქ სამკითხველოებს და ჰკოლოებსაც მრავლად და კარგა რიცხვს ქართულ წიგნებსაც სწირავდა; იმერეთს გვრდა ქართული წიგნების ტარება ტფილისის, ახლო-მახლო სოფლებშიაც დაიწყო, როცა კი სადმე დღეობა იქნებოდა, მაგალითებზე, მცხეთაზე მან წიგნები პირველად 1875 წ. წაიღო. ეს პირველი მაგალითი იყო. წიგნები ძირითად უკეთესად გაიყიდა, მაგრამ ამ გარემოებებში მაინც არ დააბრკოლა. შემდეგაც იქ წიგნებს ყოველთვის ატარებდა და მას გარდა სხვაგანაც მიჰქონდათ, დღეს ეს საქმე წინ არის წასული, და იგი ყველასთვის ცხადიც გახლავს. ამასთან ექვ. ხელაძე დროს შოულობდა და ხშირად წერილებსაც სწერდა გაზეთ „დროებაში“ და „სასოფლო“ გაზეთში“.

სასტამბო საქმეების მართვით და მუშაკობით ისე წავიდა წინ, რომ ექვ. ხელაძემ 1879 წ. შეიძინა მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა. სტამბის ასე მოწყობამ მას შესძინა დიდი საქმიანობაც. ამის სტამბაში იქმნა მოკრებილი და საბეჭდად ყველა ქართული გამოცემანი, ერთი სიტყვით არ დარჩა რამე ქართული გამოცემა, რომ იგი ხელაძეს სტამბაში არ ყოფილიყოს დასტამბული. სტამბა საქმიანობით ხშირად ისე იყო დატვირთული, რომ მბეჭდავი მანქანა დღე და ღამე მუშაობდა. ბევრს ქართულს წიგნს მინიჭებია ამ სტამბის საშუალებით ნათელი. ისიც უნდა ითქვას, რომ ექვ. ხელაძეს ქართული წიგნები ყოველთვის იაფად უბეჭდავს. 1875 წელს, ყველა საეკლესიო საბუთების ბლანკები და საეკლესიო ხუცური წიგნები რუსეთში იბეჭდებოდა და ექვთიმე ხელაძის მეცადინეობით და ფასს დაკლებით ტფილისში იქმნა გადმოტანილი, რომელიც დღესაც მის სტამბაში იბეჭდება და რამდენიმე პირო პურსა სჯამს. ამიერი შესანიშნავია მისი ამაგი.

სასტამბო საქმეთ გარეშე ექვ. ხელაძე სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეებშიაც იღებდა და იღებს კიდევაც მონაწილეობას, მაგალითებზე, 1890 წ. იგი ამორჩეულ იქმნა ქაშვეთის

წმ. გიორგის ეკლესიის მნათედ. აქ ამას 10 წლის განმავლობაში ყოველთვის სიამოვნებით ირჩევდნენ. ამ ხნის განმავლობაში ერთგულ სამსახურისთვის მთავრობისაგანაც იქმნა დაჯილდოვებული სტანისლავა მესამე ხარისხის ორდენით.

1896 წ. მთავრობის განკარგულებით 8 თვით შეჩერებულ იქმნა ერთად-ერთი ქართული დღური გაზეთი „რევოლუციონერი“. ამ ამბავმა ბევრი ქართველი შეაწუხა, მთელი ერი უგაზეთოდ დარჩა. ამ დროს ე. ი. 1896 წ. დამლევამდე ექვ. ხელაძემ მთავრობას თხოვნა მისცა და დღიურ ქართულ გაზეთის გამოცემის „წყაროს“ ნება-რთვა სთხოვა, თვით გამომცემლათ იყო დანიშნული და რედაქტორად სხვა პირი ჰყვანდა დასახელებული. ამ საქმისათვის იგი პეტერბურგშიაც წავიდა და მეცადინეობდა ნების აღებას, მაგრამ ეს ვერ მოუხდა და მარტო ვ. გუნიას „ცნობის ფურცლის“ გამოცემის ნება-რთვა მოუვიდა, ამიტომ ექვ. ხელაძემ თავის განძრახვას თავი დააბოძა, თორემ უამისოდ ექვ. ხელაძე უსაზოოდ დღიურ ქართულ გაზეთსაც გამოსცემდა.

წელს, 1902, 24 დენის, ამდენ საქმეთა შემდეგ, ბ. ექვთიმე ივანის ძე ხელაძეს შეუსრულდა 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც იგი ქართული სტამბის ასპარეზზედ საკუთარის სტამბით იმოქმედა. როგორც ძველათ, ისევე დღეს ექვ. ხელაძის სტამბა დატვირთულია სხვა-დასხვა ქართულის გამოცემაებით და როგორც უწინ, ისევე დღეს ამ სტამბაში ბევრი ვრცელი ქართული წიგნი გამოსულა და უეჭველია კიდევაც გამოვა. ვალად ვრაცხთ დღეს აენიშნათ ამ სტამბის 30 წლის არსებობა და ამ ხნის განმავლობაში მისგან სარგებლობის მოტანაც ქართველთ წინაშე.

ვინატრებთ სულით და გულით, რომ ამ სტამბას შემდეგაც ისევე შეესრულებინოს თავისი ვალი, როგორც ეს დღემდე იყო. ექვ. ხელაძის სტამბის არსებობის მოგონებით ჩვენ ვიგონებთ ზრა მარტო მის არსებობას და შრომას, არამედ ყველა ამ პირთა და მუშაკთაც, რომელნიც ამ სტამბაში მუ-

შაობდნენ და ქართულ საქმეებსაც პირნათლად ასრულებდნენ. ექ. ხელაძეს სტამბის მოგონება და პატრისცემა ჩვენ ცხადს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქართველნი სმელების და გვარად სასტამბო საქმეებს პატივით მრისხენებენ და ვისაც კი ამის ასპარეზზედ ამაგდართ ნახვენ, ყველა იმათ შრომას ჯეროვან პატოს იგებენ და აფასებენ.

ასოთ-ამომწყობლობაში აღმატებულნი შრომის მოყვარეობა ექვთიმე ხელაძეს დისკრის რედაქციაში ყოფნის დროსვე შეატყობ. მუშაკობით იგი ვერესელიძე ხსარებული იყო. ამ დროს, რედაქციაში მიბრძანდა აკაკი, ივ. კერესელიძემ აკაკის სიამოვნებით აუწყა, რომ ჩემ სტამბას ერთი გურჯული საოცარი ახალგაზდა ხელოსანი ამოდრავებსო და თან უჩვენა ექვთიმე, როგორც ამომწყობი, მართლაცა და ექვთიმე ხელაძე შესანიშნავი ხელოსანია. იცის კარგად ხუცური კითხვაც და ამოწყობაში მას ძნელათ რომ რომელიმე მუშაკი ხელოსანი შეეღაროს, მას მთელი ღამეობით შესძლებია მუშაკობა და სუფთათ საქმის კეთება. სულ ასეთი პირობები და გარემოება იყო, რომ მისი ნაშაგირდალები ყველა თუ არა უმრავლესი ნაწილი მაინც დიდის შრომის მოყვარეობით არიან აღვსილნი. შრომის მოყვარეობის გარდა ყველა იგინი ექვთიმე ხელაძის სტამბაში ქართული მწიგნობრობის სიყვარულშიაც ხელოვნდებოდნენ, კითხვას ეჩვეოდნენ და სამერმისოდ ქართულ მწიგნობრობის მკოდნეთაც სწნდებოდნენ.


როგორც თავშიაც ვსთქვით და ამას წინეთ ეს გაზეთ „ცნობის ფურცელშიაც“ გამოსთქვეს, ჩვენშიაც უკვე მოვიდა ისეთი დრო და გარემოება, როცა ჩვენც უნდა პატივით შევხედოთ ჩვენთ სასტამბო მუშაკთა და მათი შრომის თავაზი და თანაგრძნობაც საქვეყნოთ ვალეიაროთ, რადგანაც ეს ვალია შესმენილის და შორს მხედველის ერის. ამიტომ გვენატრება სულთ და გულთ, რომ ექ. ივანის ქა ხელაძის საქმეთა

მიმბაძაფნი ჩვენში მრავლად გამოსულიყვნენ და ქართველთ
შორისაც უფრო დიდის წარმატებით წინ წასულიყვნენ.

დღეს, ექ. ხელადის სტამბა ქალაქ ტფილისის სტამბებთ
შორის პირველ ხარისხის სტამბათა რიცხვში ითვლება. სანჯ-
ტრელია და საქები, როცა ასეთ ხელოსან მუშაკთ შრომა
ფასდება და მას შეძლების და გვარად ჯეროვან პატივსაც
აგებენ. ეს პატივისცემა ექ. ხელადის სტამბამ ვრთად თვით
ექ. ხელადესთან დიდის აღსავსებით დაიმსახურა და ამიტომ
დღეს ჩვენც მაღლობას და პატივისცემას ოროვეს ვუძღვნი.

ზ. შიკინაძე.

1902 წ. 24 ივნისი.



ისტორიული ლაგანდები თაგარ გეოგრაფიკა *).

(ს. საქარში გაგანილი).

თამარ მეფე, დედოფალს ერთი მოსამსახურე თათარი ჰყავდა. ამ თათარს სახელად მახმედი (მახმადი) ერქვა. ეს თათარი იყო მეტად მარჯვე, ცქვიტი, ერთგული და თავაზიანი. ისე შეაყვარა კეთილ დედოფალს ამ თათარმა თავი, რომ არ იცოდა რა ნაირად დაეჯილდოებინა ასეთი საუცხოვო მოსამსახურე. ერთხელ თამარმა უთხრა მახმედს: „ჩემო მახმედ! რადგანაც შენ ამდენ ხანს და ასე კარგად მემსახურები, ეხლა შენი დასაჩუქრება მინდა; მთხოვე რაც გინდა და მოგცემო“.

ცბიერმა თათარმა ქვეშ-ქვეშ ჩაიციხა და მოახსენა: ერთი ხარის ტყავი რამდენ მიწასაც შემოიცავს, ის მომეციო.

— აგრე ცოტა!? ბევრი მთხოვე თორემ ეგ რას გეყოფაო, — უთხრა გულუბრყვილო დედოფალმა.

— თუ თქვენნი მოწყალება არ მომეშალა, ესეც ბევრი იქნება ჩემ უღირს თავზეო, — მიუგო ცბიერმა თათარმა.

თამარი დათანხმდა და თათარი გაისტუმრა: „ხვალ მოდი და მიიზომე საცა გინდაო“. თათარი წავიდა, იყიდა დიდი ხარის მთელი ტყავი, ხარაზს მიუტანა და უთხრა: ერთიან წვრილ თასმად ასქერი ეს ტყავი და კარგ ხელფასს მოგცემო“. ხარაზი ასეც მოიქცა. იფიქრეთ, რა იქნებოდა ერთი ერთი ხარის ტყავის ერთიანი თასმა. მახმედიმ დაახვია ეს თასმა ქოგრზე და მივიდა სასახლეში.

*) იხ. 1901 წლის „მოგზაური“, №№ 8—9, გვ. 898.

— აბა, მომიზომეო, — დაედრიჭა დედოფალს. თამარმა შეხედა ჭოგარზე დახვეულ თასმას და ძლიერ შესწუხდა: „ამ ბილწმა თათარმა რაფა მომატყუაო!“ მაგრამ რაღას იზამდა: ფიცი ჰქონდა მიცემული და ფიცს ის არას გზით არ ულატებდა. ძველი დრო იყო მაშინ... გაგზავნა სანდო კაცები და მიაზომინა. სიტყვა ისე იყო ნათქვამი, რომ სადაც აირჩევდა, იქ უნდა მიეზომათ. თათარმა აირჩია ვარძია, შორაპანი და მათ შუა ახლო-მახლო შდებარე ადგილები. ეს თასმა კიდევ შემოსწვდა ამ ადგილებს.

შემდეგ ამისა გახარებული მახმედი წავიდა სათათრეთში და იქიდან თათრები მოიყვანა და დაასახლა ისინი შორაპანსა და ვარძიის ახლოს. ეს თათრები ძლიერ აწვალეზდნენ გამვლელ-გამომვლელს: დახვდებოდნენ წინ და თუ რამ ჰქონდათ, ართმევდნენ, კაცს იჭერდნენ და ტყვედ ჰყიდდნენ ხოლმე ღამ-ღამე, ჩუმად. ისეთი უხაროდათ თათრებს თავის ახალი მდგომარეობა, რომ არ იცოდნენ რითი გადაეხადათ თავის მოკეთე მახმედისთვის. ციდან ჩამოტრენილი ანგელოზი ეგონათ ის. მახმედიც ისე იქცეოდა, თითქმის მართლა ღვთისგან მოგზავნილი მოციქული ყოფილიყოს. იმან დაუნიშნა ურჯულო თათრებს მარხვები, ლოცვები და სხვა.

მახმედი, ვითომც უგნური ბავშვი იყო, ისევ ძველებურად დაიარებოდა სასახლეში და ცდილობდა განრისხებული დედოფლის გული მოეგო, რომ არ დაესაჯათ ამ უსინდისოთ მოტყუებისთვის. თამარს კი ძლიერ ეზიზღებოდა უსინდისო თათარი.

დიდებულებმა იცოდნენ, თუ როგორ დარდობდა თამარი თავის ასე მოტყუებას და გადასწყვიტეს მახმედი თამარის გაუგებლად მოეკლათ. ამისთვის სასახლეში შესასვლელ ჭიშკარებში ორმო ამოთხარეს, გაავსეს ის კუბრით, ზედ ფიჩხი წაათხარეს და ზედაც მიწა წააყარეს ისეთ ნაირად, რომ კაცი ვერაფერს შეატყობდა.

მახმედი დიდი ხნის მოუსვლელი იყო სასახლეში. დიდებულებმა თამარის უცნობელად გაგზავნეს კაცი და შეუთვალეს მახმედს: დედოფალს რაღაც საჩქარო საქმე აქვს და გიბარებსო. როდესაც მახმედი სასახლეში წავიდოდა, თავისიანებს დაუბარებდა, ღმერთთან მივდივარ სამუსაიფოდო. დაბრუნებაზე კი უჩვეულო ტყუილებს ეტყოდა ხოლმე. ეხლაც უთხრა თავისიანებს: „ღმერთი მიბარებსო“ და წავიდა სასახლეში. შეადგა თუ არა ფეხი სასახლის კიშკრებში, კუბრში ტვლება გახდა. მახმედს ყოველთვის თან ახლდა ერთი თავისი ნათესავი, რომელიც იმას ძლიერ უყვარდა და არასოდეს არ იშორებდა. ეს კაცი ეხლაც აქ იყო და ცოტა მოშორებით მიჰყვებოდა მახმედს და ამიტომ ის არ ჩავარდნილა კუბრში. კუბრში მოტივტივე მახმედი ცდილობდა ამოსულიყო, მაგრამ ამაოდ. ვერც ეს კაცი დაეხმარა. ბოლოს მახმედმა უთხრა: „მე აწი თავის გამოყოფა აღარ შემეძლება, რომ აქ ჩვენთაგანმა მნახოს ვინმემო, რადგანაც ყველას წმინდა კაცად მივაჩნევარ. ამისათვის, მოდი თუ მომჭერი და სადმე დაკარგე, ხალხს კი უთხარო, რომ „მახმედი ღმერთმა აღიტაცა გზაზე, თავის ადგილი კი მე დამიტოვათქო. ამის სანიშნებლად ჩემი ჩაღმა (ქუდი) წაიღე და აჩვენე ხალხსაო“. ეს კაცი ასე მოიქცა. მახმედს თავი მოსჭრა და სადღაც გადაკარგა. ხალხს კი უთხრა, რომ „მახმედი ღმერთმა აღიტაცა, თავის დიდება და ადგილი მე დამიტოვაო. ნიშნად ამისა თავის ქუდი (ჩაღმა) გადმომიგდო მაღლიდანო“. ხალხი გაოცდა და ღმერთს მაღლობას სწირავდა. მახმედი გააღმერთეს და თაყვანის ცემა დაუწყეს.

ის კი არ იცოდნენ, რომ მისი უთაო გვამი კუბრში ღვებოდა. ამ ნაირად წარმოდგა თათრობა, ე. ი. მაჰმადიანობა.

თამარს თუმცა ეწყინა ეს ღვთის საწინააღმდეგო საქმე, მაგრამ რაღა ექნა. როდესაც თათრებმა არ დაიშალეს თავის


უცნაური საქციელი: ცარცვა-გლეჯა და ტყვის გაყიდვა, თამარმა ჯარი მიუსია და ყველა გარეკა.

ბრწყინვალე დედოფალი გარდაიცვალა, მაგრამ არ იციან სად არის. მისი გვამი ღმერთმა დამალა, რომ შემდეგში აღედგინა. ხალხი კი ძლიერ შეაწუხა მისმა გარდაცვალებამ, მაგრამ რადგანაც ის მაინც უნდა აღდგეს, ამისათვის იმედს არ ჰკარგავენ და ხშირად იმღერიან ხოლმე:

აღსდევ, თამარ დედოფალო,
შენთვის სტირის საქართველო..

ბ. მბანოიძე.

(წმინდა)



საქართველოს საეკლესიო ისტორია.*)

წმ. ნინო, ქართველთა განმანათლებელი.

ს. ქართველთა კერპთა თაყვანის-მცემლობა.

საქართველოში სამუდამოდ ქრისტიანობა წმ. ნინომ დაამყარა, და ამის გამო საქართველოს ეკლესია უწოდებს მას ქართველთა განმანათლებელსა. მაგრამ სანამდის საქართველოში სამუდამოდ ქრისტიანობის დამყარების ამბავს შევეხებით, საჭიროა რამდენიმე სიტყვა ქართულ კერპთა თაყვანის მცემლობის შესახებაც ვთქვათ. ქართულ მატრიანების სიტყვით, ძველად ქართველი ერი ერთ ღმერთსა სცემდა თაყვანსა, მაგრამ მალე დაივიწყა მან ჭეშმარიტი ღმერთი და ჩავარდა კერპთა თაყვანის-მცემლობაში. მან თაყვანის-ცემა დაუწყო მზესა, მთვარესა, ხუთს ეარსკვლავს, ცეცხლსა, წყალსა და ბუნების სხვა-და-სხვა მოვლენას: კეთილსა და ცუდსა... საქართველოში გაჩნდნენ ტაძრები (ბომონნი—საკერპოები), კვრპები, ქურუმები (კერპთა მსახური მღვდლები), მსხვერპლი, ლოცვა-ვედრება, სასულიერო გალობა და სხვა აუცილებელი კუთვნილებანი ღვთის-მსახურებისა... ქართველები თაყვანს-ცემდნენ თვისს მამათმთავრის შართლოსის საფლავს, რომელიც მდებარეობს აწინდელს არმაზში, მცხეთის ახლოს. ყველა იმ ერებმა, რომლებსაც ჰქონდათ რაიმე დამოკიდებულება და კავშირი საქართველოსთან; დიდი გავლენა მოახდინეს ქართულ საწარმართო სარწმუნოების შემუშავებაზედ. ამის

*) იხ. „მოგზაური“ № 4.

გამო ხსენებულს სარწმუნოებაში ვხედავთ კვალს ძველის ისტორიული ერებისას, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართველები თავისებურს ეროვნულს ელფერს სდებდნენ ამა თუ იმ საკითხს სარწმუნოებისას, უცხო ერთაგან გადმოღებულსა. ქართველები წარმართობის დროს ეძიებდნენ ჭეშმარიტ ღმერთსა და ჭეშმარიტ სარწმუნოებას, მაგრამ ვერც პირველსა და ვერც მეორეს ვერ ვპოვებდნენ ვერც ერთ ძველ სარწმუნოებრივს აღსარებაში. ყოველ ახალ საუკუნეში და ახალ მეფობაში მათ გამოუჩნდებოდათ ახალ-ახალი ღმერთი, რომლის მიმართ თაყვანის-ცემა მაინც ვერ აკმაყოფილებდა მათი სარწმუნოების გრძობას, რომელიც ეძიებდა რაღაც უმაღლესსა და განსაზღვრულსა.

ფინიკიელების გაფლენა, ქართველთა ღმერთები ზაცი და ზაიმი იწოდებიან ქართულს ძველ ღმერთებად. ეს ღმერთები ფინიკიურის ჩამომავლობის არიან: პირველს ერქვა საქართველოში „ზაალ-გაცი“ (ღმერთი ბედნიერებისა) და მეორეს — „ზაალ-გაიმი“ (ღმერთი სიმდიდრისა). ორივეს გამოსახვდნენ ქართველები ხმლით ზელში; თვით ტანთ იმათი გაკეთებული იყო სპილენძისაგან, თავები — ვერცხლისაგან და ულაშები — ოქროსგან. მეოთხე საუკუნეში ქრისტეს შვიდეგ — გაცის ტანი გაკეთებული იყო ოქროსგან და გაიმისა — ვერცხლისგან. ამას გარდა ფინიკიის ზედ-გავლენით, საქართველოში იყო გავრცელებული თაყვანის-ცემა ასტარტასი (ითარისა, აფროდიტისა) — ასტარტას სხვანაირად ერქვა „აშერა“. ამ უკანასკნელის სახელიც ცნობილი იყო ასტარტა საქართველოში. აქედგან წარმოსდგა ქართული სიტყვა „აშარი“ (უნამუსო, უსირცხვილო)... აშერა — ასტარტა იყო ღმერთი მდებრობითის სქესისა. იგი იყო წარმომადგენელი ბუნების მწარმოებელ ძალისა, ნაყოფიერებისა და მის მიმართ თაყვანის-ცემა შეერთებული იყო ენით გამოუთქმელ გარყვნილებასთან... ფინიკიის ზედ-გავლენას მიეწერება თაყვანის-ცემა საქართველოში ღმერთის „ზოჩისა“, რომელიც იოვლებოდა მრეწველობის და

ვაქრობის ღმერთად. ბოჩი იგივე ფინიკის ჰერკულესია (მელ-კარტი). ბოჩის უმთავრესი ბომონი (ტაძარი) აღშენებული იყო შავ ზღვის ნაპირას მეგრელთა ქალაქს სევასტოპოლში (სომხუმის ახლოს), ვინაიდან ამ ადგილს გაჩაღებული იყო ძველად ვაქრობა და მრეწველობა. ბოჩი მთელ კავკასიის მხრის მფარველადაც ითვლებოდა. იმის კერძს შვიდი ხელი ჰქონდა, რაც ნიშნავდა კავკასიის მთის შვიდ მწვერვალზედ ბატონობას. ბოჩი მრისხანე და შურის მგებელი ღმერთი იყო; იმის სახელით ახლაც აშინებენ ქართველები თავის შვილებს, როცა მათ ეუბნებიან: „ბოჩი მოდისო“. სომხები ბოჩს მაგანს ეძახდნენ, და ვაგანი იგივე იყო, პლატონ იოსელიანის სიტყვით, რაც ფინიკიელთა ჰერკულესი.

ქალდეველთა გავლენა. ბ. ნ. თ. ჟორდანიას სიტყვით, ქართველები ქალდეველთა ზედგავლენით თაყვანს-სცემდნენ ველთა ღმერთს „ითრუთის“. მინდვრებზედ იყო აღშენებული ითრუთის სახელობაზედ ტაძრები და აღმართული კერპები. მას თაყვანს-სცემდნენ უფრო ქართლში, რომელიც ველებით და მინდვრებით მდიდარია და პურის უხვის მოსავლით განთქმულია. ჩვენის ჰაზრით „ითრუთი“ და „ითრუშანი“ ერთი და იგივე ღმერთია, ის ითრუშანი, რომელიც მოხსენებულია წმ. ნინოს ცხოვრებაში, სადაც ის ცნობილია ქალდეველ ღმერთად და ქართველთა პირველ ღმერთის არმაზის მტრად.

საბერძენეთის გავლენა. წმ. ანდრია პირველ წოდებულმა ნახა, რომ მესხეთის ქართველები თაყვანს-სცემდნენ არტემიდას (დიანას) და აპოლონსა, ბერძენთა ღმერთებსა. დიანა იყო ასული იუპიტერისა (ზევსი — უმთავრესი ღმერთი ბერძენთა), აპოლონის დაჲ, ღმერთი მთვარისა, ნადირობისა და ტყისა, მფარველი მდებრობითი სქესისა. აპოლონი (ფები) კი იყო ძე ზევსისა, ღმერთი მზისა, მფარველი ხელოვნებათა და მეცნიერებათა. შავ ზღვის ნაპირას ანაკლიაში თაყვანს-სცემდნენ იქაური ქართველები (მეგრელები) იუპიტერსა (ზევსი)

და შაზისში (ფოთი) ვენერას (აფროდიტას). ვენერა—აფროდიტა კი იყო საბერძნეთში ღმერთი სიმშვენიერისა, სიყვარულისა და ქორწინებისა. ქ. ფოთში ვენერას კერპი ოდგა მდინარე რიონის მარცხენა ნაპირას, იქ, სადაც ეს მდინარე შავ ზღვას ერთვის. ვენერას ხელში ეჭირა ქნარი და მისი ტახტი დაყრდნობილი იყო ორ გამოქანდაკებულ ლომზედ. იმავე ქალაქში კუნძულზედ იყო აღშენებული ტაძარი ბერძენთა ნახევარი-ღმერთის. ახილოესის სახელზედ. ჩერქეზეთში თაყვანს-სცემდნენ დიანა—ქალწულსა. დასავლეთ საქართველოს შუაგულში, სახელდობრ ქუთაისში, მდინარე რიონის ნაპარზედ, დაბურულს ტყეში აღშენებული იყო ტაძარი ბერძენთა ომის ღმერთის არეიას (მარსის) სახელობაზედ. საქართველოში კვირის დღეებს ბერძენთა ღმერთების პატივსაცემლად ამავე ღმერთების სახელები ერქვათ. სამეგრელოში და სვანეთში დღემდის შენახულ იქმნა ეს სახელები კვირის დღეებისა. ორშაბათს ქართველები ეძახდნენ ოთუთვარისას მთვარის ღმერთის დიანას პატივსაცემლად, სამშაბათს ერქვა დღე არეიასი (მარსისა), ოთხშაბათს—დღე მარმისა პატივსაცემლად ვაქრობის, საბალოხოების, ჯოგების და გამოგონებათა ღმერთისა, ხუთშაბათს—დღე ცისა (ურანოსი) და შემდეგში (II საუკ. ქრისტესით)—დღე აფროდიტისა, პარასკევს—დღე ღიოსისა (დიონისისა თუ?), შაბათს—დღე პრონოსისა (დრო—მამა ზევსისა), ხოლო კვირას—დღე მზისა (აპოლონისა). ქართლ-კახეთშიც თაყვანს-სცემდნენ ზევსსა, აპოლონსა და დიანასა. ქართლის მეფემ რევა (186—215 ქრისტესით) შეირთო ცოლად პონტის ერთი გამგეთაგანის ასული სეფელია, რომელმაც დადგა მცხეთაში კერპი აფროდიტისა (ვენერა)...

სპარსეთის გავლენა. მესამე საუკუნიდგან ქრისტემდის, როდესაც საქართველოში გამეფდა ფარნაოზი, ქართველებში ღრმად გაიდგა ფესვი სპარსთა სარწმუნოების გავლენამ. ამ გავლენის გავრცელებას დიდად ხელი შეუწყო მეფე ფარნა-

ოზმა, რომელიც იყო ღვიძლი დისწული სპარსეთის მეფის დარიოზ მესამის კოლომანისა, ფირნაოზმა აღმართა კერპი არმაზისა და პირველად მისცა ქართულს საწარმართო სარწმუნოებას კანონიერი დაწესებულება და ქართველს ერს კი ერთი საყოველთაო საზოგადო საწმუნოება. ის პატივით ეპყრობოდა ძველს ქართულ კერპებს გაიცისას, გაიმისას და ბოჩისას და სხვათა. ფარნაოზის ღრდიდგან იწყება სპარსულ ცეცხლთაყვანისმცემლობის დიდი გავლენა ქართველს ერზედ. ქართლოსის ქალაქს, რომლის მთაზედ აღმართა ფარნაოზმა არმაზის კერპი, დაერქვა ამის შემდეგ „მთა არმაზისა“ და ხევს, ახლო მდებარეს, დაერქვა არმაზის ხევი. მან დააწესა მთელი კრება ქურუმთა არმაზის ტაძართან. არმაზის კერპი გაკეთებული იყო სპილენძისგან, მას ეცვა ოქროს ტანისამოსი, თავს ოქროს ქუდი ეხურა, სამხრეები და თკალები მისი გაკეთებული იყო იაგუნდისა და ზურმუხტისაგან, მას ხელში ეყრა ელვარე მახვილი, რომელიც ტრიალებდა და ბრწყინავდა. ამბობენ, რომ სპარსეთში ფარნაოზს არმაზს ეძახდნენ და კერპსაც, რომელიც მან აღმართა, თავისი სახელი უწოდაო. მაგრამ უფრო საფუძვლიანად ჩაითვლება, თუ ვიტყვით, რომ ფარნაოზმა, ვითარცა ფრიად სასარგებლო და სახელოვანმა მეფემ საქართველოსამ, თვისი თავი გაიღმერთა და არმაზის სახით დაუწესა ქართველებს თვისის პირადობის მიმართ თაყვანის-ცემა. საბერძნეთში და რომში არსებობდა ჩვეულება, რომელსაც აპოთეოზი ერქვა. აპოთეოზი კერძო ადამიანთა გაღმერთება იყო. ყოველ შესანიშნავს მეფეს და გმირს ღმერთთა შორის ჩარიცხავდნენ საჯაროდ. მეფეებიც სცდილობდნენ თვის თავის გაღმერთებას და ამისთვის თვის გამოხატულებას (კერპების მსგავსად) სდგავდნენ ტაძრებში და ერს ავალებდნენ ჰისთვის. თაყვანი ეცა. (ავვისტოს კეისარი, ნერონი, კალიგულა)... არმაზი ზოგიერთების აზრით, სპარსული ორმუხდი და სომხური არამაზტია. ჩვენის აზრით კი ქართული არმაზი მხოლოდ სახელით მოგვაგონებს სპარსულს ორმუხდსა

(აგურამაზდას), მაგრამ თვით ცნება ქართული არმაზის შესახებ არ ჰგავს თვისი შინაარსით სპარსული ორმუზდის შესახებ ცნებას. ორმუზდი სპარსეთში ითვლებოდა სინათლის, სიკეთის და ცეცხლის ღმერთად, რომელიც ყოველს წუთს მტრობდა მეორე ღმერთსა არიმანს, წარმომადგენელს სიძნელისას და სიბოროტისას. ორმუზდი სპარსეთში პირველს ღმერთად არ ითვლებოდა, ისიც და არიმანიც ემორჩილებოდნენ ერთ უმაღლეს დაუსაბამო ღმერთს ზერუანე—აკერანას, რომელიც ცნობილი იყო, როგორც „დაუსრულებელი ღმერთი და სიფრცე“. საქართველოში არმაზი სწორედ ზერუანა—აკერანას მოგვაგონებს. არმაზი იყო პირველი ღმერთი, ღმერთი ღმერთთა, მეფე ღმერთებისა, გაჩეც ცისა და ქვეყნისა, ღმერთი ქუხილისა და ელვისა. არმაზმა დაჩრდილა, დაიმორჩილა ქართველთა სხვა ღმერთები გაცი და გაჩმი, ბოჩი და სხვანი და გახადა ისინი მეორე ხარისხოვან ღმერთებად. ქართველებმა იცნეს არმაზი პირველ ღმერთად და მას მიაწერეს ყველა ის თვისებანი, რომელთაც იგინი სხვა თვის ღმერთებს აწერდნენ. . . მათ სურდათ ჰყოლოდათ ღმერთი ღმერთთა, უმთავრესი ღმერთი ქართველთა არმაზი იყო პირველი ღმერთი; იგი იყო ღმერთი, მომცემი კეთილისა და ბოროტისა. ის იძლეოდა ნაყოფს, ჰგზავნიდა მზის სხივებს და წვიმას, მან იცოდა ადამიანის გულის ყოველივე საიდუმლო. ისა ჰგავდა ებრაელთა ღმერთს იეგოვას. ამის გამო ქართველებმა სიხარულით მიიღეს ის ცვლილება სარწმუნოებრივი, რომელიც ფარნაოზ მეფემ შემოიტანა საქართველოში და დაემორჩილენ მას. ქართველები ძალიან სიფრთხილით ეკიდებოდნენ თვის სარწმუნოებას. ვიცით, რომ მეფე ფარნაჯომი (112—93 ქრისტეს წინეთ) ქართველებმა მოჰკლეს იმის გამო, რომ მან მოინდომა ქართულის ძველის სჯულის შეცვლა და შემოღება სპარსულ ცეცხლ-თაყვანის-მცემლობისა, რის გულისთვის მან მოგვებიც გამოიწერა სპარსეთიდან და დაასახლა მცხეთაში (მოგვთას). ქრისტეს შემდეგ დაახლოებით 267 წელს ქართველებმა მე-

ფედ მიიღეს სპარსეთის ხელმწიფის ქასრეს შვილი მირიანი მხოლოდ იმ პირობით, რამ მას მფარველობა გაეწია ძველის ქართული სჯულისათვის. აქ სჩანს ქართველი ერის თვით-ცნობიერება, თავის თავის შეგნება, თვის საეროვნო სიწმიდე-თადმი უღმესი და თავ-გაწირული პატივისცემა... ქართველებს ჰქონდათ საკუთარი შუაგული ადგილი სარწმუნოებისა. ეს იყო ქალაქი ქართლოსისა, აწინდელი არმაზი, მცხეთის ახლოს. ქართველებს სამოქალაქო საქმეებისთვის კი მცხეთა შიანდათ შუაგულ ადგილად. ესრედ მცხეთა — შუაგული ქართველთა სამოქალაქო ცხოვრებისა და არმაზი (ქართლოსის ქალაქი) შუაგული მათი სარწმუნოებრივის ცხოვრებისა, უნდა შეერთებულიყვნენ, რადგან სარწმუნოება ადამიანის სულს და გულს შეეხება და განსაზღვრავს მთელს მის ცხოვრებას... ეს შეერთება თანდათან, ნელა-ნელა ხდებოდა... ქრისტეს შემდეგ მეოთხე საუკუნის პირველ მეოთხედში მცხეთამ, შუაგულმა ქართველთა სამოქალაქო ცხოვრებისამ, თვისკენ მიიზიდა არმაზი, შუაგული მათის სარწმუნოებრივი ცხოვრებისა და თვით დაიჭირა მისი ადგილი და გახდა ერთად-ერთ შუაგულათ მთელ საქართველოსად. არმაზის შემდეგ მეორე ადგილი ქართველების სარწმუნოებაში ზადენს ეჭირა. ზადენი იყო წარმომადგენელი იმ წმიდა სულებისა, რომელნიც სპარსთა წარმოდგენით, გარს ეხვივნენ ორმუზდის (კეთი ღის ღმერთის) ტახტსა. ამ სულებს ერქვათ სპარსეთში იზედები, ზადე?ი. ზადენის კერპი დადგა მცხეთის ჩრდილოეთით მაღალ მთაზედ მესამე მეფემ საქართველოსამ ფარნაჯომმა, რომელმაც განიძრაბა ქართული სარწმუნოების გაწმენდა სხვა-და-სხვა ცრუმორწმუნოებათაგან და შემოღება სპარსულ ცეცხლ-თაყვანის მცემლობისა სრულის მისი სახით. ამ განძრახვისათვის ქართველებმა მოჰკლეს ფარნაჯომი, როგორც უარ-მყოფელი მამა-პაპურის კერპთ-თაყვანის-მცემლობისა. შემოხსენებულ მთას დაერქვა მთა ზედა-ზადენისა (ზედაძნისა). ამ მთაზედ ფარნაჯომმა აღაშენა ქალაქი, ბომონი (ტაძარი), სამსხვერპლო და

ბომონში ზადენის კერპი დადგა. ზელა-ზადენის გარდა იყო კიდევ ქვედა-ზადენი, რომელიც იდგა არმაზის ტაძარში ამ ღვთაების სახელის მთაზედ ქართველთა სხვა ღმერთებთან ერთად. წმ. ანდრია პირველ-წოდებული, როგორც ვიცით, მოვიდა სოფელ „ზადენ-გორას“ მაშასადამე, ზადენის კერპი მცხეთას გარდა მესხეთშიც (აწინდელ ახალციხე ახალქალაქის მაზრებში) ყოფილა. ქართველები ზადენს თვლიდნენ მეორე ღმერთად არმაზის შემდეგ. ამ ორ ღმერთს ერთად ახსენებდნენ. მეფე მირიანის ცოლი ნანა ეკითხებოდა წმ. ნინოს, ის არმაზის და ზადენის ასული ხომ არ იყო. იგივე ეუბნებოდა მას, რომ არმაზი და ზადენი ავრცელებენო მზის სხივებს, ჰგზავნიანო წვიმას და სხვა...

ქართველებს, პროფესორის ალ. ხახანაშვილის ჰაზრით, ჰქონდა წარმოდგენა სპარსთა ბოროტების ღმერთის არიმანის შესახებაც. საქართველოში არიმანი, ამირანის სახელით ცნობილია. ქართული თქმულებანი ამირანის შესახებ სხვადასხვანაირია. ქართველთა წარმოდგენაში ამირანი კეთილგმირად გადიქცა და შველის ადამიანს გაჭირებაში. სპარსთა არიმანს, ბოროტების ღმერთს, ეშმებები ემსახურებოდნენ. ეშმებები, ანუ ეშმაკები ქართულს ზეპირ-სიტყუაობაში ხომ ცნობილი არიან... მაგრამ ქართულ ნიადაგზედ სპარსული დუალიზმი (ორი ღვთაების შესახებ სწავლა) მტკიცედ არ დამყარდა... ამის გამო თვით ბოროტი არიზანი კეთილ ამირანად შეიცვალა ქართველთა წარმოდგენაში... ქართველთა წარმოდგენით, ბოროტ არიმანს ყოველთვის სძლევს არმაზი. არიმანი ქართველებს წარმოდგენილი ჰქონდათ ბოროტი გველეშაპის (ანუ ვეშაპის) სახით, რომელიც შეუბრალებლად სანსლავდა ადამიანებსა. სომხეთში თაყვანს-სცემდნენ ვეშაპებს და მათ მსხვერპლად უმანკო ასულებს სწირავდნენ. ქართველთა აზრით, გველეშაპები სცხოვრობდნენ წყაროებთან, თხოულობდნენ მსხვერპლად უმანკო ასულებს და იხოცებოდნენ იმ გმირთა ისრით, რომელნიც თავს იდებდნენ მათ მიერ

დატანცული ხალხის ხსნას. გარდა ამისა ქართველებს ბევრი თქმულება აქვთ ღვევების შესახებ, რომელნიც სპარსულ სარწმუნოებრივის სწავლის მიხედვით ემსახურებოდნენ არიმანსა. დევი ნახევრად სულია, ნახევრად კაცი, გმირი, აქვს რამდენიმე თავი. დევეები იხოცებიან და საზოგადოდ ადამიანის ბედს ემორჩილებიან. ქართველის ჰაზრით, ქრისტიანობის მიღების უამს დევეებმა დაჰკარგეს თვისი უწინდელი ძალა და ხასიათი, — მას ებრძვის ადამიანი, ხშირად სძლევს და იმორჩილებს მას თვისი ჭკუა-გონების, ხერხის მეოხებით.

ქართველთა მეფემ საურმაგმა (234—162 ქრისტეს წინ) დადგა იმ გზაზედ, რომელიც დასავლეთის მხრიდან მცხეთაში შედის, კერძებო პინანისა და ღანანასი, რომელთა სახელები აქამომდე ისმის სხვა-და-სხვა ქართული სიმღერების დასასრულში. პირველი იგივე ვენერაა და მეორე იგივე ღიანაა. მართლაც, საქართველოში ღიანას დიდ პატივსცემდნენ განსაკუთრებით მთებსა და ხეობებში მცხოვრებნი, რომელნიც მონადირეობას მისდევენ. ღიანა (დანანა) ითვლებოდა მთვარის და ნადირობის ღმერთად. სვანეთში აქამომდე დარჩენილა თაყვანისცემა ნადირობის ქალ-ღმერთის „დალი“-სა. ეს ქალ-ღმერთი საუცხოვო სილამაზითაა შემკული და სცხოვრობს მაღალი მთების მწვერვალებზე. ის მწყისის გარეულ თხებსა და ჯიხვებსა და არც ერთ მონადირეს არ შეუძლია მის დაუხმარებლად ერთი მათგანიც მოჰკლას. ქართველები თაყვანსცემდნენ კიდევ ესრედ წოდებულ ღმერთებს: „არალესებს“, რომელნიც სიცოცხლეს აძლევდნენ დაჭრილ მხედრებს ბრძოლის ველზე. „არალე“ ქართულ სიმღერებში დღემდის გაისმის. სომხთშიც თითქმის ის ღმერთები იყვნენ, რომელთაც საქართველოში ვხედავთ: ა) არამაზტი (არმაზი), ანაიდი (აინანა—ვენერა), შაგაკანი (ვაგანი, ბოჩი), ნანე (დანანა—ღიანა) და სხვა...

საქართველოში და სომხთში ზოროასტრის სარწმუნოება (ცეცხლ-თაყვანისმცემლობა) შერეული იყო ბერძნთ

სარწმუნოებასთან და ამის გამო მეტად შეცვლილი იყო. ეს გარემოება, სხვათა შორის, იმ მოვლენამაც გამოიწვია, რომ ქართველები ბრძულად არ ემორჩილებოდნენ უცხო ერის კულტებსა და, უკეთუ ამ კულტებს შემოიტანდნენ სამშობლოში, თავისებურად, თვის ეროვნული შეხედულების და ხასიათის და გვარად გარდაჰქმნიდნენ, თვის ეროვნულ ელფერს აძლევდნენ მათ.

ქართველების ჰაზრით, თითოეულს თემს, თითოეულს მხარეს, თითოეულს გვარს და სახლობას თვისი ღმერთი ჰყავდა. აზონი, პირველი მეფე ქართველთა, თაყვანს-სცემდა გაცი და გაიმს, მათვე თაყვანს-სცემდა მისი ქვეშევრდომი ერი. ფარნაოზმა მათ ამჯობინა კერპი არმაზისა, ფარნაჯომმა — ზადენისა, საურმაგმა — ვენერასი და დიანასი. ქართველების ჰაზრით, ღმერთები იყვნენ ქვეყნის მფარველნი, მიზეზნი ყოვლისა სიკეთისა და სიმშვენიერისა. ისინი ჰგზავნიდნენ მზის შუქს, წვიმას, სინათლეს, აძლევდნენ ხალხს კარგ მოსავალს, შველოდენ მას მტერთან ბრძოლაში, ერთმანერთშიაც მტრობა ჰქონდათ, იყვნენ აღსაყვანი ვნებათა მიერ და ჰქონდათ ადამიანის სხვა თვისებანიც... ქართველთა ღმერთები იგივე ადამიანები იყვნენ, მხოლოდ იდეალურად წარმოდგენილნი, დაჯილდოებულნი უკვდავებით და უმაღლესის ნიჭებით. თვის გამარჯვებას მტრებზედ ქართველნი ღმერთების მფარველობას მიაწერდნენ, ხოლო მტერთაგან დამარცხებას — თვის სარწმუნოებრივს გულცივობას, რომელმაც გამოიწვია ღმერთთა რისხვა. დამარცხებული მხარე საქართველოში დამამარცხებელთა ღმერთებს პატივს-სცემდა და მათ უპირატესობას აძლევდა თავის ღმერთებზედ. მაგრამ დამამარცხებლესაც სწამდათ დამარცხებული მხრის ღმერთები და ამათ კერპებს დგამდნენ ტაძრებში და ცემდნენ მათ თაყვანსა... გაცი, გაიმი და ბოჩი არმაზმა უკან დააყენა, ბოლოს მეოთხე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ ბოჩი სრულიად გაჰქრა საქართველოს არე-მარეზედ, არმაზის მიმართ თაყვანისცემა ჰქმნა-

რიტი ღვთისადმი თაყვანისცემით შეიცვალა ხსენებულ საუკუნეში. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ქართულს კერპთ-თაყვანისმცემლობას არა ჰქონდა განსაზღვრული სისტემა, არა ჰქონდა დამთავრებული დაწყობილება; მან ვერ მიიღო სრული სახე, ის ვერ შეიქმნა მყარს და ეროვნულ ქართულ სარწმუნოებად. აღმოსავლეთში კერპთ თაყვანის-მცემლობა შეტანილი არ იყო კანონდებულებაში, როგორც ამას ვხედავთ საბერძნეთსა და რომში. აქ ის შეადგენდა მხოლოდ მოდას („მოარულს“) და როგორც ასეთი ის იყო მსხვერპლზე შემთხვევითა ცვალებადობისა. საქართველოში სარწმუნოება რომელსამე საუკუნეში იყო იმ სახელმწიფოს გავლენის ქვეშ, რომელსაც ეს ქვეყანა მორჩილებდა. ქართველებდ უფრო ძლიერი გავლენა ჰქონდა გარეშემორტყმულს ბუნებას, ხან საუცხოვოს და დიადს, ხან კი—შკაცრსა და მოღუშულსა, ხან მომხიბლავს და აღმტაცებელს, ხან კი მის გულში შიშის გრძობის გამომწვევს. საქართველოში შესაძლებელი იყო ბუნების თაყვანისცემა და ამ თაყვანისცემას ვხედავთ ჩვენ აქ მეოთხე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. როგორც ვიცით, ქურბნისში, სადაც წმ. ნინო ერთი თვე ცხოვრობდა, თაყვანისცემდნენ ცეცხლსა, ქვებსა და ხეებსა სწორედ მაშინ, ოდეს მცხეთაში თავმოყრილი იყვნენ ქართველთა ყველა ღმერთები. მართლაც შესაძლო არ იყო საქართველოში დამყარებულიყო მტკიცე სისტემა სარწმუნოებისა. ჰაერის და ადგილ მდებარეობის მხრით საქართველო რამდენსამე პროვინციად განიყოფებოდა. პროვინციები ერთმანეთიდგან განსხვავდებოდნენ როგორც ადგილ-მდებარეობით, ჰაერით და მცენარეულობით, ისე ხალხის ხასიათით და ხალხურ შეხედულებათა თავისებურობით: თითოეული პროვინცია კარ-ჩაკეტილი იყო, კარგი გზების უქონლობის გამო მას არ ჰქონდა კავშირი მეორე და დანარჩენ პროვინციებთან. ამის გამო საერთო სარწმუნოების დამყარება საქართველოში შეუძლებელი იყო. შეუძლებელი იყო აგრეთვე მტკიცე სახელმწიფო ერთობის დამყარებაც

საქართველოში, რადგან მის პროფინციათა შორის ამავე მიზნებათა გამო ხშირი მისვლა-მოსვლა არ იყო, არ იყო ერთობა ეპიკრობის და მრეწველობის სარბიელზედ. გასაკვირი არაა, რომ ქრისტიანობა საქართველოში აღვილიად დამყარდა. ქრისტიანობას ბრძოლას ვერ გაუწევდა სუსტი საწარმართო სარწმუნოება საქართველოში, როგორც ისეთი სარწმუნოება, რომელსაც განმარტებული დოგმები არ ჰქონდა... თუ ქრისტიანობას ბრძოლა მოუხდა წარმართობასთან საქართველოში, ეს აიხსნება ქართველთა ზოგიერთი მეფეების სისუსტით... სუსტი მეფეების დროს სპარსეთი საქართველოს დაპყრობას ცდილობდა, თვისი სარწმუნოების მქადაგებლებს აქ ბლომად ჰგზავნიდა და სურდა ქრისტიანობის აღმოფხვრა და მის ნანგრევებზედ ზოროასტრის სჯულის დამყარება...

ილ. ფერაძე

(შემდეგი ოქნება).

გამოვიდა ახალი ქართული სურათებიანი ანბანი
ივანე როსტომაშვილისა

ანბანი

ანუ

ქართული ანბანი

დ

პირველი საკითხავი წიგნი

პატარებისთვის და დიდებისთვის.

ასწავლის წერა-კითხვას ჩქარა და ადვილად.

თავისი სამი შაყრი.

ვინც ათს ცადს ან მეტს ერთად იყიდის, წიგნი დაეთმობა
10 კაპუიკად.

ქალაქს გარეთ მცხოვრებლებს წიგნი შეუძლიანთ დაი-
ბარონ ივანე როსტომაშვილისაგან შემდგენის ადრესით:

*Въ Тифлисѣ, Олѣгин. ул. № 19, Ивану Павловичу
Ростомашвили.*

2802
1902

რედაქცია „მ. მ. გ. ზ. ა. უ. რ. ი. ს.“

ამით აცნობებს თავისს მკითხველებს, რომ მან უკვე მიიღო ნებართვა ჟურნალის პროგრამის გაფართოვებისა.

ვისაც ჰსურს თანამშრომლობა გაუწიოს ჟურნალს, ამის შედეგად, გარდა ისტორიულ-ეტიმოლოგიურ-არქეოლოგიურ წერილებისა, შეიძლება გამოუკვანოს რედაქციას წერილები: პედაგოგიდამ, სამეურნეო და სამრეწველო მინარსისა, ჰიგიენა-მკურნალობიდან და სამეცნიერო დარგიდან. ეგულა ასეთს წერილებს რედაქცია დიდის სიამოვნებით დაჭებუდავს თავისს ჟურნალის ფურცლებზედ.

ფასი ჟურნალისა რჩება იგივე (5 მან.).

Handwritten text at the bottom of the page, possibly a signature or date, which is partially obscured and difficult to read.